ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №282 (2655) სამშაბათი, 11 ნოემბერი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

„ხალხი დაბრძენდა, ხალხმა იცის მშვიდობისა და სტაბილურობის ფასი, ხალხი ხედავს თავისი ქვეყნის რეალურ მომავალს“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 10 ნოემბრის რადიოინტერვიუ

— გასულ კვირას მსჯელობის საგანი გახდა აფხაზეთიდან ლტოლვილთა მეორე ყრილობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ლტოლვილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, თუმცა მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა ორგანიზაციებმა უარი განაცხადეს ყრილობაში მონაწილეობაზე. მათი პოზიცია ასეთია: დღეს ხელისუფლების საკითხი არ უნდა იყოს მსჯელობის საგანი, მსჯელობის საგანი უნდა გახდეს აფხაზეთის დაბრუნებისა და აფხაზეთში დაბრუნების საკითხი... — საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამ თემაზე საუბრით დაიწყო თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ, რომელსაც ჟურნალისტი ნატო ონიანი უძღვებოდა:

ლტოლვილთა ყრილობის მოწვევა, ჩემი ღრმა რწმენით, ნაადრევია. მე არაფერს ვამბობ დღის წესრიგზე, რომელიც ეგრეთ წოდებულმა საკოორდინაციო საბჭომ წამოაყენა პრეზიდენტის გადაყენებისა და ხელისუფლებისათვის უნდობლობის გამოცხადების მოთხოვნით.

ნაადრევია იმიტომ, რომ კიშინიოვის სამიტმა დაებითად გადაწყვიტა ამ ეტაპზე გალის რაიონში, მის ძველ საზღვრებში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების საკითხი. თუმცა ისიც უნდა დავძინო, რომ დოკუმენტი დღემდე ხელმოწერილი არ არის, მაგრამ

იხ. მე-2 გვ.

პარლამენტი
გაიმართა ბიუროს სხდომა

10 ნოემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს 11-14 ნოემბრის პლენარული სხდომის დღის წესრიგი.

მომავალი პლენარული სხდომის დღის წესრიგში 35-მდე საკითხია შეტანილი. პარასკევს დაგეგმილია სამთავრობო საათის გამართვაც.

აღსანიშნავია, რომ ერთი დღის სხდომა შესაძლოა დაეთმოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლობრივ განხილვას, რომლის პირველ მოსმენასაც წინ დიდი ვნებათაღელვა უსწრებდა. მიმდინარე პლენარულ სხდომაზე განიხილეს, აგრეთვე, მნიშვნელოვანი კანონპროექტი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“.

მოსალოდნელია რამდენიმე შეთანხმების და კონვენციის რატიფიკაცია, რამდენიმე კანონში შევა ცვლილებები და დამატებები, რათა ისინი შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

ბიუროს სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

საქინფორმი.

ვიზიტი
მესამე დღე ქართული ფილმით დამთავრდა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელიც ვიზიტად იმყოფება გერმანიაში, 7 ნოემბერს შეხვდა ქალაქ დორტმუნდის მერს ლორენც ლადაგს.

ამ 600-ათასიან ქალაქს, რომელიც სიდიდით მეშვიდეა გერმანიაში, განვითარების მაღალი დონის მიუხედავად, იგივე პრობლემები აწუხებს, რაც თბილისს — მოსახლეობის დასაქმება, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და, ამასთან ერთად, უსახლკაროთა და მაწანწალების საკითხი. ამიტომ ქალაქის მერიაში გამართული საუბრის დროს ორივე მხარის ინტერესები და საქმიანობის აქცენტები ერთმანეთს დაემთხვა.

იხ. მე-3 გვ.

ახალი ფორმაცია
„ასწიე ღონესა ჰქვია...“

1993 წლის 10 დეკემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჩემი „ნახევრად ღია და ნახევრად დახურული წერილი ძველ, ახალ და მომავალ მთავრობებს“. შემდგომი ოთხი გრძელი წლის მანძილზე სახელისუფლებო-სამთავრობო საქმიანობაში მომხდარმა ძვრებმა მაიძულა თქვენი გაზეთის მეშვეობით მთავრობისათვის ამჯერად მთლიანად დახურული, ხოლო თქვენთვის გულღია წერილით მომემართა.



სურათზე: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 1994 წლის 22 აგვისტოს თემურ მაისურაძე გამოდის მოხსენებით თემაზე: „პრობლემური და შეუთავსებელი ამოცანების ამოხსნის თეორია“.

იხ. მე-6 გვ.

გუშინ
ქართველ პოლიციელთა პროფესიული დღესასწაული

10 ნოემბერს – პოლიციის დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია, ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, პოლიციის მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენლები.

მალხაზ მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში გაიხსნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლაში დაღუპულ პოლიციელთა ხსოვნის მემორიალი, რომლის ავტორია მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე.

პოლიციელებმა მხედრული პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. მოეწყო აღლუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცენტრალური აპარატის, ქალაქის პოლიციის სამმართველოს, პოლიციის აკადემიისა და გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების საჯარისო შენაერთების წარმომადგენლები.

აღლუმის დამთავრების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა საზეიმო შეხვედრა. მინისტრმა კახა თარგამაძემ მიულოცა პოლიციელებს პროფესიული დღესასწაული. მან, კერძოდ, თქვა: მართალია, ბევრი პოლიციის მუშაკი დასახიჩრდა და სამუდამოდ დაინვალიდდა კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ თუ საჭირო იქნება, თითოეული პოლიციელი სიცოცხლეს გასწირავს თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობას უკვე აქვს პოლიციის იმედი, მაგრამ სასურველი შედეგებისაგან ჯერ მაინც შორსა ვართ, დიდხანს ლოდინს არ ვაპირებთ და სულ მალე ვიხილავთ ისეთ პოლიციას, როგორიც ჩვენს ქვეყანას ეკადრება. სახელმწიფო კი ძლიერია მაშინ, როცა ადმინისტრაციული და ძალოვანი სტრუქტურები სანდო და საიმედო აქვს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, აღნიშნა მინისტრმა, რომ პოლიცია ახორციელებდა, ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის კურსს.

ქართულ პოლიციას პროფესიული დღესასწაული მიულოცა და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

იხ. მე-3 გვ.

პრეზიდენტის სამუშაო დღე

თანამშრომლობისკენ სწრაფვა რეალურ ხასიათს იძენს

– საქართველოსა და თურქეთს შორის მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა მრავალმხრივად ვითარდება. განსაკუთრებით გააქტიურდა სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებისადმი საერთო მისწრაფებაც,.– აღინიშნა 10 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის ნეჯდეთ მენზირის შეხვედრაზე.

ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილებით აღნიშნა თურქეთის სატრანსპორტო უწყების ხელმძღვანელის ვიზიტის დროს გამართული მოლაპარაკების შედეგები. მოლაპარაკებებზე ორი ქვეყნის შესაბამისმა უწყებებმა დაადასტურეს მზადყოფნა, გამოაცხადონ ტენდერი ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ასევე ყურადღება მიაპყრო საავტომობილო და საპაერო მიმოსვლის გააქტიურების მნიშვნელობას როგორც ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცების, ასევე ევრაზიის დერეფნის რეალური ამოქმედების თვალსაზრისითაც.

ნეჯდეთ მენზირმა სრულად გაიზიარა პრეზიდენტის მოსაზრებანი და აღნიშნა, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროების ხელმძღვანელებთან მთელი რიგი საკითხების განხილვისას გამოიკვეთა თანამშრომლობის რამდენიმე მიმართულება, მათ შორის, ფოთისა და სამსუნის ნავსადგურებს შორის საბორნე მიმოსვლის განვითარება, თბილისსა და ტრაპიზონს შორის საჰაერო ხიდის ამოქმედება, კონკრეტული პროექტები საკომუნიკაციო სისტემაში პარტნიორობისათვის და სხვა მრავალი. ყოველივე ეს, შეხვედრის მონაწილეთა განცხადებით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც ორი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის, ასევე „აბრეშუმის გზის“ მარშრუტის აღდგენა-განვითარებაში.

რეფორმის ახალი ეტაპი: ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპი უნდა გაუმჯობესდეს

10 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორი ჯონ ოლდინგ სმიტი, ფონდის მისიის წევრებთან ერთად.

იმსჯელეს რეფორმის მეორე ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით ქვეყნის ეკონომიკის ცალკეულ სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე. – რეფორმათა აღნიშნულ ეტაპზე ძირითადი ყურადღება მიეპყრობა არსებულ პრობლემათა სიღრმისეულ მოწესრიგებას,

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

„ვეცდები, გავაგრძელო კონსტრუქციული თანამშრომლობის ტრადიცია“...

„ჩემს წინამორბედს ურთულეს პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებასა და საფრანგეთის საელჩოს მორის ჩამოყალიბებული კონსტრუქციული თანამშრომლობის ტრადიცია მისი დამსახურებაა, ვეცდები ტრადიცია გავაგრძელო და ჩვენი თანამშრომლობის დონე საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტების ურთიერთობის დონეს გავუტოლო“, – განაცხადა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მირეი მიუსომ სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან შეხვედრაზე.

საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „საქართველოს მეგობრობის ჯგუფის“ და, კერძოდ, საფრანგეთის როლს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. როგორც ელჩმა აღნიშნა, იგი სერიოზულად ემზადება ჟენევის მორიგ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და საფრანგეთის ნაყოფიერი, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა თანდათან უფრო დინამიკური და ფართომასშტაბიანი გახდება.

პროტესტს უცხადებენ ყრილობას

10 ნოემბერს სასტუმრო „ივერიაში“ აფხაზეთის ახალგაზრდული მოძრაობის პრესკონფერენციაზე გააკეთეს განცხადება, რომ ეს მოძრაობა ბოიკოტს უცხადებს ყრილობას, რომელიც დღეს გაიმართება.

ახალგაზრდულმა მოძრაობამ მორიგი ყრილობა შეაფასა, როგორც ორთქლის გამოშვება და თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებით.

გაზი – თბილისში

თბილისის იმ რაიონებში, სადაც გაარემონტეს მილსადენები, აღდგა ბუნებრივი გაზის მიწოდება. გაზი მიეწოდება დაახლოებით 10 ათას ოჯახს. გადასახადი სულზე 4 ლარი და 53 თეთრია.

ცხინვალი
ედუარდ შევარდნაძის შესახვედრად ემზადება

გუშინ დილიდან აღდგა რუსეთიდან უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. ამის შესახებ „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ლუდვიგ ჩიბიროვმა.

მისი განმარტებით, გადაწყვეტილება რუსეთიდან სამხრეთ ოსეთისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ მოსკოვში მისი უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ მიიღეს.

კორესპონდენტის კითხვა – ვინ გადაიხდის ელექტროენერგიის საფასურს თუ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ვალი – 4 მილიონი დოლარი (რომელიც საქართველომ რუსეთს უნდა გადაუხადოს), კვლავ გაიზრდება, ჩიბიროვმა უპასუხოდ დატოვა. მანვე აღნიშნა – მთავარია, რომ სამხრეთ ოსეთს ელექტროენერგია მიეწოდება და ცხინვალი ემზადება 14 ნოემბერს გაჩახჩახებულ სამხრეთ ოსეთში შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

„საქნავთობი“ აუქციონზე საწარმოთა საკონტროლო პაკეტს გაყიდის

როგორც „ივერიის“ კორესპონდენტს „საქნავთობპროდუქტების“ სახელმწიფო საწარმოდან აცნობეს, „საქნავთობს“ განსაზღვრული აქვს აუქციონზე ტენდერის წესით გასაყიდად 9 საწარმოს აქციათა საკონტროლო პაკეტი გამოიტანოს. ტენდერში მონაწილეობისათვის შემდეგი პირობაა წამოყენებული – აღნიშნულ საწარმოთა შემსყიდველმა ფირმამ საწარმოთა პროფილი 5 წლის განმავლობაში არ უნდა შეცვალოს და დაფაროს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ აღნიშნული დავალიანება, რომელიც 1 მლნ დოლარს შეადგენს.

აღდგა სატელეფონო კავშირი

„აფსნი პრესი“ იუწყება, ამა წლის 5 ნოემბრიდან ჩაირთო სატელეფონო ხაზები ადლერიდან, რაც აფხაზეთის მოსახლეობას საშუალებას მისცემს სატელეფონო კავშირები დაამყაროს რუსეთის ფედერაციასა და თანამეგობრობის ქვეყნებთან.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“.

უკანასკნელ საათს

პეკინი. დღეს დასრულდება ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში, რომლის უმთავრეს შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ჩინეთსა და რუსეთს შორის წლების განმავლობაში სასაზღვრო დავის მშვიდობიანი დასრულება. ბორის ელცინმა და ძიან ძებინმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას რუსეთ-ჩინეთის საზღვრის აღმოსავლეთ მონაკვეთის დემარკაციის შესახებ. დაიდო მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები.

სანქტ-პეტერბურგი. მოულოდნელი ცნობა გავრცელდა გუშინ რუსეთში იმის თაობაზე, რომ 7 ნოემბერს, დილით სანქტ-პეტერბურგის ყოფილ მერს ანატოლი სობჩაკს საკუთარი სურვილით დაუტოვებია გულის სისხლძარღვთა ქირურგიის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კლინიკა და მკურნალობის გასაგრძელებლად პარიზს გაფრენილა. თუმცა დანამდვილებით ამას ვერავინ ამტკიცებს.

დაჯილდოება
საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 6 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმის, მამაცობის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

I ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

კახა თარგამაძე – პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ვასილ დავითაია – პოლიციის პოლკოვნიკი, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ჯუმბერ ტაკიძე – პოლიციის პოლკოვნიკი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი

შაქრო წინწკალაძე – პოლიციის პოლკოვნიკი, ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი.

ღირსების ორდენით:

ჯემალ მიქელაძე – პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი, მინისტრის პირველი მოადგილე

პროკოფი ხვიჩია – პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კათედრის პროფესორი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

მალხაზ ბაძაღუა – პოლიციის პოლკოვნიკი, კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

მამუკა გაბელაია – პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი, აბაშის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების პოლიციის უბნის ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ)

კობა კობიაშვილი – პოლიციის პოლკოვნიკი, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

გიორგი ნანეიშვილი – პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსების კურსის უფროსი

სერგო ნინუა – პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი

გიორგი ჩხიტუნიძე – პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ქ. თბილისის სამგორის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს ადმინისტრაციული პოლიციის საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსი

ზურაბ ძნელაძე – პოლიციის პოლკოვნიკი, სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

გურამ ახალაია – პოლიციის პოლკოვნიკი, კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე

ილია ბარსკი – პოლიციის პოლკოვნიკი, სამდივნოს უფროსი

ზურაბ მსხვილიძე – პოლიციის პოლკოვნიკი, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი

ვალიკო როგავა – პოლიციის პოლკოვნიკი, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსი

თამაზ სულავა – პოლიციის პოლკოვნიკი, საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

რობერტ ჭიკაიძე – პოლიციის პოლკოვნიკი, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი.

ე. შევარდნაძე.

წოდების მინიჭება
საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1997 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

პოლკოვნიკ ე. გენძეხაძისათვის პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკს **ედუარდ გენძეხაძეს** პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1997 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

პოლკოვნიკ ა. ჩხაიძისათვის პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პოლიციის პოლკოვნიკ **ავთანდილ ჩხაიძეს** პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1997 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

პოლკოვნიკ ლ. კენჭაძისათვის პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს შინაგან საქმეთა ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პოლიციის პოლკოვნიკ **ლევან კენჭაძეს** პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1997 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

პოლკოვნიკ ი. ალავიძისათვის პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ **იოსებ ალავიძეს** პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1997 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

პოლკოვნიკ ლ. ნაჭყებიას პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, პოლიციის პოლკოვნიკ **ლავრენტი ნაჭყებიას** პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

„ხალხი დაბრძენდა, ხალხმა იცის მშვიდობისა და სტაბილურობის ფასი, ხალხი ხედავს თავისი ქვეყნის რეალურ მომავალს“

პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულია. ამავე დროს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადა გაგრძელდა 31 იანვრამდე (გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება – 31 იანვრამდე), ან იმ დრომდე, სანამ რომელიმე მხარე არ დააყენებს სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის საკითხს. შეიძლება ეს მოხდეს ერთ კვირაში, ერთ თვეში, ან საერთოდ 31 იანვრამდე არ დავაყენოთ ეს საკითხი, იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მდგომარეობა. ესე იგი ამ ძალების გაყვანის ვადით ჩვენ შეზღუდული არა ვართ და ამას არც ყრილობა უნდა, არც მიტინგი და არც დემონსტრაცია.

ეს-ეს არის რეალურად იწყება ჟენევის პროცესი, უფრო სწორად დაიწყო. სოლიდური დღის წესრიგითა და სათანადო მონაწილეებით. შეხვედრა 15 ნოემბერს უნდა გაიმართოს. ამ პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, კონფლიქტის ზონიდან ჯარების გაყვანის თაობაზე. გაეროს გენერალურმა მდივანმა ბატონმა კოფი ანანმა (გთხოვთ, ამასაც მიაქციოთ ყურადღება) გამოთქვა თავისი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება, ისევე, როგორც ჩვენმა მეგობარმა ქვეყნებმა.

ჩემი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჟენევის მოლაპარაკების მიმართ, ესე იგი კონფლიქტის მოწესრიგების შემდგომი ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რუსეთის დიპლომატია დადებითად არის განწყობილი. ისინი ჩამოყალიბდნენ და მიაჩნიათ, რომ ამ პროცესის — ინტერნაციონალიზაციის პროცესის შეჩერება შეუძლებელია და მას საკმაოდ აქტიურად უჭერენ მხარს.

გადასაწყვეტია ამ ეტაპზე სამშვიდობო მოლაპარაკებაში, ხოლო შემდეგ სამშვიდობო ოპერაციებში უკრაინის ჩართვის საკითხი. შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტამ სამშვიდობო მისიას, რომელიც გაეროს ეგიდით ხორციელდება, სულ სხვა ხასიათი და მასშტაბი მიანიჭოს. ეს საკითხი ჩვენ განვიხილეთ თბილისში ბატონ კუჩმას ვიზიტის დროს. იქნებ სამშვიდობო ძალების ჩანაცვლების პრობლემაც მოგვარდეს.

ამასთან, ყველამ კარგად უნდა გაითვალისწინოს ის ნეგატიური შედეგები, რომლებიც რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას შეიძლება მოჰყვეს. არ გამოვრიცხავ, რომ ყველაფერი, რაც აფხაზეთის ტრაგედიასთან არის დაკავშირებული, თავიდან დაიწყოს (ტექნიკისა და იარაღის ჩატოვება; თუკი სამშვიდობო ძალები გავლენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეიარაღების 80-90 პროცენტს იქ დატოვებენ, და ეს არის ყველაზე თანამედროვე ტექნიკა; ეგრეთ წოდებული „მოხალისე ბოევიკთა“ ახალი რაზმების, ახალი ჯგუფების შემოსვლა და მრავალი სხვა). ამიტომაც ჩანაცვლების საკითხი პრობლემათა პრობლემაა. ვინც ამ ეტაპზე სამშვიდობო ძალების გაყვანის მოსალოდნელ შედეგებს ვერ ითვალისწინებს, იგი დიდი საფრთხის ქვეშ აყენებს არა მარტო გალის რაიონში ჩარჩენილი ქართველობის, არამედ ენგურსგამოღმა მცხოვრები ათიათასობით ოჯახის, როგორც ადგილობრივი, ასევე ლტოლვილი ოჯახების ბედსაც.

თუ ღმერთმა ინება და გალის რაიონში ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნება დაიწყო, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მზად არიან დააფინანსონ ამ რაიონის აღდგენა-რეაბილიტაცია, მათ შორის გადამწვარი სახლების აღდგენა, ახლების აშენება, სკოლებისა და საავადმყოფოების ამოქმედება და მრავალი სხვა. მომავალში, დარწმუნებული ვარ, ლტოლვილთა დაბრუნების შემთხვევაში, ასეთი მასირებული დახმარება სხვა რაიონებსაც შეეხება და იგი გავრცელდება არა მარტო ქართველებზე, არამედ აფხაზებზე, სომხებზე, რუსებზე და სხვებზე, რომლებმაც ომის შედეგად მძიმე ზარალი განიცადეს. საბოლოო ანგარიშით, ხალხის დაბრუნებისა და სრული პოლიტიკური მოწესრიგების შემთხვევაში, ლაპარაკი იქნება უკვე მთელი აფხაზეთის აღდგენა-აღორძინებაზე, მისი ყველა მცხოვრების კეთილდღეობაზე. ვიმეორებ, პოლიტიკური მოწესრიგებისა და ლტოლვილთა დაბრუნების შემთხვევაში.

ვერ გეტყვით, უბრალოდ, არ ვარ ამისათვის ახლა მზად, რას წარმოადგენს საკოორდინაციო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებათა შესრულებაში მონაწილეობას არ მიიღებს აფხაზეთის (როგორც ჩვენ ვუწოდებთ და არცთუ უსაფუძვლოდ) ლეგიტიმური ხელისუფლება — უმაღლესი საბჭო, მთავრობა, დევნილთა კავშირი, პარლამენტში აფხაზეთის ფრაქციის წევრთა უმრავლესობა და ზოგიერთი სხვა წამყვანი პოლიტიკური პარტია. მათ შორის მოქალაქეთა კავშირი. ესე იგი, ვის ეყრდნობა ეს საკოორდინაციო საბჭო?

იქნებ ჩვენ, ქვეყნის პრეზიდენტის, პარლამენტის მონაწილეობით, განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს დევნილთა ყრილობა, თუნდაც მისი წესდების გათვალისწინებით ანდა შემოღებით, რა შემთხვევაში და რა ვითარებაში, როგორი დღის წესრიგით არის შესაძლებელი მისი მოწვევა. შეუძლია თუ არა დევნილთა ყრილობას მოითხოვოს პრეზიდენტის გადადგომა და გადაყენება, ვისთვის არის სავალდებულო მისი გადაწყვეტილებანი? ესე იგი, თუ მოითხოვა დევნილთა ყრილობამ პრეზიდენტის გადადგომა, უნდა გადადგეს პრეზიდენტი თუ არ უნდა გადადგეს? და ა.შ. ყველაფერი ეს ბურუსით არის მოცული. პირადად მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი ასეთ მოსამზადებელ მუშაობაში, ე.ი. იმის განსაზღვრაში, თუ რა არის დევნილთა ყრილობა, რა გადაწყვეტილებები შეიძლება მან მიიღოს და როგორ უნდა სრულდებოდეს, დიდი პასუხისმგებლობით მივიღებდი მონაწილეობას.

გვთავაზობენ განვიხილოთ ლტოლვილთა მატერიალური ყოფის პრობლემები და დავეხმაროთ ლტოლვილებს. ნორმალური ადამიანისათვის არ შეიძლება სადავო იყოს ამ საკითხის სიმწვავე და აქტუალურობა. ბევრი ლტოლვილი, ისევე როგორც არალტოლვილი, უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. მაგრამ საკითხის ასე სპონტანურად განხილვას შედეგი, გარწმუნებთ, არ მოჰყვება. საქართველოს შესაძლებლობანი ყველას ხელისგულზე უდევს. უნდა ვიკისროთ ის ვალდებულება, რომლის შესრულებაც შეგვიძლია. სხვათა შორის, ისიც მინდა გაცნობოთ, მე უწინარესად ლტოლვილებს მივმართავ, რომ გამოზამთრების პერიოდში ლტოლვილებისათვის დახმარების გაწევის შესახებ მზადდება პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინებს იმ გადაუდებელ ღონისძიებებს, ყველაზე დაუცველი ფენების გამოზამთრებისათვის რომ არის აუცილებელი.

მე გთავაზობთ ასეთ ვარიანტსაც: როცა ვლაპარაკობთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ, უნდა შევაჯამოთ ისიც, თუ რა გაკეთდა, შევადგინოთ ნუსხა, რა გავაკეთეთ ყველამ ერთად ლტოლვილებისათვის, კიდევ რის გაკეთება შეიძლებოდა ანდა შეიძლებოდა თუ არა კიდევ სხვა რამის გაკეთება, ან რა რეალური რესურსები აქვს ქვეყანას? ისიც ვნახოთ, ლტოლვილებისათვის გამოყოფილმა ყოველმა ლარმა მიაღწია თუ არა ადრესატამდე? იმამიც გავერკვეთ, რამდენი ლტოლვილია დასაქმებული, რამდენი ლტოლვილის დასაქმება მოვახერხეთ, რამდენი სწავლობს, რამდენი კოლექტივი, რამდენი სამთავრობო სტრუქტურა და სხვები შევინარჩუნეთ. ყველაფერი შევაჯამოთ და თქვენთან ერთად, ლტოლვილებთან ერთად შევაჯამოთ და შემდეგ ვიმსჯელოთ, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა. სხვანაირად, ისე გამოვა, რომ შევიკრიბებით, გულს მოვიფხანთ, შედეგს კი შეიძლება საერთოდ ვერ მივაღწიოთ.

და კიდევ ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ ვაიპოლიტიკოსთა საყურადღებოდ (თქვენ მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს მე იშვიათად ვხმარობ ამ სიტყვებს „ვაი — პოლიტიკოსებს“ და ასე შემდეგ), რომლებიც არა მარტო ლტოლვილებს, არამედ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილსაც მოუწოდებენ დაუმორჩილებლობისაკენ, ხელისუფლების გადაყენებისაკენ და, სხვათა შორის, რაც ყველაზე უფრო შემაშფოთებელია, აქა-იქ გაისმის ძალიან ნაცნობი ხმები და ლოზუნგები — სისხლი, სისხლი უნდა დაიღვაროსო. თუ დაიღვრება სისხლი, ქვეყანა არ დაიქცევაო, მაშინ დადგება ჩვენი დრო და ჩვენი ამინდიო. ეს ის ხალხია, ვინც მოწოდებაშია მაგარი და როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ ყოველთვის ჩრდილში აღმოჩნდებიან ხოლმე. ყველაფერი ეს „არახალია, ძველია“. ფრთხილად, ბატონებო, ჩვენმა ხალხმა, სამიათასწლოვანმა ქართულმა სახელმწიფომ სისხლის ზღვაში იცურა, ამ ზღვაში შინააშლილობისა და ღალატის შედეგად დაღვრილი თანამემამულეთა სისხლიცაა, რომელიც მდინარეებად ერთვიან იმ სისხლიან ზღვას.

ნურავინ შეეცდება ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას. ნურავინ შეეცდება გაწამებული და გატანჯული ლტოლვილის თავისი პოლიტიკური ამბიციების ხორცშესხმისათვის გამოყენებას. ხალხი დაბრძენდა, ხალხმა იცის მშვიდობისა და სტაბილურობის ფასი. ხალხი ხედავს თავისი ქვეყნის რეალურ მომავალს. მაშ, თუ გეყოფათ ვაჟკაცობა, ჩაერთეთ აღმშენებლობის იმ ნაკადებში, რომლებსაც საქართველოში ახლა დაედო სათავე.

მე ჩემი ნაბიჯი უკვე გადმოვდგი, ჩემი სიტყვა უკვე ვთქვი და ხელიც გამოგიწოდეთ. სიტყვაც და საქმეც ახლა თქვენზეა.

აი, ეს მინდოდა მეთქვა ამ თემასთან დაკავშირებით.

— კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო თემა განვლილი კვირისა: თქვენ ხელი მოაწერეთ ბრძანებულებას დაახლოებით 1400 პატიმრის შეწყალების თაობაზე. განვლილ კვირაშივე გაიმართა უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა, როგორც ყოველთვის, რასაკვირველია, დახურულ კარს მიღმა...

— უშიშროების საბჭოს სხდომა რომ დახურულ კარს მიღმა იმართება, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან იგი განსაკუთრებული ორგანო და განსაკუთრებული სტრუქტურაა. ამ სხდომაზე ბევრი საყურადღებო საკითხი განვიხილეთ, მაგრამ ამჯერად მინდა საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ერთ პრობლემას, და არა შემთხვევით, მე ვიტყოდი, შემაშფოთებელ ტენდენციას, რომელმაც თავი იჩინა სამოქალაქო და რაიონული სასამართლოების მუშაობაში. შეიძლება ამაზე პრეზიდენტი ამდენს არ უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ მე, როგორც მოქალაქე, თავს უფლებას ვაძლევ განგაშის ზარი შემოვკრა ამასთან დაკავშირებით.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე შემოდის უამრავი წერილი, მათ შორის პრეზიდენტის სახელზე, საჩივარი. ადამიანები (განსაკუთრებით დაზარალებულთა ახლობლები) გამოთქვამენ აღშფოთებას იმის გამო, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენთ ზოგიერთ სასამართლოში, მე ვიტყოდი, გაუმართლებელი ლმობიერებით ეპყრობიან, გაუმართლებლად ავრცელებენ მათზე დაუსაბუთებელ შეღავათებს. რატომ და რისთვის, ალბათ, მსმენელი მიმიხვდება. და ყოველთვის ჰუმანიზმი არ არის აქ მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი. საზოგადოებაში სულ უფრო მკვიდრდება აზრი, რომ აქ ახალი, სასტიკი ძალით იფეთქა ფართომასშტაბიანმა კორუფციამ. ამიტომ მე არა მაქვს უფლება, იუსტიციის საბჭოს უახლოეს სხდომაზე პრინციპულად არ დავსვა ეს საკითხი. მით უმეტეს, რომ იუსტიციის საბჭოს ზოგიერთი წევრი თავად კატეგორიულად მოითხოვს ამ თემაზე პრინციპული მსჯელობის დაწყებას სწორედ სასამართლო რეფორმის პირველ ეტაპთან დაკავშირებით. გადაუჭარბებლად ვიტყვი: საქმე ეხება სამართლებრივი რეფორმის ბედს საქართველოში. რეფორმა აუცილებელი და გარდაუვალია, მაგრამ არ უნდა მივცეთ მისი დისკრედიტაციის უფლება მოსამართლის მანტიას ამოფარებულ მექრთამეებს. ღმერთმა დამიფაროს, რომ ყველა მოსამართლეს ვგულისხმობდე.

კორუფცია ყველგან და განსაკუთრებით სასამართლოში — უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულად მიმაჩნია. მით უმეტეს, როდესაც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ სტადიაში შედის, და ერთდროულად ყველაფერს ვაკეთებთ, რათა გამართლებული და საზოგადოებრივად მიზანშეწონილი ლმობიერება გამოვიჩინოთ იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც ამას იმსახურებენ.

საქართველოში, თქვენ მოგეხსენებათ, ფაქტობრივად გაუქმდა სიკვდილით დასჯა, პრეზიდენტმა შეიწყალა ორმოცდაათზე მეტი სიკვდილმისჯილი. გუშინწინ მე ხელი მოვაწერე და შევიტანე პარლამენტში კანონპროექტი სასჯელის ამ უმაღლესი ზომის საერთოდ გაუქმების შესახებ და მჯერა, რომ პარლამენტი ამას დაეთანხმება. სულ ახლახან განხორციელდა შეწყალების კიდევ ერთი აქტი — შეწყალებულია 958 მსჯავრდებული, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ შრომაში სავალდებულო ჩაბმა (და ისინი ფორმალურად იხდიდნენ ამ სასჯელს), და 420 მსჯავრდებული, რომლებიც სასჯელს იხდიან იზოლატორებში. დეკემბერში განხორციელდება შეწყალების მეორე ეტაპი. მაგრამ ამგვარი ლმობიერება როდი ნიშნავს, რომ შევურიგდით დამანგრეველი პროცესის წარმოშობას სამართალდაცვის სისტემაში. ყოველნაირად დავეხმარებით სასამართლო ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს, რათა ეს პროცესი ჩანასახშივე აღიკვეთოს. დარწმუნებული ვარ, იუსტიციის საბჭო, რა თქმა უნდა, უმაღლესი სასამართლო მტკიცე და პრინციპულ გადაწყვეტილებას მიიღებენ ამის თაობაზე.

ჩვენი რადიოინტერვიუს დამთავრების შემდეგ მე მექნება შეხვედრა პოლიციის დღესთან დაკავშირებული შეკრების მონაწილეებთან. რამდენიმე სიტყვას იქაც ვიტყვი და იქაც მინდა მთელი სიმწვავით დავაყენო ეს პრობლემა.

— განვლილ კვირაში 7 ნოემბერი ჩვენი საზოგადოების მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა აღნიშნა, ასე ვთქვათ, საზეიმო და გაუგებარი ლოზუნგებით. მაგალითად, გორში სტალინის ძეგლთან ასეთი ლოზუნგი იყო რაღაც ახალ კავშირში საქართველოს შესვლის თაობაზე. თავის დროზე, საბედნიეროდ, საქართველოში ვერ მოხერხდა ინტერფრონტის ჩამოყალიბება, ვერ მოხერხდა მეხუთე კოლონის შექმნა, ყველა ადამიანს აქვს უფლება სწამდეს და სჯეროდეს ის იდეა, რომელიც მოსწონს. ხომ არ ხდება გაერთიანება სწორედ ამ მიზნით, რომლითაც თავის დროზე საქართველოში ვერ შეიქმნა ინტერფრონტი?

— მე მგონი, ეს მოწოდებები აბსურდამდე მიდის. საქართველო თანამეგობრობის ქვეყნების გაერთიანების წევრია, საქართველო არის შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ალიანსის წევრი, საქართველო გახლავთ ევროატლანტიკური საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ საბჭოს წევრი. საქართველოს აქვს განაცხადი ევროსაბჭოს წევრობაზე და საქართველო ბოლოს უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი და კიდევ კასპიისზღვისპირა ქვეყნების წევრობაზე ვაცხადებთ პრეტენზიას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. კიდევ, რა კავშირი უნდათ ვერ გამიგია.

გორში შეკრებილთ ორ კატეგორიად დავყოფდი: იქ იყვნენ კომუნისტები, რომელთა ნაწილს მეც ვიცნობ. ეს უფრო ხნიერი ხალხია და, თავისთავად, ისინი პატივისცემას იმსახურებენ. გარკვეული დამსახურებაც მიუძღვით წარსულში და ასე შემდეგ. და იყვნენ ეგრეთ წოდებული „მოკომუნისტო“ ელემენტები, უფრო სწორად, მეღროვე ხალხი, ყველა არა, მაგრამ ნაწილი. მათ მიერ ოქტომბრის რევოლუციის 80 წლისთავის აღნიშვნამ, შესაბამისმა ლოზუნგებმა და ტრანსპარანტებმა, მომიტევეთ ამ გამოთქმისათვის და ნაფტალინის მძაფრი „სურნელი“ დააყენა საქართველოში. ძალიან ჩამორჩენილი უნდა იყოს კაცი ცხოვრებას, რომ შენი ქვეყნის მომავალს ასეთი პოზიციიდან უყურებდე და, ფაქტობრივად, კვლავ მოუბრუნებელ წარსულში ექაჩებოდე. ამაზე საუბრის გაგრძელება, ალბათ, არც ღირს.

— გასულ კვირას თქვენ მიიღეთ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ქალბატონი მიხაილოვა. ხომ არ შეიძლება ეს განვიხილოთ, როგორც საქართველოს ბალკანური პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება?

— მართალი ბრძანდებით, ასეთი შეხვედრა გაიმართა. მე ახლა ერთ მხარეს შევეხები. ჩემი აზრით, ბალკანეთის ქვეყნების პოლიტიკურ კოოპერაციას, ამ ქვეყნებს შორის დიალოგის განვითარებას, აგრეთვე კონტაქტებს თურქეთსა და საბერძნეთს შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ამ რეგიონში და მეზობლად მცხოვრები ყველა ხალხის, მათ შორის საქართველოსთვისაც. სწორედ ამ თემაზე ვისაუბრეთ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას. მინდა ვთქვა: საქართველო მიესალმება დიალოგს ბალკანურ სახელმწიფოთა შორის, ისინი ჩვენი მეზობლები არიან. უკვე გამოვთქვი უფრო ადრე მოსაზრება სამი ზღვისპირა — ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და კასპიის ზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობის თაობაზე. ბალკანეთი ამ დიდი არეალის შემადგენელი ნაწილია. ამავე კონტექსტით განვიხილავ აგრეთვე გააქტიურებულ კონტაქტებს თურქეთსა და საბერძნეთს, ჩვენს ორ მეგობარ ქვეყანას შორის. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო დროს იქმნება კეთილმყოფელი ვითარება. განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს საბერძნეთის ხელმძღვანელობის პოზიცია იმ შეკრებაზე, სადაც საბერძნეთმა მხარი დაუჭირა თურქეთის გაერთიანებას ევროსტრუქტურებში, და ამას საქართველო მიესალმება. ამასთან ერთად, ჩვენი, როგორც იტყვიან, ბალკანური პოლიტიკა ჩამოყალიბებულია და უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში დაგეგმილია ჩემი ვიზიტი ბულგარეთში. ასევე შევხვდები რუმინეთის ხელმძღვანელობას, იქაც სერიოზულად ემზადებიან. ასევე სხვა ქვეყნებშიც. ასე რომ, საქართველო-კავკასია-ბალკანეთი, ასე ვთქვათ, მას სჭირდება ხიდი და ჩვენ ამ ხიდს აუცილებლად გავუდებთ.

— გასულ კვირას ვენაში გაიმართა ევროუშიშროების ორგანიზაციის მუდმივი საბჭოს სხდომა, რომელზეც საქართველოში ამ მისიის მეთაურმა მიხაელ ლიბალმა თავისი ანგარიში წარადგინა. განსაკუთრებული ყურადღება, რასაკვირველია, ცხინვალისა და აფხაზეთის პრობლემებს დაეთმო. მის გამოსვლაში ითქვა ასეთი ფრაზა, რომ ცხინვალსა და აფხაზეთს მხოლოდ ავტონომიის სტატუსი შეიძლება ჰქონდეთ საქართველოს შემადგენლობაში. მისი შეფასებანი საკმაოდ კრიტიკული იყო აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საქმიანობის მიმართ. ითქვა ასეთი საყურადღებო ფრაზაც ქართული ჯარის მომზადების საერთო მაღალი დონის აღნიშვნასთან ერთად (საუბარი იყო ყულევის წვრთნაზე) ყულევის წვრთნა არ უნდა განვიხილოთ როგორც საქართველოს მზადება მისი ერთ-ერთი ნაწილის — აფხაზეთის წინააღმდეგ საომრად. აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში საქართველოს პოლიციას მხარი დაუჭირეს ისეთმა მნიშვნელოვანმა ქვეყნებმა, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, აზერბაიჯანი და უკრაინა, ქვეყნებმა, რომლებსაც თავისი სიტყვა ეთქმით ამ ორგანიზაციაში...

— ყველაფერი, რაც აღნიშნეთ, უაღრესად საყურადღებოა, ეუთოს საბჭოს სხდომამ ვენაში გარკვეულწილად განაგრძო ის ტრადიცია, რომელსაც ბუდაპეშტსა და ლისაბონში ჩაეყარა საფუძველი ამ ევროპული ორგანიზაციის უმაღლესი დონის სამიტებზე. უკვე შეიძლება მართლაც ვისაუბროთ ევროპული სტრუქტურების მხრივ საქართველოს პოლიტიკის ტრადიციულ მხარდაჭერაზე. სხვათა შორის, ეს არ არის ორდინალური მოვლენა — ყველა პოსტსაბჭოურმა თუ პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ როდი შეძლო ევროპაში ამგვარი ტრადიციის შექმნა. დარწმუნებული ვარ, თუ კვლავაც ვუერთგულებთ დემოკრატიის პრინციპებს, — ეს ტრადიცია კიდევ უფრო განმტკიცდება და ხელს შეუწყობს კონფლიქტების სამართლიან და მშვიდობიან მოწესრიგებას.

— გასულ კვირაში გამოქვეყნდა იტარ-ტასის ცნობა, რომლის თანახმად პენტაგონის ხელმძღვანელობა ახლა განიხილავს კასპიისპირეთის სამხედრო-სტრატეგიული კუთვნილების საკითხს, ანუ იგულისხმება ის, თუ ამერიკის შეიარაღებული ძალების რომელმა რეგიონულმა სარდლობამ უნდა გაუწიოს კურირება კასპიისპირეთისა და კავკასიის რეგიონს სამხედრო-სტრატეგიული დაგეგმარების თვალსაზრისით. იმავე წყაროს ცნობით, პენტაგონის მიზანია შექმნას ამერიკის სამხედრო სარდლობასა და კავკასია — კასპიისპირეთის ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლებს შორის რეგულარული კონტაქტების პირობები. ასეთი საინტერესო თეზისიც არის: ამგვარ კონტაქტებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება, თუ კავკასიაში ამჟამად არსებული რომელიმე კონფლიქტი ოდესმე საფრთხეს შეუქმნის ამერიკის მზარდ ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში და ნავთობკომპანიათა მრავალმილიარდიან ინვესტიციებს.

— ამ წყაროს წარმოშობა და მისი საიმედოობა არ შემიმოწმებია. მაგრამ, ვგულისხმობ, რომ იტარ-ტასი იმდენად ავტორიტეტული სააგენტოა, რომ, არა მგონია, ეს მონაჭორი იყოს. აქედან გამომდინარე, მართლაც საყურადღებო ინფორმაციაა. აქედან საქართველოშიც და, მე ვიტყოდი, რუსეთშიც ის დასკვნა უნდა გამოიტანონ, რომ აუცილებელია დაჩქარდეს ყარაბაღის, აფხაზეთის, ქართულ-ოსური კონფლიქტების პრობლემათა გადაწყვეტა. ყველამ უნდა გაიგოს — მოსკოვშიც, თბილისშიც და სხვა დედაქალაქებშიც: თუ ამ პრობლემებს ვერ გადაწყვეტენ ისინი, ვისაც ამჟამად ყველა საშუალება და უფლებამოსილება აქვს საამისოდ, მაშინ საქმეში ჩაერევიან სხვა ძალები. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს პრობლემები უნდა გადაწყდეს, სამართლიანი მშვიდობა უნდა დამყარდეს, ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს. ეს არის მსოფლიო საზოგადოებრიობის მტკიცე ნება და ამ ნების შესაბამისად რეგიონში მოქმედების მანდატს მიიღებს ის, ვინც უფრო მეტი წარმატებით გადაწყვეტს სამართლიანი მშვიდობის დამყარების ამოცანებს: ეს ყველამ უნდა შეიგნოს, ყველამ უნდა გაითავისოს.

— ხვალ თქვენ ოფიციალურ ვიზიტად მიემგზავრებით ყაზახეთში. გარდა ამისა, დაგეგმილია ბაქოში ახალი ნავთობსაბადოსა და ნავთობსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიაში საქართველოს დელეგაციისა და მისი პრეზიდენტის მონაწილეობა.

— მომავალი ვიზიტი ყაზახეთის რესპუბლიკაში, ვფიქრობ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნის (საქართველოსა და ყაზახეთის), არამედ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების დაახლოებისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით. მოუთმენლად ველი შეხვედრას ბატონ ნურსულთან ნაზარბაევთან. მოგეხსენებათ, ჩვენი საკმაოდ დიდი ხნის ურთიერთობა და მეგობრობა. სათქმელი ბევრი დაგვიგროვდა. დარწმუნებული ვარ, ორმხრივი დიალოგი, როგორც ყოველთვის, გულახდილი და სასარგებლო იქნება. საქართველო და ყაზახეთი კვლავაც სინქრონულად იმოქმედებენ ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების თანხვედრის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ხანმოკლე შეჩერებას ბაქოში, ჩვენ აზერბაიჯანელ მეგობრებთან ერთად გავიზიარებთ იმ სიხარულს, „საუკუნის პროექტის“ რეალურ განხორციელებასთან რომ არის დაკავშირებული. ამოქმედდება ნავთობსადენი, რომელმაც მომავალში კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს ჩვენი ქვეყნები, ბევრი სიკეთე უნდა მოუტანოს აზერბაიჯანს, საქართველოს და ყველა ქვეყანას, რომლებიც ამ პროექტის რეალიზაციაში არიან ჩართული. ეს მართლაც ზეიმია, რომელსაც მხოლოდ პოზიტიური შინაარსი აქვს და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ არ არის მიმართული. რა თქმა უნდა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ჩემს მეგობართან პრეზიდენტ ალიევთან შეხვედრას. ასეთი შეხვედრა დაგეგმილია. დაგეგმილია საუბარი თურქეთის პრემიერთან მასუდ ილმაზთან და სხვებთან და სხვებთან. თუ იქნებიან მაღალი რანგის წარმომადგენლები რუსეთიდან, შეიძლება მათთანაც მქონდეს შეხვედრა. ასე რომ, ეს ხანმოკლე შეჩერება ბაქოში ძალიან დიდი აზრებითა და ძალიან დიდი მიზნებით არის დატვირთული.

საქინფორმი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ლარის კურსი უცვლელია

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, განვლილი კვირის განმავლობაში სავალუტო ბაზარზე კვლავ სტაბილური ვითარება შეინიშნებოდა. ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ კვირის განმავლობაში 1,300-1,302 ფარგლებში მერყეობდა. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კვირის ბრუნვამ 1,3 მლნ, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა — 531.000 აშშ დოლარი შეადგინა.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული ოფიციალური კურსი კვირის განმავლობაში არ შეცვლილა და კვირის ბოლოს 1 აშშ დოლარი 1,300 ლარის მაჩვენებელზე დაფიქსირდა.

ვალს გადახდა უნდა

მიმდინარე წლის 9 თვეში ქვეყნის სამრეწველო საწარმოებმა 31 მილიონ 740 ათასი ლარის ღირებულების 723 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მოიხმარეს, საიდანაც ენერგეტიკოსებმა მხოლოდ 16 მილიონ 464 ათასი მიიღეს.

1 ოქტომბრისათვის დებიტორულმა დავალიანებამ 35 მილიონ 776 ათასი ლარი შეადგინა. დავალიანების ზრდის ერთ-ერთ მიზეზად ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს მიერ არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება უნდა ჩაითვალოს.

გაუსაღებელი პროდუქციის მოცულობამ 9 თვეში დაახლოებით 11,5 მილიონი ლარი შეადგინა.

ამერიკელები ეროვნულ ბიბლიოთეკას ეხმარებიან

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას უცხოური ორგანიზაციები სერიოზულ დახმარებას სთავაზობენ, როგორც გეას კორესპონდენტს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ალეკო კარტოზიამ განუცხადა, ერთი თვის წინათ გამართული ქართულ-ამერიკული საბიბლიოთეკო კონფერენციის შემდეგ ამერიკელი კოლეგებისგან მიიღეს წინადადება მსოფლიო სალიტერატურო კატალოგში (OCLC) ქართული ლიტერატურის აღწერილობის შეტანის შესახებ.

ამ ძვირადღირებული სამუშაოს შესრულება, რომელიც აღწერილობათა კომპიუტერული სისტემის შექმნას ითვალისწინებს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1998 წლიდან დაიწყება და მას ამერიკის შეერთებული შტატები დააფინანსებს. ასევე, 1998 წელს 2 გერმანული საქველმოქმედო ფონდის სპეციალური პროგრამების განხორციელება არის დაგეგმილი. პირველი ეროვნული ბიბლიოთეკის ავარიული შენობის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს; მეორე პროგრამის მიხედვით კი, გერმანელები ბიბლიოთეკაში დაცული მე-19 საუკუნის პერიოდულ გამოცემათა უნიკალური კოლექციის ქსერო და ფოტო ასლების დამზადებაში გაგვიწევენ მატერიალურ დახმარებას.

საიუბილეო-სამეცნიერო სესია გორში

სოლომონ ხუციშვილის სახელობის გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნისა“ და სოლომონ ხუციშვილის საზოგადოების გაერთიანებული საიუბილეო-სამეცნიერო სესია, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 160 წლისთავს მიეძღვნა.

მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა: ს. ხუციშვილის სახელობის გორის საზოგადოების თავმჯდომარემ მოთა ქურდაძემ, დავით თევზაძემ, ლადო მინაშვილმა, ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგემ და ქალაქის მერიის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადეს საიუბილეო სამეცნიერო სესიის ორგანიზატორებსა და მომხსენებლებს. გამოთქვეს სურვილი, რომ მსგავსი ღონისძიებები ხშირად მოაწყოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნამ“.

ნინო გურასაშვილი.
გორი.

ბავშვთა სახლში მძიმე მდგომარეობაა

პარლამენტარ ნესტან კირთაძის ინფორმაციით, ეწერის უპატრონო ბავშვთა სახლში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. ბავშვებს, ელემენტარულად, პურითაც ვერ კვებავენ. ბავშვთა კონტინგენტი ამ სახლში 100-მდეა. კირთაძის განცხადებით, საჭიროა, შესაბამისმა ორგანოებმა მაქსიმალურად იზრუნონ მდგომარეობის მოგვარებისათვის.

ინფორმაციები მოგვაწოდეს ინტერფაქსმა, „ბეამ“ „მოამბე-ექსპრესმა“.

პრეზიდენტის სამუშაო დღე

რეფორმის ახალი ეტაპი: ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპი უნდა გაუმჯობესდეს

კერძოდ, ფისკალური პოლიტიკის სრულყოფას, ახალი მოთხოვნების შესაბამისად სახალხო მეურნეობის დარგების რესტრუქტურიზაცია-პრივატიზაციას, მმართველობითი სტრუქტურების მუშაობის გაუმჯობესებას, ჩრდილოვანი ეკონომიკის მანკიერებათა აღმოფხვრას, — აღნიშნა შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა.

დასასრული. დასაწყისი იხ. 1 გვერდზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა სრულად გაიზიარა ედუარდ შევარდნაძის შეხედულებები. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით, ძირითადი ყურადღება უნდა მიეპყროს საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალურ მობილიზაციას არა გადასახადების მაჩვენებლების ზრდით, არამედ მათი აკრეფის ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით. ამასთან, ჯონ ოლდინგ სმიტის განცხადებით, საქართველოსათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საგარეო ვალების პრობლემის დროული მოწესრიგება, კომერციულად გამართლებული პროექტების მაქსიმალური ხელშეწყობა, ინვესტიციებისათვის სასურველი გარემოს შექმნა, ენერგეტიკისა და საბანკო სექტორის სწრაფი რეორგანიზაცია, ხელისუფლების მმართველობითი სტრუქტურების ეფექტიანობის გაზრდა.

პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ძირითად პრობლემასთან — კორუფციასთან დაკავშირებით, სტუმარმა აღნიშნა, რომ მისი საფუძვლიანი აღმოფხვრის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს ეკონომიკური მართვის ხარისხის გაუმჯობესება, ხელისუფლებასა და საქმიან წრეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებაში, შეხვედრის მონაწილეთა აზრით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მზარდი ფუნქციის რეალურად ამოქმედება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მომავალი წლის დახმარების პროგრამის შემუშავების მიზნით, ფონდის ექსპერტები ქართველ კოლეგებთან ერთად გააგრძელებენ ინტენსიურ მუშაობას.

* * *

იმავე დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაცია ჯონ ოლდინგ სმიტის ხელმძღვანელობით მიიღო სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

საერთო ინტერესები ჯანდაცვის სფეროში

საქართველოს ჯანდაცვის სისტემასთან თანამშრომლობის გეგმები გააცნო აზერბაიჯანის ჯანდაცვის მინისტრმა, აზერბაიჯანის პარლამენტის წევრმა პროფესორმა ალი ბინატ ოღლუ ინსანოვმა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს 10 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე.

როგორც სტუმარმა განაცხადა, საქართველოსთან თანამშრომლობას აზერბაიჯანის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს. მან აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის ჯანდაცვის სისტემისთვის განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მიღწეული დიდი წარმატებები.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური — საქინფორმი.

გუშინ

ქართველ პოლიციელთა პროფესიული დღესასწაული

საქართველოს პრეზიდენტმა, უწინარეს ყოვლისა, პროფესიული დღესასწაული მიულოცა და თავისი თანადგომა და მხარდაჭერა დაუდასტურა ქართულ პოლიციას. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა ქართული პოლიციის წვლილი ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში დატრიალებული ქაოსისა და განუკითხაობის აღმოფხვრის საქმეში. იმაში, რომ ქვეყანამ დაძლია კრიმინალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების რეალური საშიშროება, ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, „ლომის წილი ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქართული პოლიციის იმ თავგანწირულ პროფესიონალთა ბირთვს, რომლებმაც თითქმის შეუძლებელი შეძლეს. ამ ბრძოლას ასობით პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა და დღეს ჩვენ ქედს ვიხრით მათი ხსოვნის წინაშე“.

როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, სამინისტროს ხელმძღვანელობამ უკვე გადადგა გაბედული ნაბიჯები სამინისტროს სტრუქტურისა და საქმიანობის რეფორმირების თვალსაზრისით. შინაგან საქმეთა სამინისტრო პირველი უწყება იყო, რომელმაც განახორციელა სისტემის დეცენტრალიზაცია, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ქვეყანაში სტაბილიზაციისა და კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღება. და, თუმცა, ჯერ კიდევ გვხვდება სხვადასხვა დანაშაულის რეციდივები, საქართველოში, როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, ყველა პირობაა შექმნილი მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების, ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის, საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების, ინვესტორების მოზიდვისა და სხვა ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას, პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განესაზღვრა ქაოსისა და განუკითხაობის პერიოდში ჩადენილ დანაშაულობათა გახსნა და მხილება, რადგან საქმე ეხებოდა სამართლიანობის აღდგენასა და კანონის უზენაესობას. „ადრე თუ გვიან, ყველამ უნდა აგოს პასუხი ჩადენილ ბოროტებასა და დანაშაულზე კანონის, ხალხისა და ღმერთის წინაშე“, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა პოლიციის მუშაობის პირობების გაუმჯობესების აუცილებლობას, რადგან, მისი შეფასებით, „მხოლოდ პოლიციის ტექნიკური მოდერნიზაციისა და თანამედროვე დონეზე გადაიარაღების შემთხვევაში გახდება შესაძლებელი მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და პროცესუალური კანონმდებლობის განუხრელი დაცვა“.

დღეს, როდესაც საქართველომ დაძლია კრიმინალური ყომმარი და ხმამაღლა აცხადებს დემოკრატიის, კონსტიტუციური პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტებს, მოქალაქეები განსაკუთრებით შეურიგებელი ხდებიან კანონიერების ნებისმიერი დარღვევისადმი და განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ იმ დარღვევებზე, რომელთაც პოლიციის თანამშრომლები ჩადიან. ამიტომ, პრეზიდენტის აზრით, სამინისტროს ყველა რანგის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ აღიკვეთოს მოქალაქეთა ინტერესებისა და ღირსების შემლახავი ფაქტები.

პოლიციის, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის, ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა. მისი არსის გაუთვალისწინებლობა არცთუ იშვიათად იწვევს საზოგადოებასა და პოლიციას შორის არაცივილურ დამოკიდებულებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, თუ როგორია ის თვისებრივად ახალი ფუნქციები, რომლებიც განაპირობა სახელმწიფოსა და პოლიციის მოდერნიზაციის მთლიანმა პროცესმა. თუ ტოტალიტარულ რეჟიმში პოლიცია კლასობრივი დათრგუნვისა და სოციალური იძულების იარაღს წარმოადგენდა და საფუძველშივე უარყოფდა პიროვნების თავისუფლების ყოველგვარ გამოვლინებას, დემოკრატიის პირობებში მას სხვა ფუნქცია დაეკისრა: დღეს საზოგადოებრივი წესრიგი და სტაბილურობა, როგორც თავისუფლების უპირველესი საშუალება, შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი პოლიციისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მეშვეობით. ამიტომ, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, „პოლიცია, თუკი იგი მოქმედებს კანონიერების ფარგლებში, გაგებულ უნდა იქნეს, უწინარეს ყოვლისა, მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფის საშუალებად, დემოკრატიის ფარად და დარაჯად“.

პოლიციის ფუნქციაა ზოგიერთი სტიქიური პროცესისაგან, კორუფციისა და მაფიისაგან, აგრეთვე სხვა მსგავსი ნეგატიური მოვლენისაგან დაიცვას კერძო საკუთრება და მეწარმე. „რა თქმა უნდა, ეს იმდენად რთული ამოცანაა, რამდენადაც ახალი, და იმდენად ფაქიზი, რამდენადაც ცდუნებადი... აქ თუნდაც მცირე გადახრა პირდაპირ ეხება პიროვნების თავისუფლებას, პოლიციის ავტორიტეტს და საერთოდ რეფორმების მსვლელობას“, — მიაჩნია ქვეყნის მეთაურს.

დემოკრატია მოითხოვს კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას. ეს კი ნიშნავს მის განერცობას არა მარტო საზოგადოებისა და მოსახლეობის რომელიმე ფენის, არამედ სახელმწიფოს მიმართაც. „სხვაგვარად გამორიცხულია თანასწორობისა და სამართლიანობის დემოკრატიული გაგება. თანასწორობა უნდა ვლინდებოდეს თანასწორ თავისუფლებაში, ხოლო სამართლიანობა — თავისუფლების თანასწორობაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვაქციოთ სახელმწიფო და პოლიცია სოციალური იძულების იარაღიდან ეროვნული და სოციალური თანხმობის საშუალებად“. ყოველივე აქედან გამომდინარეობს დემოკრატიის პირობებში ძლიერი სახელმწიფოსა და ძლიერი პოლიციის საჭიროება, რასაც ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს პრაქტიკა ადასტურებს. ამიტომაც, ედუარდ შევარდნაძის პრინციპული შეფასებით, „მცდარია ის შეხედულებაც, რომელიც პოლიციური სახელმწიფოს ბრალდებას გვიყენებს. ეს არის ძველისძველი არქივებიდან ამოღებული ბრალდება“, — მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს, რადგან პოლიტიკური პლურალიზმის, ინტერესთა ლეგალიზაციის, ეკონომიკური და პიროვნული თავისუფლების პირობებში მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოსა და ძლიერ პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სტაბილურობა.

საქართველოს პრეზიდენტი შეეხო პოლიტიკური სტაბილურობის საკითხს და აღნიშნა, რომ იგი გულისხმობს არა პოლიტიკური პლურალიზმის უარყოფას, არამედ მისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნას. „მასში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება არა მხოლოდ სტაბილურობა, არამედ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა. დღევანდელ ეტაპზე ეს არის პოლიციის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია და მხოლოდ მისი განხორციელებით იქნება შესაძლებელი დავიცვათ დემოკრატია და თავისუფლება“, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. „პლურალიზმი აზრთა სხვადასხვაობას გულისხმობს და არა განსხვავებულ აზრთა მიხედვით სახელმწიფოს გათიშვას, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ქაოსს. რა პარტია და მოძრაობაც უნდა იყოს, ყველა უნდა ემორჩილებოდეს ერთიან წესს და ამ ერთიანი წესის საფუძველი საქართველოს კონსტიტუცია უნდა იყოს“, მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს.

ადამიანის უფლებათა დაცვა უფართოესი ცნებაა და ეხება ყველა მოქალაქეს, მათ შორის, განსაკუთრებით, დაზარალებულებს. არ შეიძლება ადამიანის უფლებათა დაცვის ერთი მხარე გავაფეტიშოთ და მეორეს ყურადღება არ მივაქციოთ. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტი მკაცრად გამოეხმაურა იმ განუკითხაობას, რომელიც რაიონულ თუ საქალაქო სასამართლოებშია გამეფებული. „როდესაც ასე უცერემონიოდ ანიჭებენ თავისუფლებას ადამიანებს, რომლებიც სასჯელს იმსახურებენ, ეს უკვე აღარ არის სამართლებრივი სახელმწიფო. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვაყენებ დღის წესრიგში სასამართლო რეფორმის მთელი სიღრმითა და მასშტაბებით განხორციელებას, რაც, უწინარეს ყოვლისა, ამ სფეროში საკადრო პოლიტიკის გაჯანსაღებასა და გაუმჯობესებას გულისხმობს“, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პოლიციისა და საზოგადოების ოპტიმალური ურთიერთთანამშრომლობისათვის, რაც დემოკრატიული ცხოვრების ლოგიკური აუცილებლობაა, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, უკვე მომწიფდა გარკვეული წანამძღვრები. საზოგადოების მხრივ, ეს არის სამოქალაქო კონტროლის წანამძღვარი, პოლიციის მხრივ — გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ პროცესებში სრულფასოვანი თანამონაწილეობის ტენდენცია. ედუარდ შევარდნაძის აზრით, სამოქალაქო კონტროლის აუცილებლობა თავად პოლიციის და საერთოდ ძალოვანი სტრუქტურების ბუნებიდან გამომდინარეობს. არცთუ იშვიათად სამოქალაქო კონტროლს მიღმა დარჩენილი ძალოვანი სტრუქტურები იქცეოდნენ უწყებრივ ინტერესებში ჩაკეტილ და საზოგადოებისაგან გაუცხოებულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებად. „იქმნებოდა სიტუაცია, როცა პოლიცია კი არ იყო საზოგადოებაში, არამედ საზოგადოება იყო პოლიციაში, რისი ზუსტი ნიმუშიც დაგვიტოვა მხედრიონმა“, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა და განაცხადა, რომ გმირია ქართველი ხალხი, რომელმაც ამ მოთარეშე ბანდებისაგან გაითავისუფლა თავი. „საქართველო საშინელ ჭირს გადაურჩა, რასაც უნდა ვუმადლოდეთ პოლიციას, რომლის მრავალმა მუშაკმა თავიც კი შესწირა ამ საქმეს“, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

პრეზიდენტმა აღნიშნა იმის საშიშროება, რომ კონტროლს მიღმა არსებული ძალოვანი სტრუქტურები შესაძლოა „პოლიტიკის ობიექტიდან პოლიტიკის სუბიექტად გარდაიქმნან“, რაც ისევე თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება სახელმწიფოსათვის, როგორც პოლიტიზებული არმიის არსებობა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, „პოლიციის, ისევე როგორც სხვა ძალოვანი ინსტიტუტების სამოქალაქო კონტროლი ცივილიზებული სახელმწიფოს ცივილიზებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. მაგრამ ამ ჭეშმარიტად დემოკრატიულ პრინციპს მართებული გაგება სჭირდება და უნდა გულისხმობდეს კონტროლის კონსტრუქციულობას“. ამ თვალსაზრისით, ედუარდ შევარდნაძემ განსაკუთრებული როლი მიანიჭა „მეოთხე ხელისუფლებას“, რომელიც „პირველი უნდა იყოს არა მხოლოდ ნაკლოვანებათა, არამედ კონსტრუქციული წინადადებების წარმოჩენაში“.

„ქართული პოლიცია არის ის სახელმწიფო უწყება, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას — ყოველთვის მზად არის დაიცვას და იცავს კიდეც საქართველოს კონსტიტუციურ წყობილებას, არ იმალება ჩრდილში და გაბედულად მოქმედებს კანონიერებისა და მართლწესრიგის დასაცავად. ქართულ პოლიციას შესწევს უნარი საკადრისი პასუხი გასცეს ქვეყანაში დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობას“, აღნიშნა დასასრულ საქართველოს პრეზიდენტმა.

* * *

საზეიმო სხდომის დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ პოლიციის მუშაკები ღირსების ორდენით, მედლებით და დიპლომებით დააჯილდოვა.

საქინფორმი.

დასასრული. დასაწყისი
იხ. პირველ გვერდზე.

ვიზიტი

მესამე დღე ქართული ფილმით დამთავრდა

დორტმუნდში ენერგეტიკის კონცერნ ფაუ-ევამი პატრიარქს დეტალურად აუხსნეს ამ გიგანტის ამოცანები, პრიორიტეტები, დაათვალიერებინეს კონცერნის ტვინი — გამანაწილებელი და საკონტროლო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და რომელსაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ემსახურებიან.

ენერგეტიკის ტრადიციულ თუ განახლებად წყაროებზე, კომუნალურ, სხვა სფეროებში თუ საქართველოსთან შესაძლო თანამშრომლობის თემატიკაზე დისკუსიის დროს უწმინდესმა და უნეტარესმა ენერგოინდუსტრიის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, რომ გერმანელი პროფესიონალები ფრიად კმაყოფილი დარჩნენ მათს საქმეში კარგად გარკვეულ პიროვნებასთან შეხვედრით.

აქ, კონცერნში, იპოთეკა-ბანკში, თუ სავაჭრო და ინდუსტრიულ პალატაში შეხვედრების დროს ილია II ვიზიტი შეაფასეს, როგორც მოვლენა ორი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი დაახლოების საქმეში.

ამასთან, ამ ვიზიტის ზოგადი მნიშვნელობა მატერიალიზდება ენერგეტიკის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიის დარგებში თანამშრომლობის კონკრეტულ შედეგებში.

7 ნოემბერს დორტმუნდში თბილისის დროით 11 საათზე გაიმართა პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „სულიერების აღორძინება“, რომელიც დააფინანსა გერმანულმა მხარემ და შექმნეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა და მეცნიერებმა. პირველ ჩვენებას დაესწრნენ გერმანიის კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური ელიტის, ეკლესიების, ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები, საქართველოს დელეგაციის წევრები.

ფილმის უდავო წარმატებაზე მეტყველებდა არა მარტო აღფრთოვანებული შეფასებები, რომლებიც სურათის დემონსტრირების შემდეგ გამოითქვა სასულიერო, თუ საერო პირთა მიერ, არამედ ისიც, რომ იქვე რამდენიმე ტელეკომპანიამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გამოთქვა მისი შეძენის სურვილი.

— ეს ფილმი ჩვენი სულიერების ასამაღლებლად გვჭირდება, — ასეთი იყო დამსწრე საზოგადოების სულისკვეთების დედააზრი.

და ეგებ განსაკუთრებით გამოსაყოფი იყოს ფილმის ჩვენების შემდეგ მომხდარი ფაქტი, როდესაც ბუნდესტაგის ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარემ ფონ ოსტინმა მიღება სთხოვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს და პატრიარქი მეორე დღეს შეხვდა კიდეც მას.

— ფილმმა ჩემზე, კათოლიკეზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ არ შეგხვედროდით, არ შემეძლო. მე ვნახე სულიერების აღზევება საქართველოში და თავი მოვალედ ჩავთვალე, გავაკეთო ყველაფერი თქვენი ერის, სახელმწიფოს დასახმარებლად.

ეს სურვილი პატრიარქთან საუბრის დროს რეალურ და კონკრეტულ წინადადებებში იქნა მატერიალიზებული. ფონ ოსტინი მალე ჩამოვა საქართველოში ექსპერტების თანხლებით და შეუდგება ქართულ მხარესთან ერთად პროგრამების დამუშავება-რეალიზაციას.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ვიზიტი გერმანიაში გრძელდება.

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
გერმანია, დორტმუნდი.

დასასრული. დასაწყისი
იხ. პირველ გვერდზე.

განვიხილავთ კანონპროექტს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ არაერთგზის გამოთქვა თავისი შენიშვნები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტთან დაკავშირებით, როგორც პრესაში, ისე სხვადასხვა განხილვების დროს.

კანონპროექტის ავტორებმა ამ შენიშვნებიდან ბევრი რამ გაიზიარეს, განსაკუთრებით მოკვლევისა და ოპერატიული სამსახურის საქმიანობის შესახებ. ამიტომაც, ამჯერად არ შევეხები უკვე შეთანხმებულ ან ჯერ კიდევ შეუთანხმებელ ზოგიერთ საკითხს, შევეხები მხოლოდ კანონპროექტს წინასწარ გამოძიებასთან მიმართებაში.

აქვე განვმარტავ, რომ როდესაც ვლაპარაკობ გამოძიებაზე, არასდროს არ ვგულისხმობ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ გამოძიებას, ვგულისხმობ გამოძიებას საერთოდ, ყველგან, ყველა უწყებაში — პროკურატურისა და უშიშროების სამინისტროს სისტემაში.

რატომღაც პრესის წარმომადგენლები და სხვებიც, ხშირად აღნიშნავენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესებულია მხოლოდ თავის უწყებაში შემავალი გამოძიების ბედით, რაც არ არის სწორი, არ შეიძლება პრობლემები ჰქონდეს გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროში და უპრობლემოდ გამოიყურებოდეს იგი სხვა უწყებაში.

წინასწარი გამოძიება, რომელსაც სასამართლო კონტროლი დაემატა, ახალი კანონპროექტის პირვანდელი სახით, თითქმის აღარ იარსებებდა, უფრო სწორად რაღაცნაირი ფორმით, ალბათ, იარსებებდა, ოღონდ იქ გამომძიებლის როლი მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი.

გამომძიებელი დამოუკიდებლად ვერ აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეს, ვერ წარუდგენდა ბრალდებას დამნაშავე პირს, ვერ დაკითხავდა მას ბრალდებულის სახით, სასამართლოში ვერ აიღებდა ჩხრეკის, თუ დაპატიმრების სანქციებს პროკურორის უნებართვოდ, ვერ შეწყვეტდა და ვერ შეაჩერებდა სისხლის სამართლის საქმეს, ვერ დაწერდა საბრალდებო დასკვნას.

ყოველივე ეს უნდა გაეკეთებინა პროკურორს. კანონპროექტი არ ითვალისწინებდა საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელს არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ სტრუქტურებში. ამ ქვეყნად, უუფროსოდ თითქმის აღარავინაა დარჩენილი, ახალი კანონპროექტით კი მხოლოდ წინასწარ გამოძიებას არ უნდა ჰყოლოდა უფროსი.

უსუსური და უსახური ხდებოდა გამომძიებლის ფიგურა, მას წინასწარ გამოძიებაში არავითარი გადაწყვეტილების მიღების უფლება აღარ რჩებოდა. რა მოვალეობა უნდა შეესრულებინა ასეთ გამომძიებელს? იგი უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ დაკითხვა-დაპირისპირებებით, ბრალდებულის ჯანმრთელობისა და საცხოვრებელი ადგილის ცნობების აღებით, აგრეთვე, სხვა, დაახლოებით ამგვარი ფუნქციების შესრულებით, რასაც დაავალებდა მას პროკურორი.

იუსტიციის სამინისტროში მორიგი განხილვის დროს, ჩვენმა მეგობარმა რესპუბლიკის პროკურატურიდან ახალ კანონპროექტს უწოდა რა მსოფლიო იურისპრუდენციის შედევრი, ამაყად ბრძანა, რომ დიახაც, გამომძიებელი უნდა ყოფილიყო სატელიტი და სხვა არაფერი.

ამას ამბობდა კაცი, რომელმაც ცხოვრების თითქმის ნახევარი გამოძიებაში გაატარა და ითვლებოდა საუცხოო გამომძიებლად. მაგრამ როდესაც დასჭირდა რაღაც ინტერესებს, გამომძიებელი დაიყვანა სატელიტის ანუ სხვის დავალებათა მონურად, ბრმად შემსრულებლის დონეზე. ამ განხილვას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

სტუდენტობის პერიოდში ახალგაზრდა იშვიათად ფიქრობს, რომ იგი იქნება მოსამართლე ან პროკურორი, თითქმის ყველას იზიდავს გამომძიებლის რომანტიკული ცხოვრება და ოცნებობს, როდის გახდება გამომძიებელი.

რა ქნას სტუდენტმა, რაღაზე იოცნებოს, სატელიტობაზე? ან რა იფიქროს პროფესორმა, სხვის დავალებათა მონურად შემსრულებელი გაზარდოს?

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ახალი კანონპროექტით გამომძიებელი მართლაც დაყვანილი იყო სატელიტის დონეზე.

რატომ მოხდა ასე?

საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის შესაბამისად, პროკურატურა, რომელიც არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას და სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

პროკურორს უდიდესი უფლებები აქვს მინიჭებული კონსტიტუციით, თუნდაც იმით, რომ იგი ზედამხედველობას უწევს მოკვლევასა და ოპერატიულ საქმიანობას.

ოპერატიული სამსახური ხომ ძალოვანი სტრუქტურების და არა მარტო ძალოვანი სტრუქტურების — საგადასახადო, საბაჟო და სხვა სამსახურების მუშაობის ხერხემალია.

განსხვავებით ძველი კონსტიტუციისა, ახალი კონსტიტუციით პროკურატურა აღარ არის წინასწარი გამოძიების ზედამხედველი.

კანონპროექტის ავტორებმა, რომლებმაც გამომძიებელს ყველა უფლება ჩამოართვეს, იმ მოტივით, რომ პროკურატურას კონსტიტუციურად ევალება გამოძიებაზე მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნა, პროკურორს დაუტოვეს გამოძიების, ფაქტობრივად, ყველა საკვანძო საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.

ამგვარად, პროკურორს უნდა შეესრულებინა ყველაფერი, დაწყებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, დამთავრებული საბრალდებო დასკვნის დაწერით, რაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

კანონპროექტში გაურკვეველი იყო თვით პროკურატურის სისტემაში გამოძიების არსებობა, ვინაიდან 22-ე მუხლში გარკვევით ეწერა, რომ გამოძიება სხვაა და დევნა კი სხვაა.

თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ მდევნელის, ანუ პროკურატურის სისტემაში ლოგიკის მიხედვით გამოძიება აღარ უნდა დარჩენილიყო, რადგანაც ირღვეოდა კონსტიტუციის 85-ე მუხლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები — მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა წინასწარ გამოძიებაში, ვინაიდან ყველაფრის უფლებებით აღჭურვილ პროკურატურას ვინღა შეეჯიბრებოდა თანასწორად?

მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა შეიტანეს წინადადება იმის თაობაზე, რომ შეუსაბამობა იყო კონსტიტუციის 22-ე მუხლსა და პროკურატურისათვის მიცემულ ზოგიერთ უფლებებს შორის, ავტორებმა შეასწორეს აღნიშნული მუხლის მოთხოვნა.

ამით მინდა აღვნიშნო, რომ პროკურატურაში გამოძიების არარსებობის ამბიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს არასდროს არ ჰქონია, რა თქმა უნდა, თუკი ეს კონსტიტუციურად იქნებოდა გააზრებული. პირიქით, პროექტის ავტორებმა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ყოველგვარ დანაშაულთა საქმეებზე გამოძიების ქვემდებარეობა ამოიღეს რა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან, ჩაითვალა, რომ ეს იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა, რომელიც თავის დროზე არასწორად გადაწყდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებებს იმის შესახებ, რომ ასე გაურკვეველ მდგომარეობაში არ უნდა დარჩენილიყო წინასწარი გამოძიება და გამომძიებელს უნდა მისცემოდა რაიმე გადაწყვეტილების მიღების უფლება, კიდევ სხვა საკითხებთან ერთად სრულად დაუჭირეს მხარი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, უზენაესმა სასამართლომ და უშიშროების სამინისტრომ, რაც არაერთხელ აღინიშნა კანონპროექტის განხილვების დროს.

აღვნიშნავ, რომ არც ერთ ასეთ განხილვაში არ მონაწილეობდა პროკურატურის საგამოძიებო აპარატის ხელმძღვანელობა, რატომ?

ვითომ ეგუებოდნენ ისინი ასეთ უსახურ გამოძიებას?

მიზეზები, უკომენტაროდაც გასაგებია. კანონპროექტის ავტორებმა ბევრ საკითხში გაითვალისწინეს რა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელთა წინადადებები წინასწარ გამოძიებასთან მიმართებაში, რამდენჯერმე შეასწორეს კანონპროექტის სხვადასხვა მუხლები.

საბოლოოდ, კანონპროექტის შესწორებული ვარიანტით, გამომძიებელს მიეცა უფლება, რომ დამოუკიდებლად აღძრა სისხლის სამართლის საქმე, წარედგინა პირისათვის ბრალდება, უპროკუროროდ აეღო სასამართლოში ჩხრეკისა და დაპატიმრების სანქციები და შეედგინა საბრალდებო დასკვნა.

თუმცა, პროკურატურას, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, მაინც დარჩა უამრავი ფუნქცია, კონსტიტუციურად როგორც სისხლისსამართლებრივ მდევნელს.

ვფიქრობდით, რომ ზოგიერთი საკითხი დაზუსტდებოდა პარლამენტში მუხლობრივი განხილვის დროს, მაგრამ, კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ბატონმა გია მეფარიშვილმა, რომელმაც ზემოაღნიშნული შესწორებები შეიტანა რამდენიმე მუხლში, ერთ-ერთ ბოლოდროინდელ საგაზეთო ინტერვიუში (№ 271, 31.X.97 წ. „საქართველოს რესპუბლიკა“), აღნიშნა, რომ თუ გამომძიებელი წარუდგენდა პიროვნებას ბრალდებას და შეადგენდა საბრალდებო დასკვნას, ამით მივიღებდით ინკვიზიციურ წინასწარ გამოძიებას.

თუკი ახალგაზრდა მეცნიერს ასე სწამს, უმჯობესია, ნუ წავა იგი თავისი მოხაზრების საწინააღმდეგოდ, ნუ დაიდებს მხრებზე ინკვიზიტორის მძიმე ულელს და კანონპროექტი დააბრუნოს ისევ იმ მდგომარეობაში, როდესაც ყველაფერს — საქმის აღძრიდან დაწყებული, საბრალდებო დასკვნით დამთავრებული, ასრულებდა პროკურორი, ხოლო რაღაც უმნიშვნელო საქმეს, რასაც დაახლოებით დღეს ასრულებს პროკურატურის სტაჟიორი, უნდა შეესრულებინა ე. წ. გამომძიებელს. თუ ყოველივე ამას დღევანდელი საქართველოს რეალური პირობებიდან გამომდინარე, შეძლებს პროკურატურა და ამგვარ გამოძიებას იგუებს, როგორც იტყვიან „ღმერთმა ხელი მოუმართოთ“.

თუ ეს ასე გადაწყდება, მაშინ მიზანშეწონილი იქნება, რომ წინასწარი გამოძიება საერთოდ გადავიდეს პროკურატურის სისტემაში და მათ მთლიანად იკისრონ პასუხისმგებლობა გამოძიების სრულად და ობიექტურად ჩატარებისთვის.

გურამ ძარძაშაძე,
შინაგან საქმეთა
მინისტრის მოადგილე.

თუ ამგვარი გამოძიება გსურთ და იგუებთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

ფუნქციები შეგვიზღუდეს, მაინც ჩვენ გვედავებიან

საქართველოს პრეზიდენტის მიერ, ამასწინათ საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტისათვის განსახილველად წარდგენილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის ზოგიერთი პრინციპული დებულება შეიცვალა იმ პროექტისაგან, რომელზედაც სულ ახლახან ფართო მსჯელობა იყო მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებს შორის.

ცვლილება, უპირველესად, შეეხო პროკურატურას, როგორც სასამართლო ხელისუფლების დაწესებულების ადგილსა და როლს სისხლის სამართლის წარმოების პროცესში.

საქართველოს კონსტიტუციით პროკურატურისათვის მინიჭებულ სტატუსს სისხლისსამართლებრივი დევნის არსს, ამჟამინდელი პროექტის მიხედვით, სულ სხვა ინტერპრეტაცია აქვს მიცემული. ეს, ჩვენის აზრით, ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების თეორიულ გაგებას, არამედ უხეშად ირღვევა სისხლის სამართლის პროცესის ფუძემდებლური პრინციპი — შეჯიბრობითობა.

ტერმინი „სისხლისსამართლებრივი დევნა“ თეორიაში გაიგივებულია ბრალდების ფუნქციასთან, რაც ნიშნავს: „იმ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისაკენ, ე. ი. იგივეა, რაც სისხლის სამართლის წესით დევნა“.

მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი და პროცესის თეორია აწესებს სისხლისსამართლებრივი დევნის ე. წ. კანონიერების პრინციპს (**Legalitats prinzid**). ამ პრინციპით პროკურორი ვალდებულია, აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა ყოველი მისთვის ცნობილი მომხდარი ფაქტის გამო, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულია, როგორც დანაშაული და ხელმძღვანელობს გამოძიების მთელ სტადიაზე.

ამ ცნებიდან გამომდინარე, სავსებით სწორი იყო წინა პროექტის 223-ე მუხლის მოთხოვნები. მაშინ სისხლის სამართლებრივ დევნაში იგულისხმებოდა ის, რომ საჯარო ბრალდების სისხლის სამართლის საქმე კონკრეტული პირის მიმართ აღიძვრებოდა პროკურორის დადგენილებით. თუ არსებობდა ბრალდების წაყენების საფუძველი, გამომძიებელი აცნობებდა ამის შესახებ პროკურორს და გადასცემდა მას საქმეს.

პროკურორს შეეძლო გამოეტანა დადგენილება სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, ან დაებრუნებინა საქმე წერილობითი მითითებებით გამომძიებლისათვის დამატებითი მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით.

პროკურორს უნდა გამოეტანა დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

პროკურორის აუცილებელი მონაწილეობით პირს წარედგინებოდა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და ბრალდებულის დაკითხვაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ პროკურორს უნდა შეედგინა საბრალდებო დასკვნა.

რაც შეეხება გამომძიებელს, როგორც საპროცესო საქმიანობის დამოუკიდებელ სუბიექტს, საქმეზე გამოძიება უნდა ეწარმოებინა ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად. ამით უდავოა, აღიკვეთებოდა გამომძიებლის ბრალდებისაკენ გადახრის ტენდენცია; მხარეთა საპროცესო საქმიანობის ამ წესით რეალურად განხორციელდებოდა შეჯიბრებითობის პრინციპი.

სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა არსით ერთი და იგივეა, მაგრამ ამ დებულების მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ მეტისმეტად იყო გაფართოებული პროკურორის უფლებამოსილება საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით. ამავე დროს, გაუმართლებლად შეზღუდული გამომძიებლის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტის უფლებამოსილება. ამ შეხედულების მომხრენი, ნებსით თუ უნებლიეთ, ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციით პროკურატურისათვის მიკუთვნებულ სისხლისსამართლებრივი დევნის (ბრალდების) ფუნქციას და, ფაქტობრივად, პროკურორისა და გამომძიებლის ფუნქციების აღრევის მომხრეებად გვევლინებიან, როგორც ეს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით იყო გათვალისწინებული და რომელიც უარყოფილია თითქმის უმრავლეს სახელმწიფოთა მიერ.

პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, პროკურორს აშკარად შეეზღუდა თავისი ფუნქციები, კერძოდ: გენერალურ პროკურორს ჩამოერთვა გამოძიების ერთი უწყებიდან საქმის მეორე უწყებაში გადაცემის უფლება. გაუგებარია და ურთიერთსაწინააღმდეგოა პროექტის 57-ე და 203-ე მუხლები, კერძოდ: 57-ე მუხლში, სადაც საუბარია „პროკურორი წინასწარ გამოძიების სტადიაზე“ — ჩაწერილია, რომ პროკურორს უფლება აქვს საქმიდან ჩამოიშოროს მხოლოდ პროკურატურის გამომძიებელი, ხოლო 203-ე მუხლის მე-4 პუნქტით ითვალისწინებს: „მომკვლევი და გამომძიებელი სისხლის სამართლის შემდგომი გამოძიებისაგან შეიძლება ჩამოიშოროს პროკურორმა“. ვფიქრობთ, პროკურორის ეს უფლება 57-ე მუხლში უნდა ასახულიყო, რაც, ფაქტობრივად, 203-ე მუხლს ეწინააღმდეგება.

პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებაა. სწორედ სასამართლო ხელისუფლება პროკურატურის მეშვეობით ახორციელებს ბრალდების ფუნქციას, არა მარტო სასამართლო გამოძიების, არამედ წინასწარი გამოძიების სტადიაშიც. პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, წინასწარი გამოძიების სტადიაში პროკურატურა საერთოდ აღარ ახორციელებს კონსტიტუციით მასზე მინიჭებულ მოვალეობას, სისხლისსამართლებრივ დევნას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არც წინასწარ გამოძიებას ხელმძღვანელობს და არც ზედამხედველი ორგანოა. კიდევ მეტი: შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თუ პროკურორმა წინასწარი გამოძიების სტადიაში რეალურად არ განახორციელა ხელმძღვანელობა, მას გაუძნელდება საბრალდებო დასკვნის შედგენა ან დამტკიცება. სავსებით სამართლიანად აფასებს ამას ბატონი მ. სააკაშვილი. მისი აზრით, „კოდექსის ბოლო ვარიანტმა შეიძლება მიგვიყვანოს პოლიციურ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე. უკონტროლოდ რჩება პოლიციის საგამომძიებო სამსახური, იშლება საპროკურორო კონტროლის ფუნქცია და იქმნება მოკვლევისა და გამოძიების დახურული სისტემა, რაც დიდ საფრთხეს უქადის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს და ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს“.

ახლა გვსურს მოკლედ შევეხოთ პროექტის ზოგიერთ ხარვეზებს და ნაკლოვანებებს, რომელთა აღმოუფხვრელად შეუძლებელია ვილაპარაკოთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლასა და ადამიანის უფლებათა დაცვის რეალურად განხორციელებაზე. უპირველესად, ეს შეეხება დაზარალებულის პროცესუალურ მდგომარეობას.

პროექტში ძალზე გაფართოებულია ეჭვმიტანილის და ბრალდებულის უფლებები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ შეხებია დაზარალებულს, როგორც საპროცესო საქმიანობის ერთ-ერთ სრულუფლებიან სუბიექტს.

ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს თუკი აქვთ უფლება დაკავების მომენტიდან იყოლიონ დამცველი, გაეცნონ საქმის მასალებს და სხვა, დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობა პროექტის 69-ე მუხლის თანახმად იგივე რჩება. მათ ასეთი უფლება ენიჭებათ გამოძიების დამთავრების სტადიიდან. მართალია, 69-ე მუხლის თ პუნქტში ჩაწერილია, რომ პირისადმი ბრალდების წაყენების შემდეგ დაზარალებულმა უნდა იცოდეს მისი არსი, მაგრამ როგორი ფორმით უნდა მოახდინოს გამომძიებელმა ამის რეალიზაცია, პროექტში არაფერია ნათქვამი, ფაქტობრივად, დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობა შეზღუდულია, არათანაბარ მდგომარეობაშია ეჭვმიტანილის და ბრალდებულის პროცესუალურ მდგომარეობასთან. ეს, ჩვენის აზრით, შეჯიბრებითობის პრინციპის რეალურად განხორციელებაზე უკიდურესად უარყოფით გავლენას მოახდენს.

პროექტის 72-ე მუხლის თანახმად, ძალზე გაფართოებულია ეჭვმიტანილის პროცესუალური მდგომარეობა, ალბათ, მარტივ საქმეებზეა შესაძლებელი ეჭვმიტანილს 48 საათში წარედგინოს ბრალდება, ხოლო მრავალეპიზოდიან საქმეებზე და იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავებულია რამდენიმე ეჭვმიტანილი, პრაქტიკულად შეუძლებელია 48 საათის განმავლობაში გამომძიებელმა შეკრიბოს სათანადო მტკიცებები ბრალდების წარსადგენად. ასეთ პირობებში პროცესის ეს ნორმა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს გამომძიებელს და ეჭვმიტანილს, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ბოლო ვარიანტი არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპულ დებულებებს, შეზღუდულია ზოგიერთი საპროცესო საქმიანობის სუბიექტების უფლებები და, როგორც სწორად აღინიშნა, „ჩვენი სახელმწიფოსათვის უკან გადადგმული ნაბიჯია“, ის არ უპასუხებს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების კეთილშობილურ იდეას.

იმედია, ამ შენიშვნებს პროექტის განხილვის დროს პარლამენტი აუცილებლად გაითვალისწინებს.

ვ. იოსავა,
თბილისის პროკურორის
პირველი მოადგილე,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი;

მ. მამნიაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი.

საქართველოს კანონი

„საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს**:

1. „საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 27 ივლისის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №9, მუხ. 185) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. პირველ მუხლში სიტყვები „მოქალაქეობის არმქონე პირთა“ შეიცვალოს სიტყვებით „უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა“.

2. მე-2 მუხლი, II თავის სათაური და მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2.

უცხოელთა საქართველოში დროებით შემოსვლა, ყოფნა და საქართველოდან გასვლა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, საქართველოს კანონით „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

თავი II. უცხოელთა საქართველოში დროებით შემოსვლა და საქართველოდან გასვლა

მუხლი 3.

1. უცხოელები საქართველოში შემოდიან და საქართველოდან გადიან საქართველოს საზღვარზე არსებული საერთაშორისო კავშირებისათვის ღია გამშვები პუნქტებიდან, საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტით ან თავიანთი მუდმივსაცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი სამგზავრო დოკუმენტით, თუ აქვთ საქართველოში შემოსვლის, შემოსვლა-გასვლის, საქართველოდან გასვლის ან გასვლა-შემოსვლის ვიზა.

2. ვიზის კატეგორიებია:

ა) დიპლომატიური;

ბ) სამსახურებრივი;

გ) ჩვეულებრივი;

დ) ტურისტული.

3. „ა“, „ბ“ და „გ“ კატეგორიების ვიზების სახეებია – შემოსვლის, შემოსვლა-გასვლის, გასვლის, გასვლა-შემოსვლის და სატრანზიტო, ხოლო „დ“ კატეგორიის ვიზის სახეა – შემოსვლა-გასვლის.

4. ვიზის ტიპებია: ერთჯერადი, ორჯერადი და მრავალჯერადი.

მუხლი 4.

1. ამ კანონში აღნიშნულ ვიზებს გასცემენ და მათი მოქმედების ვადას აგრძელებენ საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საკონსულო დაწესებულებები და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საკონსულო სამსახურები – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი და მისი წარმომადგენლობები.

2. ვიზების გაცემის წესს ადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 5.

1. ამ კანონში აღნიშნული ვიზების გაცემის საფუძველია:

ა) კერძო ვიზიტისას – უცხოელის პირადი შუამდგომლობა, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მოწვევა;

ბ) ტურისტული ვიზიტისას – უცხოელის პირადი შუამდგომლობა ან ტურისტული ორგანიზაციის შუამდგომლობა;

გ) საქმიანი ვიზიტისას – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მოწვევა;

დ) ოფიციალური ვიზიტისას – სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მოწვევა;

ე) საქართველოდან გასვლისას ან გასვლა-შემოსვლისას – უცხოელის პირადი შუამდგომლობა. გასვლა-შემოსვლის ვიზა მიეცემა იმ უცხოელებს, რომლებიც შემოსვლის ან შემოსვლა-გასვლის ვიზის მოქმედების ვადაში დროებით გადიან საქართველოდან. გასვლა-შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ვიზის მოქმედების ვადას;

ვ) სხვა შემთხვევა, თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 6.

საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების მისიების, დიპლომატიური, საკონსულო ან მათთან გათანაბრებული დაწესებულებების, სავაჭრო წარმომადგენლობების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციების ან მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების თანამშრომლებს, რომლებმაც აკრედიტაცია გაიარეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, აკრედიტაციის განმავლობაში საქართველოს ვიზა არ სჭირდებათ. ისინი საქართველოში შემოდიან და საქართველოდან გადიან საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული საკრედიტაციო ბარათის საფუძველზე“.

3. მე-7 მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8.

უცხოელებს საქართველოში შემოსვლა და საქართველოდან გასვლა ეკრძალებათ „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 9.

საქართველოში დროებით მყოფი უცხოელების რეგისტრაციას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები“.

5. მე-10 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საზღვარგარეთის პასპორტების“.

6. მე-11 და მე-12 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 11.

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რეგისტრაციას ექვემდებარებიან შემდეგი პირები:

ა) უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეთაურები, დიპლომატიური პერსონალის წევრები, საკონსულო დაწესებულებათა თანამდებობის პირები, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალი, სამხედრო ატაშეს აპარატსა და სავაჭრო წარმომადგენლობებში მომუშავე პირები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მეთაურთან მყოფი სტუმრები, თუ ისინი ცხოვრობენ მის რეზიდენციაში, ამ წარმომადგენლობაში ან დაწესებულებაში;

ბ) საქართველოში სამსახურებრივ საქმეზე ჩამოსული დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტის მფლობელი უცხო ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყების თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები;

გ) საქართველოში სამსახურებრივ საქმეზე ჩამოსული საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციების თანამდებობის პირები, საქართველოში ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლობების თანამშრომლები, აგრეთვე ასეთ ორგანიზაციებთან აკრედიტებული წარმომადგენლობების თანამშრომლები, რომელთა შტაბ-ბინაც საქართველოშია და რომლებიც ამ ორგანიზაციების საწესდებო დოკუმენტების ან შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობენ დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები.

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი წარმომადგენლობები ზემოაღნიშნულ პირებს აძლევენ დიპლომატიურ, საკონსულო ან სამსახურებრივ ბარათებს.

მუხლი 12.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლება ეძლევა საჭიროების შემთხვევაში რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოში ჩამოსული უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები და მათი ოჯახის წევრები, როცა ამის შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ ამ პირთა მიმღები და მასპინძელი ორგანიზაციები, დიპლომატიური წარმომადგენლობები ან საკონსულო დაწესებულებები“.

7. მე-13 მუხლი ამოღებულ იქნეს.

8. მე-14 და მე-15 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 14.

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში რეგისტრაცია უნდა გაიარონ იმ უცხოელებმა, რომლებიც არ არიან აღნიშნულნი ამ კანონის მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებში“.

მუხლი 15.

1. უცხოელებს საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლა შეუძლიათ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტით ან თავიანთი მუდმივსაცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი სამგზავრო დოკუმენტით და საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საკონსულო დაწესებულებების ან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საკონსულო სამსახურების – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის და მისი წარმომადგენლობების მიერ გაცემული სატრანზიტო ვიზით.

2. საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს“.

9. მე-19 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გამვლელი უცხოელები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩერებულიყვნენ 72 საათზე მეტ ხანს, ვალდებულნი არიან გააგრძელონ სატრანზიტო ვიზის მოქმედების ვადა ან მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისათვის აუცილებელი სხვა სახის ვიზა“.

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) სხვა შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია ერთი ადგილიდან მეორეზე შეუფერხებლად გადაადგილება“.

გ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

დ) მე-4 პუნქტი ჩაითვალოს მე-3 პუნქტად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სატრანზიტო ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება ხდება უცხოელის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა ან სხვა ორგანოების ცნობის წარდგენით, რომელიც ადასტურებს იძულებითი გაჩერების მიზეზსა და ხანგრძლივობას“.

10. V თავი ამოღებულ იქნეს

11. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 24.

საქართველოს ტერიტორიიდან უცხოელების გაძევება ხდება „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1997 წლის 28 ოქტომბერი.

საქართველოს კანონი

„საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს**:

I. „საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 21 თებერვლის კანონის (პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., 15 მარტი, №9-10 (41-42/11) №2 და №4 დანართების მე-6 სვეტში:

ა) 08 00 და 08 01 კოდებზე გასწვრივ ციფრები „5736,3“ შეიცვალოს ციფრებით „5662,3“;

ბ) 08 01 02 კოდის გასწვრივ ციფრები „5563,5“ შეიცვალოს ციფრებით „5489,5“;

გ) სიტყვების „საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა“ გასწვრივ ციფრები „1000“ შეიცვალოს ციფრებით „926,0“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 31 ოქტომბერი.

საქართველოს კანონი

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს**:

I. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №8, მუხ. 595) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“, ხოლო სიტყვები „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის“ – სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების“.

2. მე-3 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა – ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური“; ამოღებულ იქნეს ამავე მუხლის მე-4 აბზაცი.

3. მე-4, მე-5 და მე-7 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება, სხვათა უფლებების, პატივისა და ღირსების ხელყოფა, სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება, იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულს ან საიდუმლოდ არის მიჩნეული სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 5. საქართველოს კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 7. მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაცია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება რაიმე მიზეზის გამო არ ფუნქციონირებს ერთი წლის განმავლობაში, აუცილებელია მისი ხელმეორედ რეგისტრაცია“.

4. მე-8 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „(მათ შორის საბჭოთა კავშირშიც)“.

5. მე-12 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ დაირღვა კანონი, რითაც ხელი ეწყობა დანაშაულს, საფრთხე ექმნება სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას“.

6. მე-13 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-3 აბზაცი.

7. მე-16 მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტს“.

8. მე-17 მუხლის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პრესის გავრცელების სახელმწიფო სამმართველოს პარალელურად“, მე-4 აბზაციდან – სიტყვები „სახელმწიფო პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს აწესრიგებს საქართველოს მთავრობა“ და „ან უზენაეს საბჭოს“. აგრეთვე ამოღებულ იქნეს მე-5 აბზაცი.

9. 21-ე მუხლის მე-9 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან მთავრობას“.

10. 24-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-6 პუნქტი.

11. 26-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები „ათასიდან ორი ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომის ანაზღაურების 30 მინიმალურ ოდენობამდე“, ხოლო სიტყვები „ხუთი ათასიდან ათი ათას მანეთამდე“ – სიტყვებით „შრომის ანაზღაურების 70 მინიმალური ოდენობიდან 145 მინიმალურ ოდენობამდე“.

12. 27-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები „ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომის ანაზღაურების 15 მინიმალურ ოდენობამდე“, მე-2 აბზაცში სიტყვები „ხუთი ათას მანეთამდე“ – სიტყვებით „შრომის ანაზღაურების 70 მინიმალურ ოდენობამდე“, ხოლო სიტყვები „ამასთან ხდება იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია, რომლებსაც საინფორმაციო საშუალება იყენებს ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელებისათვის“ ამოღებულ იქნეს.

13. ამოღებულ იქნეს 29-ე მუხლი და VI თავი.

II. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აბზაცისაგან, ისინი დაინომროს თანამიმდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების აბზაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 28 ოქტომბერი.

საქართველოს კანონი

„საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 2 სექტემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ., №№ 31-33, მუხ. 683) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“, სიტყვა „მაგისტრალური“ – სიტყვით „საერთაშორისო“, ხოლო სიტყვა „რესპუბლიკური“ – სიტყვით „შიდასახელმწიფოებრივი“.

2. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აბზაცისაგან, ისინი დაინომროს თანამიმდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების აბზაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

3. პირველი მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტი ან მის მიერ რწმუნებული ორგანო საგზაო დარგში“ შეიცვალოს სიტყვებით „საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი“.

4. მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და გადასახადების ამოღების“, ხოლო სიტყვები „მინისტრთა კაბინეტი“ შეიცვალოს სიტყვით „პრეზიდენტი“; ამავე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტი ან მის მიერ რწმუნებული ორგანო“ შეიცვალოს სიტყვებით „საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი“.

5. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;

დ) გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსავლისათვის“.

6. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადს იხდიან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეწარმეები, მათ შორის:“; ამავე მუხლის მე-2 პუნქტს სიტყვის „მანძილზე/“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და რომლებიც ახორციელებენ მგზავრთა და მძღოლთა მომსახურებას“; ხოლო რომაული ციფრი „I“ შეიცვალოს სიტყვით „პირველი“.

7. მე-8 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „0,1 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „0,15 ლარის ოდენობით“; ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები „20 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „26 ლარის ოდენობით“, „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები „15 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით – სიტყვებით „20 ლარის ოდენობით“, ხოლო „გ“ ქვეპუნქტში სიტყვები „5 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით“ – სიტყვებით „6,5 ლარის ოდენობით“.

8. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგზაო ფონდში გადასახადების ამოღებას, შემოსავლის აღრიცხვასა და კონტროლს ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო ინსპექცია და საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

9. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პასუხისმგებლობა ამ კანონით დადგენილი გადასახადების გადაუხდელობისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1997 წლის 16 ოქტომბერი.

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს**:

I. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., № 33, 31 ივლისი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 47-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „საფინანსო“ შეიცვალოს სიტყვით „ქონებრივი“, ხოლო მესამე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დეკლარაციის ტექსტი არავისთვის არ არის ხელმისაწვდომი ამ პირის თანამდებობაზე დანიშვნამდე (არჩევამდე), მისი თანხმობის გარეშე“.

2. 54-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად“.

3. 56-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 17 ოქტომბერი.

თუ მშვიდობა გსურს, ემზადე ომისათვის!

რუსეთის თავდაცვის მინისტრი იგორ სერგეევი და პრემიერი ჩერნომირდინი მიზანში იღებენ სავარაუდო მოწინააღმდეგეს.

იავნანამ რა ჰქმნა?..

სახეების ცნობისა და ნაცნობთა გარეგნობისათვის პასუხს აგებს ადამიანის თავის ტვინის საგანგებო არე, იუწყება აპა სააგენტო. ასეთი დასკვნა სრულიად შემთხვევით გამოიტანეს ტორონტოს უნივერსიტეტის კლინიკის ნეიროქირურგებმა, როდესაც ცდილობდნენ განეკურნათ საავტომობილო კატასტროფაში მოხვედრილი ერთ-ერთი პაციენტი. მიღებული მონაცემების გამოყენებით, ნეიროქირურგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ახლა ძნელი აღარ იქნება ამნეზიის ან ადამიანის მეხსიერების დაკარგვის სხვა სახეობების განკურნება. თუ კაცს ვერ გაუხსენებია ვინ არის, საიდან არის იგი, საკმარისი იქნება, უჩვენო მას სხვადასხვა ადამიანები, საგნები, ნახატები და, ამრიგად, გამოავლინო ტვინში ის ჯანსაღი არე, რომელიც დაეხმარება პაციენტის მთელი წინანდელი ცხოვრების აღდგენის საქმეს.

ზოგჯერ დაზვერვაც ცდება

აშშ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ საჯაროდ აღიარა თავისი შეცდომა, წერს „ჩიკაგო ტრიბუნი“. აგვისტოს შუა რიცხვებში, საჯაშუშო თანამგზავრების, აგრეთვე, სხვა ხელსაწყოებისა და წყაროების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ განაცხადა, რომ რუსეთმა მოაწყო ბირთვული იარაღის გამოცდა ახალი მიწის კუნძულის მიდამოებში. უფრო გვიანდელმა ანალიზმა ცხადყო, რომ ბიძგის ეპიცენტრი მდებარეობს რამდენიმე მილზე ბირთვული პოლიგონისაგან. ამასთან დაკავშირებით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აცხადებს, რომ კარის ზღვაში მიწისქვეშა ბიძგები აშკარად გამოიწვია არა ბირთვულმა აფეთქებამ, არამედ სუსტმა მიწისძვრამ.

ისრაელში დიპლომი ცოდნასაც გულისხმობს...

ისრაელის ახალ საწარმოებში დაბანდებული კაპიტალის რისკთან დაკავშირებულმა მოცულობამ, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შეადგინა 28 მილიონ დოლარზე მეტი, წერს ისრაელის „ჯერუზალემ პოსტი“, რომელიც იმოწმებს ბრიტანეთის საფინანსო კომპანია „კუპერს ენდ ლიბრენდის“ მონაცემებს. მხოლოდ ამერიკის კომპანიებმა შეძლეს მიეზიდათ მეტი საზღვარგარეთული კაპიტალი თავიანთი ახალი პროექტების განსახორციელებლად. წინა კვარტალში ისრაელის კომპანიებმა საზღვარგარეთელ ინვესტორებს დაუდეს 11 შეთანხმება მაღალი ტექნოლოგიების დარგში. როგორც „ჯერუზალემ პოსტი“ აღნიშნავს, ინჟინერთა და მეცნიერთა რაოდენობა ისრაელში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, გაცილებით მეტია, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში. და ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ ისრაელში ორი ათასზე მეტი კომპანია მუშაობს მაღალი ტექნოლოგიების დარგში.



როგორ გგონიათ, სად ცხოვრობს განთქმული ფრანგი კომიკოსი მსახიობი პიერ რიშარი? როგორც შეძლებულ კაცს, მას თითქოს შეეძლო, ექირავა ან ეყიდა მდიდრული სახლი, მაგრამ რიშარმა ამჯობინა უალრესად მოკრძალებული ბინა — კარჟაპი (ე. წ. ბარჟა) სენის ნავმისადგომთან, რომელიც მისი წყალობით პარიზის კიდევ ერთ ღირსშესანიშნაობად იქცა.

რევოლუციური იდეები დაიმარხა, იდეების მატარებელი - არა

რუსეთის მილიონობით მოქალაქის წინაშე დადგა არჩევანი, როგორ აღენიშნათ რევოლუციის 80 წლისთავი, წერს „დეილი ტელეგრაფი“. სათათბირომ და კომუნისტურმა პარტიამ ხალხს მოუწოდეს, გაეხსენებინა რევოლუციის იდეალები და ქუჩებში გამოსულიყო. პრეზიდენტ ელცინმა კი უფრო პროზაულად ურჩია მოსახლეობას, შინ დარჩენილიყო და გაეტარებინა დღე საკუთარი თავის სასარგებლოდ, მაგალითად, „ჩაედო კომბოსტოს მწნილი, დაეკონსერვებინა ბოსტნეული, დაეთბუნებია ფანჯრები და წესრიგში მოეყვანა საზამთრო გარდერობი“. 7 ნოემბერი კვლავინდებურად დიდ დღესასწაულად რჩება, მაგრამ ახლა მას ეწოდება „შერიგების დღე“, რომელიც უფრო მეტად წააგავს იმედგადაწურულ მორჩილებას, აღნიშნავს გაზეთი. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებოდ გაამზადა მილიციელთა რაზმები, „კომბოსტოს დამამწნილებლებმა“ დაამარცხეს დემონსტრანტები — რიცხობრივად. მერე და რა, რომ ბოლშევიკები კვლავინდებურად ესწრაფვიან რევანშს და რევოლუციის გამარჯვებას — მათი მხარდაჭერა ხალხში ძალზე მცირეა, სულ რაღაც 15 პროცენტი. ლენინის იდეები მოკვდა და მიწაში დაიმარხა, მათი ავტორისაგან განსხვავებით, ხოლო ერთადერთ კომუნისტად, რომელიც ადამიანთა გულში ცოცხლობს, დარჩა სტალინი, მიაჩნია გაზეთს. ერს, რომელსაც მილიონობით შვილი დაეღუპა საკონცენტრაციო ბანაკებში, ახლა ნაწილ-ნაწილ გლეჯენ დამნაშავეობა, უეცრად გამდიდრებული „ახალი რუსების“ მიმართ გაჩენილი შური და „რკინის მჯილის“ ნატვრა. ასეთი განწყობილებით დაზავებამდე ჯერ კიდევ ძალზე შორია, წერს დასასრულ „დეილი ტელეგრაფი“.



გრიგალმა — ე. წ. „ტორნადომ“, რომელმაც ფლორიდის შტატს გადაუარა, დიდი მატერიალური ზარალი მოიტანა. არის მსხვერპლი.

ჩვენც ხომ არ დაგვედგა ტელეფონი „სადავო“ მყინვარწვერზე?

ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ დააყენა მსოფლიოში „ყველაზე მაღალი“ სატელეფონო აპარატი, იუწყება „სი-ენ-ენ“ ტელეკომპანია. ტელეფონის ჯიხური დაიდგა ზღვის დონიდან 6 კილომეტრ სიმაღლეზე ქაშმირის შტატის სნაჩენის მყინვარზე, სადაც ჯარისკაცები იცავენ ინდოეთ-პაკისტანის საზღვრის სადავო მონაკვეთს. თავდაცვის სამინისტროს აზრით, შინ დარეკვისა და ოჯახთან საუბრის შესაძლებლობამ უნდა აუმაღლოს საბრძოლო სულისკვეთება ჯარისკაცებს, რომლებიც გამუდმებით იმყოფებიან პაკისტანის მხრივ საარტილერიო ცეცხლის ქვეშ. სადავო 80-კილომეტრიანი მყინვარი სნაჩენი ინდოეთმა ჩაიგდო ხელში 1984 წელს. მას შემდეგ სულ ცოტა ორი ათასი ინდოელი ჯარისკაცი დაიღუპა და ათი ათასზე მეტი დაიჭრა ბრძოლაში, რომელიც არ ცხრება იმის გამო, თუ ვინ გაუწევს კონტროლს მყინვარს, სადაც ტემპერატურა ზაფხულობითაც კი ცელსიუსის მინუს 15 გრადუსს არ ასცილებია.

ქალაქის ნაგავი: ბოროტება თუ სიკეთე?

სანაგვე – საამური სანახაობა!

ამ ცოტა ხნის წინათ ნიუიორკის ხელისუფლებამ ფედერალურ მთავრობას მიმართა წინადადებით შეეტანა ქალაქის ნაგავსაყრელები... ნიუ-იორკის ტურისტული ობიექტების სიაში. მათი სიამაყე გასაგებია: სულ ცოტა ხანში ნარჩენების „დაკრძალვის“ ადგილები ანტისანიტარიის ბუდეებიდან მოქალაქეთა ერთ-ერთ უსაყვარლეს დასასვენებელ ადგილად იქცა. როგორც წესი, მიწაში იფლება ნაგვის 70 პროცენტი, ხოლო დარჩენილი 30 პროცენტი ექვემდებარება რეკულტივაციას ან დაწვას. ნიუ-იორკის ნაგავსაყრელებს ფარავენ სქელი, 6-სანტიმეტრიანი მაგარი პოლიეთილენით. ზემოდან აყრიან ტენგაუმტარი თიხის ნახევარმეტრიან შრეს. გათვალისწინებულია ფილტრატის მოცილების სრულყოფილი სისტემები, აირგამონაფრქვევის კონტროლი, გრუნტის წყლების სიწმინდის შემოწმება. ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ყოფილ სანაგვეებზე გაეშენებინათ პარკები, რესტორნები და დროსსატარებელი მოედნები.

ბოქლომი ნაგვის ყუთზე

როდესაც ნაგავსადენში ვაყირავებთ ვედროს ანდა დაძველებული თარო გადასაგდებად გაგვაქვს, ჩვეულებრივ, ნაკლებად ვფიქრობთ ხოლმე ნარჩენებისა თუ უმაქნისი ნივთების შემდგომ ბედზე. ნაგვის გატანა ხომ ჩვენ პრაქტიკულად არაფერი არ გვიღირს. არადა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სამუშაო საქალაქო მეურნეობაში, განვითარებულ ქვეყნებში. როგორც წესი, ეს ხარჯები ეკისრება მოსახლეობას. ამასთან, დიდგაბარიტიანი საგნის (ვთქვათ, ძველი მაცივრის) გადასაგდებად მოქალაქენი ცალკე იხდიან საფასურს.

ტრადიციული ხარჯები, რომლებიც ნარჩენების გატანასთან არის დაკავშირებული, თანაბრად ნაწილდებოდა ქალაქის თითოეულ მცხოვრებზე და შეადგენდა „კომუნალური მომსახურების“ ერთ-ერთ გრაფას. მაგრამ, აი გერმანიაში ეს მეთოდი უსამართლოდ მიიჩნიეს: ყოველ ოჯახს ხომ თავისებური ცხოვრების წესი აქვს, და მაშასადამე, „წარმოებული“ ნაგვის რაოდენობაც – სხვადასხვაა. მაშ, რატომ უნდა იხადოს ყველამ ერთნაირად. და აი, გერმანიის ქალაქ ჰოიერსვერდში დანერგეს ყოფითი ნარჩენების შეგროვების ახალი კონტეინერული სისტემა, რომლის შესაბამისად ყოველ სახლთმფლობელს აქვს სპეციალური გასაღები ან მაგნიტური ბარათი კონტეინერის გასახსნელად. თავდაპირველად, ერთი კონტეინერი ემსახურებოდა 10-20 სახლთმფლობელს ან ბინის დამქირავებელს. ხარჯებს კი ერთმანეთში ინაწილებდნენ. მაგრამ, ეს გზაც გაუპიროვნებლად მიიჩნიეს. აი, სწორედ მაშინ დანერგეს სპეციალური მიკროსქემები – ერთგვარი პლასტიკის ბარათები, რომლებიც აფიქსირებენ ნაგვის მოცულობას უკვე ზუსტად ინდივიდუალურად. რამდენიც გადაყარე – იმდენისას იხდი. ასეთი სიახლის შემოღების მოულოდნელი შედეგი გახდა მყარი ნარჩენების – ლითონის, ხის ნაჭრების, ძველი პლასტმასის ნაკეთობების რაოდენობის შემცირება. ეტყობა, ხალხმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, რომ ამ ნაჭრებს კიდევ გამოიყენებდა.

რა ვუყოთ ნახმარ ბატარეებს?

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძნელად გადასაწყვეტი ეკოლოგიური ამოცანაა ნაგვის სეპარირება, ე. ი. ნაგვისაგან ცალკეული ფრაქციების გამოყოფა, რომლებიც შემდეგ სხვადასხვაგვარად მუშავდება. სამწუხაროდ, სეპარირება ავტომატიზაციას ვერ ექვემდებარება: ნარჩენების ზვინებში არც ისე იოლია იპოვო ის, რაც კიდევ შეიძლება გამოდგეს. გაცილებით უფრო იოლია, გადააკისრო ეს საქმე მოსახლეობას. და ამიტომ, როგორც წესი, ცივილიზებულ ქვეყნებში არის ცალ-ცალკე კონტეინერები საჭმლის ნარჩენების, ქაღალდის, ლითონისათვის და ა. შ. მარტივია? – მთლად არა. საქმე ეხება ყოფითს კულტურას, იმას, რომ ადამიანები იყენებდნენ კონტეინერებს მხოლოდ დანიშნულებისამებრ. ასეთი კულტურის გამომუშავება არ არის ადვილი საქმე.

საფრანგეთის ქალაქ ვალანსის ხელისუფლებს, სადაც სულ მთლიანად 65 ათასი კაცი ცხოვრობს, საამისოდ დასჭირდათ 20 წელიწადი. საუბრები ტელევიზიით, წერილები გაზეთებში, ფურცლები საფოსტო ყუთებში...

მაგრამ, თავისას მაინც მიაღწიეს. ქალაქში დაიდგა ხუთი სახეობის 105 კონტეინერი. ნებისმიერი სახლის სადარბაზოდან თითოეულ კონტეინერამდე მისვლას 5 წუთიც არ სჭირდება. და ახლა მოქალაქეებს აღარ ეშლებათ კონტეინერები ერთმანეთში – ყოველ ყუთში იყრება მხოლოდ გარკვეული სახის ნარჩენები. ქალაქის ბიუჯეტმა მაშინვე შვებით ამოისუნთქა. კერძოდ, იმიტომ, რომ დაიწყო მინის ნალეწის გადამუშავება. მაგრამ, ხელისუფალთ თავიანთ მთავარ დამსახურებად მიაჩნიათ დიდმნიშვნელოვანი ეკოლოგიური ამოცანის გადაწყვეტა: ტოქსიკური ნივთიერებების – სალებავების, გამხსნელების, აეროზოლების და, რა თქმა უნდა, ნახმარი ელექტრობატარეების იზოლაცია, რომლებიც ერთობ მავნე ნივთიერებებს შეიცავენ. მათი შეგროვებისათვის მთელ ქალაქში დაყენებულია სპეციალური ყუთები – საფოსტოსნაირი. ერთ კვირაში ასეთი ყუთი პირთამდე ივსება. ბატარეები მიაქვთ სპეციალურ ადგილებში და იქ წვავენ ღუმელებში.

საიდან მოდის ეს „შეშა“?

ნაგვის დაწვა ძვირადღირებული საქმეა. უფრო მეტიც, საამისოდ საჭიროა რთული, ავტომატიზებული და აბსოლუტურად ჰერმეტული დანადგარები, რომლებიც, ამასთანავე, დიდძალ ენერგიას მოითხოვენ. არადა, ეს ფუფუნებაა! ბიოგაზი ხომ, რომელიც ნარჩენების ფერმენტული დუღილის დროს გამოიყოფა, თვითონ შეიძლება გახდეს ენერგიის წყარო. მართალია, იგი გამოიყენება არა ხალასი სახით, არამედ ბუნებრივ გაზს ერევა. მაგრამ, ამასთან, ნაზავის თბოუნარიანობა ერთობ მაღალია.

წარმატებით ითვისებენ ასეთ მეთოდს დანიის ქალაქ ჰელსინგენში, სადაც 170 ათასი მოსახლე ცხოვრობს. აშენებულია სპეციალური ქარხანა, სადაც მიაქვთ 20 ათასი ტონა ნედლი ყოფითი ნარჩენები– სწორედ ამდენი გროვდება ისინი ქალაქში. გადამუშავების პროცესში, ორგანული ნივთიერებების 60 პროცენტი გადაიქცევა მეთანის გაზად, 25 პროცენტი – გადამუშავდება სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგ კომპოსტად, ხოლო 15 პროცენტი – სცილდება ნაზავს, როგორც ბინძური მინარევი. მეთანის მიღების პროცესის ხანგრძლივობაა ხუთი დღე. ქარხანა ერთობ ეფექტიანად მუშაობს. ერთი ტონა ორგანული ნივთიერებისაგან იღებენ 110 კუბურ მეტრ გაზს. ნარჩენებისაგან მიღებული აირი, რომელიც ბუნებრივ გაზთან არის შეზავებული, ახლა მთელ ქალაქს ათბობს.

არის მონაცემები დანიის ქალაქის შესადარებლად მეორე ასეთივე შვედურ ქალაქთან – უფსალასთან, მაგრამ იგი ნაგავს წვავს. აღმოჩნდა, რომ დანიელები არა მარტო იღებენ დამატებით ენერგიას, არამედ ქარხნის მოვლა-პატრონობაზე ხარჯავენ ხუთჯერ ნაკლებ სახსრებს, ვიდრე მათი ჩრდილოელი მეზობლები. ამ ქარხანას სულ ხუთი კაცი ემსახურება.

ნიყვივით იზრდება...

ქამასოკოს (შამპინიონის) სამრეწველო წარმოება მრავალი ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო გახდა. მწარმოებელთა წინაშე დგება ორი ამოცანა: იპოვონ შენობა სოკოს მოსაყვანად და შეარჩიონ ნიადაგის საჭირო შედგენილობა. მაგრამ, თუ პირველი მეტნაკლებად არც ისე ძნელი გადასაწყვეტია (იყენებენ მიტოვებულ გამონამუშევარ შახტებს, აშენებენ სპეციალურ მიწისქვეშა სათბურებს), მაშინ მეორე „მესოკოეებს“ ხშირად ჩიხში აქცევს: ქამასოკო ყველაზე უკეთ ხარობს ნეხვ-ნამჯის ნაზავის ნიადაგზე. ეს შედგენილობა კი ერთობ დეფიციტურია.

ცოტა ხნის წინათ გამოიძებნა მისი შემცვლელი. ქამასოკოს შესაფერისი და ძალზე ეფექტიანი სასუქი გამოდგა ორგანული საჭმლის ნარჩენების კომპოსტი. მისი წარმოებისათვის ჰოლანდიაში შეიმუშავეს სპეციალური დახურული დანადგარი. მოაწყვეს ეგრეთ წოდებული „გვირაბული კომპოსტირება“. შედგენილობის მომზადების სქემა საკმაოდ რთულია. დახურულ ჭურჭელში განუწყვეტლივ გადის ჰაერი, ხოლო დროის გარკვეულ შუალედებში – მიეწოდება წყალი. დაყენებულია, აგრეთვე, ხელსაწყოები, რომლებიც აკონტროლებენ სუნს და აბრკოლებენ მავნე მიკროორგანიზმების წარმოშობას. მთელ პროცესს კომპიუტერი მართავს. დანადგარის მწარმოებლობაა 30 ათასი ტონა ნარჩენები წელიწადში. ეს საშუალებას იძლევა, მოიწიონ 28 ათას ტონაზე მეტი გემრიელი ქამასოკო. ნარჩენების კომპოსტი უფრო ეფექტიანი გამოდგა, ვიდრე ტრადიციული სასუქები. ჰოლანდიელთა გამოგონებამ გავრცელება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. სხვადასხვა ქვეყანაში უკვე 200 ასეთი დანადგარი გამოიყენება.

„მოსკოვსკაია პრავდა“, № 203.

ოლსტერში მშვიდობა ისადგურებს

კანადის „გლოუბ ენდ მეილი“ სტატიას უძღვნის დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის შესაძლო ვიზიტს ირლანდიის რესპუბლიკაში. გაზეთის ინფორმაციით, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ იმ სტუმრებს შორის, რომლებიც დაესწრებიან ირლანდიის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას, იქნება თვით ელისაბედ დედოფალიც. თუმცა, ირლანდიის მთავრობამაც და ბუკინგემის სასახლემაც უარყვეს ეს ხმები. „გლოუბ ენდ მეილი“ აღნიშნავს: ისინი ასე მოიქცეოდნენ ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც, უსაფრთხოების მოსაზრებებით. თვით ირლანდიის რესპუბლიკაში ბრიტანეთის დედოფლის შესაძლო ჩასვლის შესახებ გავრცელებული ხმები ძალზე მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის მცხოვრებთა უმრავლესობა არ არის ამგვარი სიმბოლური ვიზიტის წინააღმდეგი. ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ, როდესაც ირლანდიის რესპუბლიკური არმიის — ირა-ს ბოევიკები ხოცავდნენ ბრიტანელ ჯარისკაცებსა და პოლიციელებს, დედოფლის ვიზიტი შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ოლსტერში მშვიდობიანობის დამყარების, პროტესტანტთა და კათოლიკეთა თემებს შორის მოლაპარაკების დაწყების შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ მრავალსაუკუნოვანი კონფლიქტი, ბოლოს და ბოლოს, გადაწყდება. ამიტომ, ბრიტანეთის დედოფლის ყოფნა ირლანდიის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, შეიძლება გახდეს კიდევ ერთი ნაბიჯი ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობის დამყარების გზაზე, წერს „გლოუბ ენდ მეილი“.



ასობით ჩერნობილელი ბავშვი ცხოვრობს და სწავლობს სპეციალურ სარეაბილიტაციო ცენტრში, რომელიც მინსკიდან 80 კილომეტრზე მდებარეობს. მათთვის იქ ყველა პირობაა შექმნილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ცენტრი ყველას ვერ იტევს.

სირია თანახმაა დაუზავდეს ისრაელს...

სირიის ვიცე-პრეზიდენტმა აბდელ-ჰალიმ ჰადამმა 5 ნოემბერს განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის სამი თვის განმავლობაში დაუდოს ისრაელს საზავო ხელშეკრულება, თუ იგი ოკუპირებულ გოლანის მაღლობებს დაუბრუნებს, იუწყება როიტერის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ჰადამის ინტერვიუს სირიის კერძო ტელეკომპანია „ფიუჩე ტელევიჟნისადმი“. ისრაელ-სირიის საზავო მოლაპარაკება ისრაელმა გაყინა ცოტა ხნით ადრე იქამდე, სანამ 1996 წლის მაისში გახელისუფლდებოდა ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელიც გოლანის მაღლობების დაბრუნების იდეის კატეგორიული წინააღმდეგია. სირიის ვიცე-პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ისრაელის მუქარა მიუღებელია მისი ქვეყნისათვის, რომელიც მზად არის მოიგერიოს ნებისმიერი აგრესია მეზობლის მხრივ. გარდა ამისა, ჰადამის აზრით, ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკების ამასწინანდელი განახლების ძირითადი მიზანია ისრაელის სურვილი, დაარწმუნოს მთელი არაბული ქვეყნები, მონაწილეობა მიიღონ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკურ კონფერენციაში, რომელიც 16 ნოემბერს იხსნება კატარში. სირიის ვიცე-პრეზიდენტის თქმით, ისრაელმა მხოლოდ იმიტომ განაახლა მოლაპარაკება პალესტინელებთან, რომ არ სურს, მისცეს არაბულ ქვეყნებს საბაბი, ბოიკოტი გამოუცხადონ ისრაელისათვის დიდმნიშვნელოვან კონფერენციას.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№282. სამშაბათი, 11 ნოემბერი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ფორმაცია

„ასწიე ღონესა ჰქვია...“

ძველ ნათქვამს ახალი უფრო ბუნებრივად რომ წავამატო, უხერხული თუ არ იქნება, მაშინდელი პუბლიკაციიდან ერთ-ორ ამონარიდს ახლაც გაგახსენებთ: „სათაურშიც განვაცხადე, რომ ამ წერილის უშუალო ადრესატი ძველი, ახალი და მომავალი მთავრობებია. რას ვერჩი მაინცდამაინც მთავრობას? იმას, ბატონებო, რომ არა მარტო თევზი და არა მარტო კაცი, ერიც, დიახ, ერიც მეტწილად თავიდან ყროლდება. მე ამას საერთოდ ვამბობ, მაგრამ არ დაგზარდებით და თუ დამცალდა, ამ ნახევრად ღია და ნახევრად დახურულ წერილში ზოგ რამეს კონკრეტულადაც ვიტყვი. სიტყვა პაერში აგდებული რომ არ გამომსვლოდა, კონკრეტული მაგალითებიც ვთქვი.

მსუბუქი, როგორც ბუმბული,
თავ-ბოლოს რომ ვერ უპოვენი,
გუ-გუს იძახის გუგული,
კუკუს იძახის კუპონი!

ეს რომ დავწერე, გაუკვირდა მაშინდელ მთავრობას, შეიცხადეს კიდეც, კუპონი კუ-კუს როგორ დაიძახებსო. მე, რა, შეკვეთა კი არ მქონდა მიცემული, დალოცვილებმა, რით ვერ გაიგეს, საქართველოს გარდა, დანარჩენი მსოფლიოც ხომ შემოვლილი აქვთ, ეროვნული წარმოების მოშლით და მორყევით ეროვნული ვალუტის გამყარება თეორიულად მაინც რომ შეიძლებოდეს, სამთავრობო ცვლილებათა მარათონები ასე მოკლე, ლამის სასპრინტერო დისტანციებზე წამდაუწუმ კი არ გაიმართებოდა.

მახსოვს, 1992 წლის დასაწყისში წამომცდა: მჭამელთა რესპუბლიკად ვიქეცით, არა ჰუმანიტარულითა ერთითა-მეთქი და ლამის შემჭამეს. მაშინ საჭმელი სხვაც იშოვებოდა და მადლობა ღმერთს, გადავრჩი. „ახლა (სამწუხაროდ, ახლაც!) ამ საყოველთაო ეპიდემიური არწარმოების ფონზე, მთავრობა ხალხს რომ ყოველდღიურად ჰუმანიტარული ულუფითაც ველარ უმასპინძლდება, სამთავრობო გაზეთში შავით თეთრზე დავწერე: გამოიხედეთ, მთავარბატონებო, ღვთის წყალობით არის საქართველოში და არაერთი ქართველთა გონით შექმნილი მსოფლიოში კონკურენტუნარიანი ახალი პროექცია, ოღონდ თქვენ ქართულის დაიჯერეთ, მხარში ამოუდექით, სამთავრობო-საორგანიზაციო საკითხები მოუგვარეთ და მერე სამუშაო ადგილებიც ბლომად გამოჩნდება (დაპირებულ მილიონ სამუშაო ადგილში არ აგერიოთ!) და გამოცარიელებული ხაზინაც სასიკეთოდ გაიჩხრიალებს. დაინტერესდა, გაისარჯა ვინმე? ვეხვეწებოდი: **„რატომ არ შეიცხადეთ, რატომ არ დაინტერესდით თემურ მაისურაძის უნიკალური საგამომგონებლო თეორია მართლა მითია თუ სინამდვილე? სხვას რომ თავი დავანებოთ, არ მოგინდათ ერთი გემრიელი ჭიტლაყი მაინც ამოგერტყათ ამ ახალგაზრდა თვითმარქვია მეცნიერ-გამომგონებლისათვის?“** თქვენც არ მომიკვდეთ...

ადრეც მითქვამს და დამიწერია: პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, სახელმწიფო საზრუნავით ყველაზე მოუცლელმა ადამიანმა, — საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სამჯერ მოიცალა თემურ მაისურაძესთან შესახვედრად, სამჯერვე შეუზღუდავი რეგლამენტით, დიდის გულისყურით მოუსმინა, მამა-შვილურად წააქეზა, შეაგულიანა ჭეშმარიტი ტალანტი, მის მიერ შექმნილ თეორიას, პროექტებსა და ტექნოლოგიებს საოცარი უწოდა; პრეზიდენტის დახმარებით პიზის კოშკის გადარჩენის თემურისეულმა პროექტმა კიდევ ერთი სერიოზული განაცხადი გააკეთა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროში; რადიოინტერვიუშიც ისაუბრა მის უნიკალურ ნიჭზე, ვისაც ეს ეხებოდა, დიდის მინიშნებით მიანიშნა, შეუქმენით ყველა საჭირო პირობაო. სამწუხაროდ, მაშინ საქვეყნო თვალი და ყური პრეზიდენტის ქვემევრდომთაგან არავის აღმოაჩნდა...

წლები გავიდა, ქვეყანა თითქოს დამშვიდდა, დამოშმინდა, თითქოს უღირსების ნაცვლად ასპარეზზე ღირსეულები გამოდიან, მაგრამ რაც უფრო მეტად იცვლება ყველაფერი, შეუცვლელია ნიჭისა და ტალანტის მიმართ საბჭოური გულგრილობა. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ მავანთ და მავანთ გულწრფელად ჰგონიათ, რომ საქართველოს მათი პარტიული ფაცი-ფუცი უფრო დიდ სიკეთეს მოუტანს, ვიდრე თემურ მაისურაძის პროექტების განხორციელება. ამიტომ ყველას, მათ შორის მთავრობის და პარლამენტის წევრების (ვისაც ეს ეხებოდა და ეხება, ცხადია) წასაკითხად დავწერე: „აბა, თქვენ იცით, ნაბიჯი არ წაგცდეთ, არ წაწყდეთ და კარგად მორგებულ სამთავრობო და საპარლამენტო მუნდირს ემანდ ღირსება არ აპყაროთ. ხალხი, თქვენი სათაყვანებელი და საფერებელი ხალხი რას იტყვის, რომელიმე თქვენგანმა თავი თემურ მაისურაძეს ერთხელ მაინც რომ გაუყადროს“. აკი, არც გაუყადრეს.

მათი რწმენის შეცვლას აღარ ვაპირებ. რას იზამ, საქართველოში რახანია ნეტარ არიან სამთავრობო, საპარლამენტო, პარტიული მორწმუნენი და რაიმე რწმენის შეცვლა კი არც ისე იოლია.

ქვეყნის პრეზიდენტის შემდეგ ერთადერთმა კობა გურულმა განჭვრიტა და თემურ მაისურაძეს ამაღლებული სიტყვა უთხრა: შენ მსოფლიო საინჟინრო-ტექნიკური აზრის წინამძღოლობა დაგაკისრა უფალმა, შეიცან და შეიღირსე — შენ XXI საუკუნის აზრი მოგაქვსო... კარგად, კარგად დაიმახსოვრეთ კობა გურულის ეს სიტყვები, ბატონებო... ისე, როგორც ადრე, ახლაც ვხედავ მოქირქილეთა ათასეულებს, ჩვენი ფირმის პროექტების განხილვისას ირონიული ღიმილი რომ გადასთამაშებდათ, ხოლმე, აკადემიურ სახეზე. თითქო ახლაც ყურში ჩამესმის მათი ცინიკური, აგდებული ტონით ნათქვამი: რაო, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ეგ პრობლემა გერმანელმა, იაპონელმა, ამერიკელმა ვერ გადაწყვიტა და ჩვენ, ქართველებმა შევიძელით?! „ეგ“ არ შეიძლება მართალი იყოს თუნდაც იმის გამო, რომ ... არ შეიძლებაო. შეაყარე კედელს ცერცვი. არ იცოდნენ, არ იციან ბეჩავებმა, რომ სიტყვა „არ შეძლება“ არ არსებობს დიადი გონებისათვის.

მგონი, დაგღალეთ კიდეც, მაგრამ მთავარ სათქმელს უკვე მივადექი.

იმის დადასტურებას, რომ თემურ მაისურაძეს ძალი შესწევდა ქადილისა, რომ 7 წლის მანძილზე დაბეჯითებით ტყუილუბრალოდ, ჰაიჰარად არ მოვითხოვდით ჯერ სამთავრობო, მერე კი საპარლამენტო უდიდებულესობათა ყურადღებას, დიახაც რომ ჰქონდა და აქვს საქართველოსა და ქართველს ის, რაც ყველაზე განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური აზრის ასებს ჯერაც რომ არ დასიზმრებიათ, — ქვემოთ მოტანილი ერთადერთი მაგალითითაც იოლად შევძლებ...

... 1997 წლის 7 მარტს საგამომგონებლო-სამეცნიერო ფირმა „თემურ მაისურაძეს“ გერმანელები ეწვივნენ. მერედა, არ იკითხავთ, რა რანგისანი? ბატონი **მანფრედ შატერი** — კომპანია კრუპის ექსპორტის გენერალური დირექტორი; **ახიმ გრომანი** — აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტი; **ტომას პერელევიცი** — „ინტეკის“ დირექტორი, რომელიც წარმოადგენდა კრუპს და ტისენს ამიერკავკასიაში (ტისენი არის საკონსულტაციო ფირმა, რომელიც გამზადებულ პროექტებს წარუდგენს კრუპს).

სასურველი სტუმრები ჩვენთან მოიყვანა კრუპის წარმომადგენელმა, რომელიც რამდენიმე დღით ადრე გაეცნო ფირმის პროექტებს და უკვე შემთხვევით კი არა, სრულიად გამიზნულად გერმანელები საგარეო საქმეთა სამინისტროდან (ბატონ ირაკლი მენაღარიშვილთან ბრძანდებოდნენ) პირდაპირ ჩვენთან მოიყვანა.

— ჩვენ უკვე ბევრი რამ გვსმენია თქვენს შესახებ და გვგონია, რომ ჯადოსნურ სამყაროში მოვხვდითო, — ასეთი იყო მანფრედ შატერის პირველი სიტყვები...

თემურ მაისურაძემ დეტალურად გააცნო საპატიო სტუმრებს მის მიერ შექმნილი პრობლემური და შეუთავსებელი ამოცანების ამოხსნის თეორია. რაკი ბატონი შატერი რკინიგზისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა, თემურმა თავდაპირველად სწორედ რკინიგზისათვის შექმნილი ორი პროექტი წარუდგინა სტუმრებს. მერე მძიმე ავადმყოფებისათვის შექმნილი ფუნქციონალური საწოლ-სავარძლის უდიდესი უპირატესობა დაუმტკიცა ფრანგული ფირმა „საპექსის“ მიერ გამოშვებულ „კლინეტრონთან“ შედარებით. მეგახსენებთ, რომ ამ საქმეში მსოფლიოში ფრანგებს სერიოზული კონკურენტი დღემდე არ ჰყოლიათ (სიტყვამ მოიტანა და როცა ამ ფირმას პრინციპულად ახალი ფუნქციონალური საწოლ-სავარძლის შექმნის შესახებ ვაცნობეთ, — ფირმის პრეზიდენტის სახელი და გვარი არ ვიცოდით და უბრალოდ, ქალბატონებო და ბატონებო ჩავწერეთ ფაქსში, **ჩვენდა გასაოცრად „საპექსის“ პრეზიდენტმა ბატონმა ჰარვინმა საპასუხო ფაქსი დაუყოვნებლივ, მეორე დღესვე (დიახ, მეორე დღესვე) გამოგვიგზავნა**. ეს მოკმი ჩავარდნილი ფირმის წერილი იყო. ცხადია, საწოლ-სავარძლის მუშაობის სრულიად ახალი პრინციპის დეტალური აღწერილობა, როგორც ამას ბატონი ჰარვინი ითხოვდა, ევროპატენტის უქონლობის გამო ფრანგებისათვის არ გაგვიმხელია.

ბევრი მტკიცება არ დაგვჭირვებია, ჩვენმა სტუმრებმა მყისვე გაიაზრეს ამ გამოგონების მნიშვნელობაც, მასშტაბიც, სიიაფეც, ავადმყოფისათვის საჭირო კომფორტი, ჩვენეული პროექტის სხვა უპირატესობანი...

მერე და მერე სტუმრებს თემურმა საზღვაო პროექტები გადმოულაგა: პორტის აკვატორიის ლამისგან გაწმენდის, გემების მართვა-მანევრირების სრულიად ახალი ტექნოლოგია; დეტალურად გავაცანით ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლის, ველოსიპედით მსოფლიო მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას ფანტასტიური ველოოდისეის „სამზარეულოც“ თემურ მაისურაძის ექსკლუზიური და სხვა უფლებებით (თემურ მაისურაძე ხომ ამ უნიკალური მოგზაურობის პროგრამის ხელმძღვანელია)...

როცა გაოცებულმა მანფრედ შატერმა იკითხა, ცოტა დავიბენი, გამაგებინეთ როგორ ხდება, რომ თქვენს ფირმაში სრულიად განსხვავებული დარგების ურთულეს და ყველაზე აქტუალური პრობლემების იდეალურ ამოხსნას ახერხებთო, თემურ მაისურაძემ თავმდაბლად მოახსენა, — ამას ჩემი მთავარი „იარაღი“ — პრობლემური და შეუთავსებელი ამოცანების ამოხსნის თეორია ძალიან სწრაფად მაკეთებინებსო... ოღონდ პრობლემები შეგვიკვეთონ და ამოხსნას მიიღებენო.

სტუმრებმა ყველაფერი საგულდაგულოდ მოინიშნეს და გვთხოვეს (მიაქციეთ ყურადღება, — გვთხოვეს!) რაც შეიძლება მალე მიგვეწოდებინა მათთვის ის პატენტები, რომელთაც თემურ მაისურაძე ჩათვლიდა მიზანშეწონილად. ყველაფერ ამას მე კრუპის დირექტორატს მოვახსენებო (ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ინფორმაციაც, რომ, თურმე, კანცლერი კოლი ყოველ პარასკევობით ესწრება კრუპის დირექტორატის სხდომას, რათა მათთან მოთათბირების შემდეგ საჭირო კორექტივი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ პროგრამაში).

გზადაგზა გერმანელი სტუმრები საინტერესო ინფორმაციებს გვაწვდიდნენ. კერძოდ, გავიგეთ, რომ მარტო ევროპაში 15 მილიონი რკინიგზის ლიანდაგის გადამრთველი ისარია (დახეთ, ჩვენი ფირმის გამოგონების დანერგვის შესაძლო არეალს!), რომ ჩვენი პროექტი განსაკუთრებით საჭირო იქნება მაღალი სიჩქარის მატარებლებისათვის. მანფრედ **შატერმა თემურის სარკინიგზო პროექტს — ევროსტანდარტზე გადასვლას რომ ეხება, — პრინციპულად ახალი უწოდა.** ეს ძალიან, ძალიან აქტუალურიაო; ისართან დაკავშირებით კი ბრძანა: იდეა საოცრად მომხიბვლელია, ახლა საჭიროა ყველაფერი დავითვალოთ, კერძოდ, რა დაგვიჯდება თქვენი პროექტის შესაბამისად არსებულის გადახალისება, ყველაფერი შესაპირისპირებელია და დასკვნებს მერე გამოვიტანთო.

მანფრედ შატერიცა და მისი კოლეგებიც წონასწორობიდან მაინც პიზის კოშკის გადარჩენის თემურისეულმა პროექტმა გამოიყვანა. გენიალურია, გენიალურიაო, — სულ ასე იძახეს. მაგრამ, როცა იტალიიდან ჩამოტანილი პიზის კოშკის დიდი სურათი შემოვიტანეთ და თემურმა მინი-მოდელზე თვალნათლივ აჩვენა — პიზის კოშკი გაცილებით უარეს მდგომარეობაშიც რომ იყოს, მაინც გადავარჩენთო, გერმანელებს ლამის თვალები გადმოსცვივდათ, ტაში შემოსცხეს. შატერმა პიზის კოშკის სურათი მაღლა აღმართა, მერე თემურს ხელში პიზის გადარჩენის საცდელი მოდელი დააჭერინა და უღეს და უღეს სურათები. თბილისიდან ბაქოში, ალიევთან, მატარებლით წასულან, მთელი ღამე არ ეძინათ, თურმე, და პიზა და მისი გადარჩენის პროექტი აბოდებდათ. როცა გრომანმა და პერელევიცმა ჩვენეული პროექტის გენიალურობაზე სიტყვა გააგრძელეს, შატერმა, თურმე, მათ პირში ბურთი ჩასჩარა, — თქვენ გაჩერდით, მაგ პრობლემას მე მოვუვლიო.

შატერმა თემურისგან ისიც გაიგო, რომ ჩვენ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული გვაქვს ვერბალური ნოტა მათთან ამ პროექტის წარდგენის თაობაზე; რომ ეს იდეა დაპატენტებულია და ეხება მდგრადობადაკარგული მაღლივი ობიექტების სტაბილიზაციას, და ამდენად, სხვის მიერ ამ პროექტის მითვისებისა აღარ გვეშინია (ასეთი რამ, ჩვენი გამოუცდელობის გამო, თემურ მაისურაძის ერთ დიდ პროექტს, სამწუხაროდ, უკვე გადახდა).

შეხვედრის შედეგები მანფრედ შატერმა შეაჯამა (ბატონი მანფრედი კრუპის აქციების მფლობელია).

— პირველი, რაც მინდა გითხრათ: აღფრთოვანებული ვართ იმით, რაც აქ ვიხილეთ და მოვისმინეთ; მე აუცილებლად მოვახსენებ ჩვენს დირექტორატს თქვენს შესახებ; კარგად ვიცი როგორი ზოზინით განიხილავენ იტალიური კომისიები პიზის გადარჩენის ნებისმიერ პროექტს, მათ ეს იტალიური შოუს რანგში ჰყავთ აყვანილი და გარწმუნებთ, თავად არ აჩქარდებიან, არას დაგიდევენ თქვენი პროექტის გენიალობას. ამიტომ მალე ჩავერთავ პიზის საქმეში ჩვენს უძლიერეს სამშენებლო ფირმა „ჰოფ-ჰივთენ“-ს, პირადად მე გაგიწევთ შუამავლობას და შუამდგომლობასო.

ჩემთვის ამიერიდან სასიამოვნოა იმის ცოდნა, — განაგრძო მანფრედ შატერმა, — რომ დღეს სადღაც თანამედროვე არქიმედე ცხოვრობს და ჩვენ შეგვიძლია მივაკითხოთ მას ჩვენი პრობლემებითო! (ნეტა თუ კითხულობენ ახლა ამ სტრიქონებს ჩვენი სამთავრობო თუ საპარლამენტო აღმატებულებები, თუ ესმით, რომ ჩვენ სადღაც, თურმე, მაინც ვარსებობთ პროგრესული მსოფლიო თვალისათვის). **აღფრთოვანებული ვართ თქვენთან ურთიერთობით და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მალე ჩვენ ნაყოფიერად ვითანამშრომლებთ ყველა მიმართულებით.**

... გერმანელები პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველთან, ბატონ თემურ ბასილიასთან უნდა წასულიყვნენ, მაგრამ თითქმის სამი საათი დაჰყვეს ჩვენთან (მათი რეგლამენტისათვის, თურმე, ესეც უჩვეულოა) და, ალბათ, ისეთი სასიამოვნო „მუხტი“ მიიღეს, რომ ბასილიას დაურეკეს და ბოდიში მოუხადეს...

ქართულისადმი გულშეტკიებულო მკითხველო! ახლა ჩვენი მთავრობის მოხელეთა და გერმანელთა მუშაობის სტილის ამ შეპირისპირების შედეგად მიღებული სხვაობის ისეთი გამაოგნებელი, თანაც დოკუმენტურად გაფორმებული მასალები უნდა წარმოგიდგინოთ, წესით, გულგრილნი და ჩემგან იმედგაცრუებულნი არ უნდა დარჩეთ.

გავყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

დაპირება კარგია, — მაგაში ტოლს გერმანელებიც ვერ დაგვიდებენ, — დაპირებით დაპურება ჩვენი გამოგონილია, აი, საქმე, რეალური შედეგი თუ მოჰყვა გერმანელთა ამ ზარზეიმით სტუმრობასო, — იკითხავთ თქვენ და მართალნიც იქნებით.

პირველი ფაქსი გერმანიიდან, პირადად მანფერდ შატერისგან 2 მაისს მივიღეთ (ჩვენი ვარაუდით, ამ დროისათვის მანფრედისათვის გატანებული პროექტები უკვე გატარებული იქნებოდა გერმანელი ექსპერტების ფილტრში). მოკითხვის ბწკარებით თავს არ შეგაწყენთ, ამ ფაქსიდან მხოლოდ საქმიან, ჩემი აზრით, თქვენთვისაც საინტერესო სტრიქონებს ამოვწერ:

„ნება მომეცით გამოვხატო ჩემი მაღალი შეფასება თქვენი საგამომგონებლო გენიის მიმართ, რომლის რამდენიმე ნიმუში ვიხილე ჩემი პირველი ვიზიტის დროს.

მსურს გაცნობოთ, რომ გადავუგზავნეთ საინფორმაციო ფაქსი ჩვენს ოფისს ვაშინგტონში, რათა თქვენი **იდეალური ნამუშევრებით** (კითხულობთ, ბატონებო?) დააინტერესონ ის ხალხი, რომლებიც გამოგონებებს აგროვებენ. ჩვენ კონტაქტები გვაქვს სხვა წრეებთანაც აქ, გერმანიაში“.

16 ოქტომბერს გერმანიიდან მიღებული ფაქსი კი, ნება მიბოძეთ მთლიანად, ერთი ასოს გამოუტოვებლად წარმოგიდგინოთ:

დოქტორი მანფრედ შატერი
კომპანია **KRUPP**-ის
ექსპერტის დირექტორი
16 ოქტომბერი
1997/653

**ბატონ
თემურ მაისურაძეს
გენერალურ დირექტორს**

ძვირფასო ბატონო მაისურაძე:

ჩვენი ყველა კონტაქტების და ღონისძიების შემდეგ, რომელიც განვახორციელეთ შეერთებულ შტატებში ჩვენი ვაშინგტონის ოფისის მეშვეობით, მივიღეთ თქვენთვის ძალიან სასიამოვნო და დადებითი გამოხმაურება.

პრინციპში თქვენ არჩევანი გაქვთ შემდეგისათვის:

თქვენ ხართ მოწვეული შეერთებულ შტატებში 6 თვის ვადით. ყველა ხარჯები ვიზიტთან დაკავშირებული, დაფარული იქნება სპეციალური ამერიკული ბიზნესის მომზადების პროგრამით, რომელიც ფინანსირდება აშშ-ს მთავრობისა და ჩრდილოეთის ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის მიერ. თქვენ იცხოვრებთ კლივლენდში, შტატი ოჰაიო, მაგრამ ამავე დროს ინტენსიურად იმოგზაურებთ შეერთებული შტატების ფარგლებში იმისათვის, რომ ეწვიოთ სხვადასხვა ტექნოლოგიური განვითარების ცენტრებს, რომლებიც შეესაბამება თქვენს ინტერესებს.

თქვენი სპონსორი იქნება ჩრდილოეთის ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც თქვენი დახმარებით მოამზადებს ყველა სავიზო და საგზაო დოკუმენტებს.

ამ ყველაფერთან დაკავშირებულ დეტალებს შეგატყობინებთ მას შემდეგ, როცა თქვენგან მივიღებთ დადებით პასუხს შემდეგის შესახებ:

1. დაინტერესდით თუ არა ამ წინადადებით?
2. როდის შეგიძლიათ დაიწყოთ თქვენი 6-თვიანი საქმიანობა?

რამდენადაც ვხედავ, ყველაფერი ეს ბრწყინვალე შესაძლებლობას გაძლევთ, ეძებოთ თქვენი საგამომგონებლო პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ახალი გზები.

გთხოვთ მიპასუხოთ

**საუკეთესო სურვილებით
გულწრფელად თქვენი**

მანფრედ შატერი.

P. S. ახლა თუ ბიჭი ხარ, მოდი და გაარკვიე, ამდენ სახელოვან და სახელოიან ქართველ მინისტრთა, პარტიათა, პარლამენტართა შორის ვინ მეთაურია და ვინ უთაური, ვინ მოყვარეა და ვინ მტერი, ვინ შინაურია და ვინ გარეული, ვინ ჩასაფრებულია და ვინ აშკარა, ვინ ჭრის სამამულო ძარღვს, ვინ აყენებს ეჭვში ქართულ ნიჭს და უნარს, ვის რგებს ჩვენი დადამბლებული, დაკომპლექსებული ყოფა-აღქმა, ვისი სარგებლიდან ამოდის ეს ფსიქოჰიპნოზი?

„თვალი ვინ ამოგთხარა და შინამაო“ — ამბობს ქართული ანდაზა. იმასაც ამბობს: „ასწიე ღონესა ჰქვია, დასწიე — ულონობასა“.

ასე მგონია, დაწინაურებული ულონონი თავის ულონობას ერს მიაწერენ, არადა, წინაპარი გვასწავლის: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“...

ზაზა კაციაშვილი.
19 ოქტომბერი, 1997 წელი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საუკუნეთა მიჯნაზე

„ისანი“ პატარძლივით შეამოწმეს და ევროპულად გამოაწყვეს

ზუსტად რომ ასე იყო — არც მეტი, არც ნაკლები. მოვიდნენ იტალიელები პერუჯიდან, ფეხსაცმლის თბილისურ საწარმოს კბილი ყოველმხრივ მოუსინჯეს, ყველაფერი აწონ-დაწონეს და პარტნიორის საიმედობაში რომ დარწმუნდნენ, ხელშეკრულება მხოლოდ ამის შემდეგღა გააფორმეს. რა თქმა უნდა, ადრეც არ აკლდნენ „ისანს“ მაძებარი ინვესტორები, იყო რაღაც მოლაპარაკებები, ცალკეული გარიგებები, მაგრამ უშედეგოდ — სახელმწიფო საწარმოსთან საქმის დაჭერა არავის სურდა. რას იზამ, სახელმწიფოს, რომელსაც ჯერაც არ ეთქმოდა სახელმწიფო, არავინ ენდობოდა.

ახლა სხვა საქმეა. განხორციელებული რეფორმების წყალობით ქვეყანაც საიმედო გახდა და საწარმოც, რომელიც ამ ორი წლის წინათ სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა. ეს, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ფორმალური გარდაქმნა (როგორც ზოგ-ზოგებს ჰგონიათ). „ისანმა“ უმალ თავი დამოუკიდებლად იგრძნო და თავისი აქციები საბარათო აუქციონზეც კი გაიტანა. გაუმართლა, აქციების პაკეტის მფლობელი გახდა საქართველოში კარგად ცნობილი ფირმა „ქართუ“, რომელმაც ზოგიერთივით აქციები ჯიბეში კი არ ჩაიწყო, არამედ მოქმედება დაიწყო, მიდგა-მოდგა, უცხოელი პარტნიორი მოძებნა და წლობით დადუმებული „ისანი“ ფეხზე წამოაყენა.

კმაყოფილი ვართ „ქართუსთან“ ერთობლივი საქმიანობით, — მითხრა „ისნის“ დირექტორმა ავთანდილ ჯანაშიამ. მისი თავკაცი ლამა ძიძავა ერთობ მოხერხებული და ენერგიული ბიზნესმენია. უყვარს პრობლემებთან ჭიდილი და გამარჯვება. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც ასე მოხდა, სწორედ მისი ინიციატივითა და თაოსნობით ჩამოვიდნენ იტალიური ფირმის „პრიმიჯის“ (ქ. პერუჯა) წარმომადგენლები, რომლებმაც რეალურად შეისწავლეს ჩვენი შესაძლებლობები, კონტრაქტიც ამის მიხედვით შეადგინეს.

მესიამოვნა ქართველი მეწარმის მიერ მეორე ქართველი მეწარმის შექება. ისინი თუ ერთმანეთს არ ენდნენ (როგორც ხშირად ხდება, ხოლმე), ერთობლივად არ იღვაწეს და მხოლოდ უცხოელი ინვესტორების იმედად იყვნენ, გაძნელდება (აკი გაძნელდა კიდეც) ქვეყნის აშენება. აქვე ვიტყვი, რომ თავად ავთანდილ ჯანაშია გამობრძმედილი მეწარმეა. იგი ორი ათეული წელიწადია ამ საწარმოში მუშაობს. ახალგაზრდა სპეციალისტმა, რომელიც აქ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა, რიგითი ოსტატობიდან დაიწყო და იმ დროისათვის გიგანტი საწარმოს თავკაცობას მიაღწია. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება.

ეს ისე, ინფორმაციისთვის. ახლა კი, კვლავ კონტრაქტს დავუბრუნდეთ. მოდით, ვნახოთ რას აძლევს, ან რას ართმევს ის მხარეებს, ვინ წაგებული რჩება და ვინ მოგებული?

როგორც ბატონმა ავთანდილ ჯანაშიამ მითხრა, იტალიელ პარტნიორებს არც საწარმოს ქონებაში და არც მოგებაში წილი არა აქვთ. არა იმიტომ, რომ მათ ეს არ სურთ, უბრალოდ, ასეთია რეალური სიტუაცია და მხარეთა გარიგება. იტალიელებმა შეიმუშავეს ფაბრიკის ამოქმედების პროექტი (ფული „ქართუმ“ გადაიხადა), მასში გაითვალისწინეს საწარმოს ფართობი, საწარმოო საშუალებები, მოწყობილობები და დანადგარები, რომლებიც „ისანს“ საკმაოდ კარგად მოვლილ-შენახული ჰქონდა. ყველაფერი ეს უკლებლივ ჩაერთო განახლებულ ტექნოლოგიურ ციკლში. ამ პროექტის მიხედვით დაიწყო სარემონტო და საკომპლექტაციო სამუშაოები, რასაც ზუსტად წელიწადი დასჭირდა.

ყველაფერი ეს ისე გაკეთდა, რომ იტალიელებს კაპიკიც არ დაუდიათ და, ბუნებრივია, არც მოგების პრეტენზიები აქვთ. თუმცა, მარტო ფული ხომ არ წყვეტს ყველაფერს. დიდია მათი წვლილი საწარმოს ტექნოლოგიურ გამართვასა და კომპლექტაციაში, დიზაინის შერჩევაში, რაშიც იტალიელთა გამოცდილება და გემოვნება უბადლოა. „პრიმიჯი“ მსოფლიოში ცნობილი ფირმა გახლავთ (იტალიაში შეკერილი საბავშვო ფეხსაცმლის 21 პროცენტი მის წილად მოდის). აბა, ასეთი ფირმის ოსტატებს რა შეემლებათ და ისინიც ნიადაგ მზად არიან დაეხმარონ თბილისელ პარტნიორებს, იქნება ეს მოდელების დამუშავება, ტყავის გადაჭიმვის ხელოვნება, თუ კერვის ოსტატობის დახვეწა-სრულყოფა. საქმეც წინ მიდის, მაღლდება მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიკაცია, იზრდება მთელი საწარმოს ინტელექტუალური პოტენციალი.

იტალიელები, გარდა იმისა, რომ პარტნიორებს ეხმარებიან, მათ არც ინიციატივას უხშობენ. თბილისელ მეფეხსაცმელეებს შეუძლიათ იტალიელებს არა მარტო შეუკვეთონ ახალი მოდელები, არამედ მათი მოდელებითაც ისარგებლონ, თანაც პროდუქცია „ისნის“ საფირმო ნიშნით გამოუშვან და გაყიდონ ბაზარზე. ეს, რა თქმა უნდა, დიდი სტიმული გახლავთ ჩვენებური ოსტატებისთვის და, როგორც ბატონმა ავთანდილმა მითხრა, შეეცდებიან პრესტიჟი და სახელი მოუპოვონ ქართულ პროდუქციას, რომელიც უცხოურმა საქონელმა არა მარტო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, არამედ საკუთარი ბაზრიდანაც გამოაგდო.

სიტყვამ მოიტანა და მე ბაზრის პრობლემებითაც დავინტერესდი. დირექტორი იმედიანად არის. ახლადამოქმედებულ ფაბრიკაში, სადაც ოთხი ხაზი მუშაობს (ორი იტალიური და ამდენივე ქართული), პროდუქცია იმდენად ხარისხიანი და მოდურია, რომ უცხოურსა და ქართულს ერთმანეთისგან ველარც კი გამოარჩევთ. განსხვავება მხოლოდ ფეხსაცმლის სამარკო ნიშნებია — იტალიურს აწერია „პრიმიჯი“, ქართულს — „ისანი“. იკერება საბავშვო ასაკის ყველა ზომის ფეხსაცმელი, თანაც ყველა სეზონის. შევნიშნე მოზრდილთა ეგრეთ წოდებული „ბათინკებიც“. ეს სპეცსამსახურებმა დაგვიკვეთესო, ამიხსნეს ისნელებმა.

დირექტორი იმედიანად არის-მეთქი. მაინც რისი იმედი აქვს?

ქართული პროდუქციისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მომხმარებლისაც, რომელიც ბაზრობებით მართალია განებივრებულია, მაგრამ ამავე დროს საქონლის უხარისხობით გაწამებულიც (იყიდის ფეხსაცმელს ბავშვისთვის და ის მეორე დღეს კვლავ ფეხშიშველია). მალე „ისნის“ ფეხსაცმელი დიდი რაოდენობით გაიყიდება სავაჭრო ქსელში, სადაც ქართულ პროდუქციას სპეციალური სტენდები დაეთმობა. როგორც აქ მითხრეს, ფასები იმპორტულთან შედარებით 30-40 პროცენტით დაბალი იქნება, ხარისხი კი ევროსტანდარტების დონეზე. ჰოდა, თუ პროდუქცია ხარისხიანი იქნება და თანაც იაფი, მომხმარებელი რატომაც არ დაეტანება?

ღმერთმა გვისმინოს!

ესეც არ იყოს, ფირმა თავის პროდუქციაზე გარანტიას იძლევა. თუ მომხმარებელი ხარისხით უკმაყოფილო იქნება, შეუძლია „ისანს“ პასუხი მოსთხოვოს.

„პრიმიჯი“ თუ გაყიდის თავის პროდუქციას საქართველოში?

რატომაც არა, თუ მოთხოვნილება იქნება, გაყიდის. მაგრამ უპრიანი იქნება, ჩვენი ბაზარი ჩვენვე ავითვისოთო, აცხადებენ ისნელები.

გამოგიტყდებით, ვერ გავიგე, თუ არც ბაზარი მიეცით, არც მოგების წილი, ვითომ იტალიელები მარტო ჩვენი შავი თვალების საყურებლად მოვიდნენ?

არა, არც მთლად ასე ყოფილა საქმე. თურმე, პერუჯელებს პირადი დაინტერესებაც აქვთ. ისინი ჩვენთან იაფი მუშახელისა და ტექნოლოგიების წყალობით პროდუქციას იმდენად მცირე სახსრებით ამზადებენ, რომ იტალიის ბაზარზე მას ორმაგად აინაზღაურებენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აქაური საწარმოს ამოქმედება-გამართვაში იტალიელებს, როგორც ვთქვით, კაპიკი არ გაუღიათ, ყველაფერი გასაგები გახდება.

ეს ასეა, მაგრამ რა ეშველება საწარმოს ფინანსურად ესოდენ გაჭირვებულ მდგომარეობას, მას ხომ ბიუჯეტის ვალიც აქვს და სხვებისაც? სამაგიეროდ, აქვს პერსპექტივაც, რაც ვალების გასტუმრების შანსსაც იძლევა და მოგებაზე გასვლისასაც. კერძოდ, ისნელები ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე საწარმოში ფინანსური სიტუაცია გაუმჯობესდება, ხოლო ახალი წლიდან უკვე მოგებაზე ფიქრიც შეიძლება.

— წარსულის მელანქოლია ხომ არ გაწუხებთ, — მოულოდნელად ვეკითხები დირექტორს, — არ გაფიქრიათ, რანი იყავით და რანი გახდით?

— რა თქმა უნდა, მიფიქრია, მაგრამ გული არასდროს დამწყვეტია. პირიქით, მადლიერი ვარ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავემშვიდობეთ იმას, რაც არარეალური და ულოგიკო იყო. წარმოიდგინეთ, ჩვენი მდგომარეობა, ყველაფერი დაგეგმილი და გადაწყვეტილი იყო იქ, ზევით, ჩვენ კი არავინ არაფერს გვეკითხებოდა, არავის არაფერში ვჭირდებოდით. როცა არავის სჭირდები, ვერც განვითარდები. ახლა მოგვეცა განვითარების ასეთი შესაძლებლობა და არ გვინდა ხელიდან გავუშვათ.

ინფორმაციისთვის: კომუნისტური რეჟიმის წლებში საწარმოო გაერთიანება „ისანი“ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. იყო პერიოდები, როცა იგი წლიურად 8 მილიონ წყვილ სხვადასხვა დასახელების ფეხსაცმელს უშვებდა, რომლის 55-60 პროცენტი მოძმე რესპუბლიკების ბაზარზე გადიოდა. მაშინ საწარმოს ნედლეულისა და მასალების 95 პროცენტი გარედან შემოჰქონდა. დაინგრა იმპერია, სამეურნეო კავშირები და დაინგრა „ისნის“ ეკონომიკაც, 8 მილიონი წყვილიდან პროდუქციის მოცულობა წლიურად 15-20 ათას წყვილამდე ჩამოვარდა. შემდეგ საწარმო სულაც დადუმდა, ახლა კვლავ ფენიქსისებრ აღდგა.

ასეთი „პორტრეტით“ წარდგა „ისანი“ საუკუნის მიჯნაზე. მაგრამ როგორი იქნება იგი ხვალ და ზეგ, რა იმედებითა და შესაძლებლობებით გადააბიჯებს ახალი საუკუნის ზღურბლს?

ამის თაობაზე ისნელებს საკუთარი თვალთახედვა აქვთ და არცთუ უპერსპექტივო. რაც მთავარია, რეფორმის შუქმა ამ საწარმოშიც შეაღწია, მოხდა წარმოების დეცენტრალიზაცია, ფაქტობრივად, შეიქმნა ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით გამართული ფაბრიკა, რომელშიც ერთობლივად 4 ხაზი მუშაობს. ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე, აქ 50-60 წყვილ თანამედროვე სტანდარტის დონეზე შეკერილ ფეხსაცმელს გამოუშვებენ და ანაზღაურებასაც კარგს მიიღებენ. პროექტით გათვალისწინებულია საწარმოს ეტაპობრივი ზრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს მისი წარმადობა ერთ მილიონ წყვილ ფეხსაცმელამდე გაიზრდება, ხოლო შემდგომ წლებში — კიდევ უფრო მეტად. ახალი საუკუნის დასაწყისისათვის აქ 4-5 ახალი ფაბრიკა იმუშავებს, რომლებიც ამდენივე მილიონ წყვილ ფეხსაცმელს მიაწვდიან მომხმარებელს.

დასჭირდება კი ამდენი?

როგორ არ დასჭირდება. სულ ხომ ლატაკნი და უქონელნი არ ვიქნებით. ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად გაიზრდება მომხმარებლის მოთხოვნილებაც — მას დასჭირდება ფეხსაცმელი წლის სეზონების მიხედვით, ასევე სპორტული, ოთახის ფეხსაცმელი და სხვა. ეს ყველაფერი უნდა ვიანგარიშოთ, თანაც ისე, რომ ჩვენი ბაზრები უცხოურმა კი არა, ჩვენებურმა, ქართულმა პროდუქციამ გააჯეროს.

დღეს ბევრი მეწარმე თავის წარუმატებლობას ხსნის ქვეყნის ეკონომიკის საერთო ნგრევითა და განადგურებით, ეროვნული მეურნეობის, საგარეო ურთიერთობების მოშლით, უახლოესი წარსულის ქაოსითა და განუკითხაობით. ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების რეალობაა, მაგრამ როდემდე შეიძლება ამ რეალობასთან შეგუება, მის კალთებს ამოფარება? ახლა, როცა საწარმოებს კერძო მეპატრონენი გაუჩნდნენ, განა არ დადგა დრო უმოქმედობის, თავისმართლების მიზეზთა და მიზეზთა ჩამოთვლის კომპლექსი გადავლახოთ და პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ?

დადგა, როგორ არ დადგა. ამის დასტური „ქართუმ“ და „ისანმა“ ერთ-ერთმა პირველებმა მოგვცეს.

ოთარ ხუციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

ფეხბურთი

გამარჯვება ოსტატობას მოაქვს

დღეს საქართველოს სტადიონებზე გაიმართება ფეხბურთელთა მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის მეცამეტე ტურის ექვსი მატჩი: „ბათუმი“ – „გორდა“, „კოლხეთი“ – „ოდიში“, „სიონი“ – „მერანი“, „მალაროელი“ – „მარგვეთი“, „ლოკომოტივი“ – „დილა“, „გურია“ – „დინამო“. ხვალ საავიაციო საწარმოო გაერთიანების „მევარდენის“ სტადიონზე ტურის დასკვნითი შეხვედრა მოეწყობა: „მორკინალი“ – „სამგურალი“.

ნავსიანი ტური კვირას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩით გაიხსნა. სტუდენტებმა ამჯერადაც მცხეთის „არმაზის“ სტადიონზე უმასპინძლეს მეტოქეს.

პირველი წრის ფინიშზე თსუ-მ ძვირფასი ქულების ფლანგვას მოუხშირა და თანდათან სცილდება ლიდერთა ჯგუფს, ქუთათურები კი სტარტიდანვე გამოირჩევიან „გულუხვობით“, რასაც, ჯერჯერობით, ვერც ახალმა მთავარმა მწვრთნელმა – სერგო კუტივაძემ დაუსვა წერტილი. გუნდიდან ჯანაშიასა და ნოზაძის დათხოვნა, მართალია, მის პრინციპულობაზე მეტყველებს, მაგრამ სახელოვანი კლუბის ტრადიციების საკადრისი თამაში რომ მაინც არ ჩანს?

შესვენებამდე მიზანთან უფრო ახლოს ტორპედოელები იყვნენ, მაგრამ უმცროსმა მეგრელაძემ და ქებაძემ ვერ გამოიყენეს მოწინააღმდეგის მცველთა შეცდომები. ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ლევან ქებაძე, გულშემატკივართა და სპეციალისტთა აზრით, რამდენადაც ნიჭიერია, იმდენად აყოვნებს ბურთის პარტნიორისთვის გადაცემას, რაც საბოლოოდ ისევ მისი გუნდის იერიშებს ამუხრუჭებს.

მეორე ტაიმში როლები შეიცვალა – ამჯერად უკვე სტუმართა მცველებმა დაიწყეს უწყინარ სიტუაციებში შეცდომების დაშვება, მაგრამ ქორიძე და რუსია მზად არ აღმოჩნდნენ საჩუქრების შესარგებლად.

თუ გავითვალისწინებთ მეტოქეთა მიერ დაღვრილი ოფლის რაოდენობას, უნდა ვაღიაროთ, რომ ფრე – 0:0. ამ შეხვედრის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ეს რიონისპირელთა მეექვსე ფრეა მიმდინარე სეზონში.

გია პლატონიშვილი.

ევროპის სტადიონებზე

იტალია: VIII ტური. „ატალანტა“ – „ინტერი“ 1:2, „ნაპოლი“ – „იუვენტუსი“ 1:2, „პარმა“ – „ემპოლი“ 2:0.

„ინტერი“ – 22, „იუვენტუსი“ – 20, „პარმა“ – 17 ქულა.

ესპანეთი. X ტური. „ბარსელონა“ – „ვალიადოლიდი“ 1:2, „რასინგი“ – „რეალი“ 1:2, „ტენერიფე“ – „სელტა“ 1:3.

„ბარსელონა“ – 25, „რეალი“, „სელტა“ – 21-21 ქულა.

ინგლისი. XIV ტური. „არსენალი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ 3:2, „ბლექბერნი“ – „ევერტონი“ 3:2, „ქოვენთრი“ – „ნიუკასლი“ 2:2.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ – 28, „არსენალი“, „ბლექბერნი“ – 27-27 ქულა. „ნიუკასლს“ 11 თამაშიდან 18 ქულა აქვს და მეცხრე ადგილზეა.

პირველ დივიზიონში „მანჩესტერ სიტი“ შინ 0:1 დამარცხდა „ჰადერსფილდთან“ და სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა.

გერმანია. XIV ტური. „კაიზერსლაუტერნი“ – „ჰანზა“ 4:3, „ბაიერნი“ – „ბილეფელდი“ 1:0, „შალკე-04“ – „კარლსრუე“ 2:0.

„კაიზერსლაუტერნი“ – 33, „ბაიერნი“ – 29, „შალკე-04“ – 25 ქულა.

საფრანგეთი. XV ტური. „პარი სენ-ჟერმენი“ – „მარსელი“ 1:2, „მეცი“ – „გინგამი“ 2:1.

„პარი სენ-ჟერმენი“, „მეცი“, „მარსელი“ – 30-30 ქულა.

ჰოლანდია. XIV ტური. „სპარტა“– „აიაქსი“ 0:5, „ეინდჰოვენი“ – „ბრედა“ 5:1.

„აიაქსი“ – 37, „ეინდჰოვენი“ – 32 ქულა.

შვეიცარია. XVIII ტური. „ლუცერნი“ – „გრასჰოპერსი“ 3:2, „ლოზანა“ – „სიონი“ 4:1, „ციურიხი“ – „სერვეტი“ 2:1.

„გრასჰოპერსი“ – 39, „ლოზანა“ – 37, „სერვეტი“ 34 ქულა.

ამ დღეებში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ორ ქვეყანაში ჩემპიონის ვინაობა გაირკვა. რუსეთში მეხუთედ იმარჯვა მოსკოვის „სპარტაკმა“, ბელორუსიაში კი, უკვე მეექვსედ, ყველას მინსკის „დინამომ“ აჯობა.

პოლიციის დღის აღსანიშნავად

ორგზის!

ცენტრალური აპარატის ნაკრებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ჩემპიონობა ფეხბურთში.

ფინალში გამარჯვებულებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია კახეთის სამხარეო სამმართველოს გუნდმა. გადამწყვეტი გოლი ფავორიტმა მატჩის ბოლო წუთზე გაიტანა – 1:0. აღსანიშნავია, რომ დასკვნით შეხვედრას მძიმე ტრავმის გამო ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ტრიუმფატორთა კაპიტანი, ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი.

ტურნირის გამორჩეულ მონაწილეებს სამახსოვრო პრიზები სამინისტროს თავკაცებმა გადასცეს. ერთ-ერთი მათგანი პოლიციის აკადემიის რექტორს შოთა გორგოძეს ერგო. მას კვირას დაბადების დღე ჰქონდა...

კალათბურთი

დღეს დიდი ბრძოლებია

ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში გრძელდება საქართველოს პირველობის I წრის II ტურის მატჩები ვაჟთა გუნდებს შორის. 9 და 10 ნოემბერს გაიმართა ჩემპიონატის მორიგი 8 შეხვედრა. კვირას გამართული ორთაბრძოლებიდან განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსი არის მატჩი, სადაც ერთმანეთს შარშანდელი ჩემპიონი „ვითა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ხვდებოდნენ. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა, განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევარი, სადაც ვითელებმა მხოლოდ ერთქულიან უპირატესობას მიაღწიეს – 46:45. მეორე ტაიმში კი ჩემპიონები თანდათან ზრდიდნენ ანგარიშში სხვაობას და გაიმარჯვეს კიდეც – 89:77. ამ დღეს გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა, სადაც ჩემპიონატის ფავორიტებმა საკმაოდ ადვილად დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები: „აზოტი“ – „კოლხა“ 114:73, სდასუ – „რიონი“ 101:66, „დინამო“ – სტუ 103:78.

გუშინ ჩატარებული შეხვედრები ფავორიტებისთვის ერთგვარი გავარჯიშება იყო ცენტრალური მატჩების წინ, რომლებიც დღეს გაიმართება. პირველები მოედანზე რუსთავის „აზოტისა“ და „დინამო-2“-ის კალათბურთელები გამოვიდნენ. რუსთაველებმა, მართალია, ტაიმი 17 ქულით მოიგეს,

მაგრამ მეორე ნახევარში ახალგაზრდა დინამოელთა აქტიური თამაშის გამო მატჩში გამარჯვება მხოლოდ 7 ქულით შეძლეს – 98-91. სდასუს, „ვითასა“ და „დინამო-1“-ის გამოცდილმა კალათბურთელებმა პირველ ტაიმშივე მოითავეს საქმე და მოედანი ახალგაზრდა თანაგუნდელებს დაუთმეს, რომლებმაც გამარჯვებამდე მიიყვანეს მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრების ანგარიშებს: სდასუ – „მაკაბი“ 117:65, „ვითა“ – „რიონი“ 106:63, „დინამო-1“ – „კოლხა“ 96:73.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს გაიმართება ტურის ცენტრალური მატჩები: „დინამო-1“ – სდასუ და „აზოტი“ – „ვითა“. ამათ გარდა, ჩატარდება კიდევ ორი საინტერესო შეხვედრა, სადაც სტუ „მაკაბს“ დაუპირისპირდება, „კოლხა“ კი – „რიონს“.

იაგო სავანელი

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) ფოტო.

მძლეოსნობა

კრისტი ამიერიდან მწვრთნელი იქნება

განთქმულმა მორბენალმა ლინფორდ კრისტიმ 37 წლის ასაკში მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, შეეშვას აქტიურ სპორტს, თუმცა ბევრი მიმომხილველი ვარაუდობდა, რომ იგი გადათქვამდა სიტყვას.

კრისტიმ განაცხადა, რომ იგი მთელ თავის დროს და ენერგიას მწვრთნელობას მოანდომებს, დაეხმარება ინგლისელ ჯეიმი ბაულჩს, ნამიბიელ ფრენკი ფრედერიკსს და „იამაიკელ ჯიქს“ მერლინ ოტის.

– მე სპორტს 1979 წლიდან მივდევ. ბევრი რამ ვისწავლე და, ვფიქრობ, სხვებსაც ბევრ რამეს ვასწავლი.

კრისტის აზრით, დონოვან ბეილის რეკორდის მოხსნა (9,84 წამი 100 მეტრზე რბენაში) მძლეოსნობას ახალ, უფრო მაღალ დონეზე აიყვანს.

„ანტიდოპინგურ კანონებს ნუ შეარბილებთ“

– ასხალებს ცხრაგზის ოლიმპიური და ათგზის მსოფლიო ჩემპიონი, ლეგენდარული ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი და სპრინტერი კარლ ლუისი. იგი 36 წლის ასაკში 13 სექტემბერს გამოეთხოვა აქტიურ სპორტს. ლუისი უკმაყოფილოა, რომ მძლეოსნობის მსოფლიო ფედერაციამ თავის უკანასკნელ კონგრესზე შეარბილა თავისი უწინდელი ანტიდოპინგური კანონები, ამიერიდან დისკვალიფიკაციის ვადა ოთხიდან ორ წლამდე შემცირდა.

– ეს მაშინ, როცა ბევრი გულშემატკივარი მძლეოსნობას ისედაც „ბინძურ სპორტად“ თვლის. ახლა ისინი, ვისი წარმატებებიც დოპინგს ეყრდნობა, უკვე კარგად არიან ინფორმირებული, შეუძლიათ, რაც უნდათ ის ყლაპონ. თუ დაიჭირეს და დისკვალიფიკაცია მისცეს, მომდევნო ოლიმპიადამდე მაინც გავა დისკვალიფიკაციის ვადა და ყველაფერს თავიდან დაიწყებენ.

როცა ლუისს უთხრეს, რომ მასთან ერთად თავს ანებებს დიდ სპორტს ლინფორდ კრისტი, მან თქვა:

– კრისტი ჩემი ერთ-ერთი უაღრესად სახიფათო მეტოქე იყო, რომელსაც ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი.

ჩვენი ჯანმრთელობა

მოგებული ყველა დარჩა

„იმედის“ სპორტკომპლექსში 8-9 ნოემბერს ნამდვილად საჭირო ღონისძიება გაიმართა – არასახელმწიფო სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტები, მათი მასწავლებლები ერთმანეთს შეეჯიბრნენ მინი-ფეხბურთში, სიმძიმეების აწევაში, ჭადრაკსა და ნარდში, მკლავჭიდსა და ცურვაში. ეს უკანასკნელი ასპარეზობა სპა-ს საცურაო აუზში მოეწყო.

... უნდა გენახათ, როგორ გულშემატკივრობდნენ სტუდენტები და მათი ნათესავ-მეგობრები თავიანთ რჩეულებს: ყიჟინა, ტაში, შეძახილები თითქოს ძალას მატებდა მოასპარეზეებს და კარგა გვარიანი, დაძაბული ორთაბრძოლები გაჩაღდა მომავალ მედიკოსთა შორის.

ორდღიანი ბატალიები საფეხბურთო გუნდებს შორის ექიმ-თერაპევტთა სამედიცინო ინსტიტუტის „ცოდნას“ მინი-ფეხბურთელთა გამარჯვებით დასრულდა, მეორე იყო თბილისის საერო ინსტიტუტ „გაენათის“, მესამე კი – თბილისის ივანე ბერიტაშვილის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის „ეგრისის“ გუნდი.

ჭადრაკში ცალ-ცალკე ჩატარდა გოგონათა და ვაჟთა შორის ასპარეზობა და აქ თავი ისახელეს ექიმ-თერაპევტთა ინსტიტუტის გუნდის „ცოდნას“ სტუდენტმა თამარ მანიძემ და ჩინური მედიცინის ინსტიტუტის ლექტორმა მიხეილ ვირსალაძემ. მკლავჭიდელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა „ეგრისელი“ დავით ჩიჩუა, სიმძიმეების აწევაში – ამავე გუნდის წარმომადგენელი ლაშა პატარაია.

ცურვაში ვაჟებს შორის ყველას აჯობა „გაენათელმა“ სოსო გოგიამ, გოგონათა შორის – „ცოდნის“ წარმომადგენელმა მარინა კახიაშვილმა.

მომავალ მედიკოსთა შორის ნარდის გრფიალნიც აღმოჩნდნენ და აქაც ცხარე ბრძოლები გაიმართა. ვაჟებში ყველას აჯობა „ფანასკერტელის“ წარმომადგენელმა ნიკა გელოვანმა, გოგონათა შორის – ჩინური მედიცინის ინსტიტუტის სტუდენტმა თამუნა ლევიძემ.

... ორი დღის განმავლობაში „იმედის“ სპორტდარბაზი მოფუთფუთე სკას ჰგავდა. მომავალმა მედიკოსებმა ერთმანეთს მოუსინჯეს მკლავი, შეუმოწმეს სიმარდე და სიჩაუქე. აქ ყველამ მოიგო და უპირველესად – სიჯაბუკემ, ჯანმრთელი ცხოვრების წესმა.

ანზორ ბასილაია.

სურათზე: ასპარეზობენ მინიფეხბურთელები.

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) ფოტო.

რაგბი

საგზურების ბედი გაისად გადაწყდება

უელსში, 1999 წელს გაიმართება მორაგბეთა მსოფლიო თასის ფინალი, რომელშიც 20 გუნდი იასპარეზებს. ოთხი მათგანი უკვე ცნობილია. ესენი არიან მასპინძლები და წინა გათამაშების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნები – სამხრეთ აფრიკელები, ზელანდიელები და ფრანგები.

ევროპიდან დასკვნით ეტაპზე კიდევ ექვსი გუნდი იასპარეზებს. ამჟამად შესარჩევი შეჯიბრებების პირველი რაუნდი ეწყობა: 15 კოლექტივი დაყოფილია 3 ხუთგუნდიან ჯგუფად, საიდანაც პირველ-მეორე ადგილზე გასულებს ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის გუნდები ელოდება. ისინი შეადგენენ 3 სამგუნდიან ჯგუფს და ერთწრიანი შეხვედრების შემდეგ ექვსი საუკეთესო უელსის საგზურებს მიიღებს.

პირველი ეტაპის ორთაბრძოლები უკვე დაიწყო.

„ა“ ჯგუფში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განთესილნი: იტალია, საქართველო, რუსეთი, დანია, ხორვატია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჯგუფში უდავო ფავორიტები არიან იტალიელები, რაც უკვე პირველსავე მატჩში დაადასტურეს. მათ გამანადგურებელი ანგარიშით – 102:3 დაამარცხეს დანიელები. ამ უკანასკნელთათვის ეს მეორე წაგება გახლდათ. პირველად ისინი საკუთარ მოედანზე ჩვენმა „ბორჯღალოსნებმა“ სძლიეს – 19:8. საქართველოს ნაკრების აქტივში კიდევ ერთი მოგებაა ხორვატებთან – 29:15. მართალია, ორი თამაშის შემდეგ ოთხი ქულით ჯერჯერობით პირველ ადგილზე ვართ, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასვლის ბედი მაინც გაისად 20 მაისს გადაწყდება, როცა რუსეთის ძლიერ გუნდს ვუმასპინძლებთ. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა პირველი პაექრობა ხორვატებთან კი დათმეს 16:23, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ფარ-ხმალი დაყარეს. სხვა რომ არაფერი, რუსები შარშან ევროპის პირველობაზე თბილისში დამარცხებისთვის რევანშზეც იფიქრებენ.

ამჟამად ევროპის ზონის „ა“ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
საქართველო	2	2	0	0	48:23	4
იტალია	1	1	0	0	102:3	2
ხორვატია	2	1	0	1	38:45	2
რუსეთი	1	0	0	1	16:23	0
დანია	2	0	0	2	11:121	0

საგაისო მატჩების განრიგი ასეთია: 11.04. იტალია – საქართველო; 18.04. რუსეთი – იტალია; 16.05. დანია – ხორვატია; 20.05. საქართველო – რუსეთი; 30.05. ხორვატია – იტალია.

„ბ“ ჯგუფში ამკარა ფავორიტად რუმინელები ითვლებიან და ეს კიდევაც დაამტკიცეს თავიანთ პირველ მატჩში, რომელშიც სტუმრად ბელგიელები დაამარცხეს 83:13. მასპინძლებმა მეორე თამაშიც წააგეს უკრაინელებთან 5:48, რითაც მომდევნო ეტაპზე გასვლის მანსიც დაკარგეს, თუმცა, არც უკრაინელებს ადგათ კარგი დღე – მათ ჰოლანდიელებმა დააყრევინეს ფარ-ხმალი 35:15. ნიდერლანდელებმა ჯგუფში მეორე ნომრად განთესილ პოლონეთის ნაკრებს (ქომაგებს ახსოვთ, რომ პოლონელებმა წლეულს ევროპის პირველობაზე მესამე ადგილისთვის ბრძოლაში საქართველოს ეროვნულ გუნდს სძლიეს 29:23) აჯობეს შინ ანგარიშით – 49:7. ეტყობა, ჰოლანდიელები კარგად გაისარჯნენ და გუნდში მოიწვიეს საზღვარგარეთ მიმოფანტული შთამომავლები, რომლებიც რაგბის საიდუმლოებას სამხრეთ აფრიკაში ეზიარნენ (ეს ქვეყანა სავსეა უძველესი დროიდან ნიდერლანდებიდან გადმოსახლებულებით). ორი მოგება, თანაც ერთი – უშუალო კონკურენტთან, ჰოლანდიელებს მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალურ შანსს აძლევს.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ჰოლანდია	2	2	0	0	84:22	4
რუმინეთი	1	1	0	0	83:13	2
უკრაინა	2	1	0	1	63:40	2
პოლონეთი	1	0	0	1	7:49	0
ბელგია	2	0	0	2	18:131	0

„ც“ ჯგუფში ორი გამოკვეთილი ლიდერია – ესპანეთი და პორტუგალია. საგზურისათვის პრეტენზიას გერმანელებიც აცხადებენ. მათ ორ აუტსაიდერს მოუგეს: ჩეხეთს შინ – 31:17, ხოლო ანდორას სტუმრად – 56:11. ისე, ანდორელები ჩეხებმაც დაამარცხეს 45:20 (საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ ევროპის პირველობაზე ქართველმა „ბორჯღალოსნებმა“ გერმანელებს ერთხელ სძლიეს, ხოლო ჩეხებს ორჯერ დააყრევინეს ფარ-ხმალი, პორტუგალიელებთან კი ნახევარფინალში წააგეს 17:22), ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი ესპანეთი გუშინ ანდორის გუნდს მასპინძლობდა, და, უეჭველია, დიდი ანგარიშით მოუგებდა. დანარჩენი მატჩები გაისად გაიმართება.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
გერმანია	2	2	0	0	87:28	4
ჩეხეთი	2	1	0	1	62:51	2
ანდორა	2	0	0	2	31:101	0
ესპანეთი	0	0	0	0	0	0
პორტუგალია	0	0	0	0	0	0

ვაჟა დანელია.

ჩოგბურთი

მიაღწევს 2000 წლამდე?

იმის მიუხედავად, რომ ტრავმის გამო მთელი წელიწადი გააცდინა, შტეფი გრაფს ჟურნალისტები მაინც ხშირად აკითხავენ. გასაგებია, მათ განთქმული ჩოგბურთელის სამომავლო გეგმები აინტერესებთ. შტეფი ამ კითხვაზე მოკლედ უპასუხებს, რომ წლეულს მხოლოდ უმნიშვნელო შეჯიბრებებში ითამაშებს, ისე, ვარჯიშის მიზნით, და შედეგს ყურადღებას არ მიაქცევს. დიდ ასპარეზს იანვარში დაუბრუნდება – ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე.

ჟურნალისტებს აინტერესებთ გრაფის აზრი მარტინა ჰინგისზე:

– მან თავისი ხანმოკლე სპორტული კარიერის მანძილზე გასაოცარ წარმატებებს მიაღწია. მცირეოდენი ნაკლოვანებები აქვს, მაგრამ მათ აუცილებლად გამოასწორებს.

– როგორი შეფარდებაა დღეისათვის გამოცდილ ოსტატებსა და ახალგაზრდებს შორის?

– ეს უფრო ზუსტად მომავალ შეჯიბრებებში გამოირკვევა. ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან მონიკა სელეში, არანტა სანჩესი, იანა ნოვოტნა და სხვები, თავიანთ პოზიციებს იოლად არ დათმობენ.

– თქვენს გამოსვლებზე რას იტყვით?

– ბედნიერი ვარ, რომ ღირსეულად ვიასპარეზე სხვადასხვა თაობის ჩოგბურთელებთან შეხვედრებში. უწინ ტრეისი ოსტინს, კრის ევერტს და მარტინა ნავრატილოვას ვეპაექრებოდი, შემდეგ მონიკა სელეშისა და ჯენიფერ კაპრიატის თაობას ვუმკლავდებოდი. ახლა მარტინა ჰინგისის დარ ახალგაზრდებს ვუპირისპირდები.

კითხვაზე, წარმატებებით აღსავსე კარიერის მანძილზე მაინც ვისთან უჭირდა ყველაზე მეტად თამაში, შტეფი გრაფმა ჯერ მარტინა ნავრატილოვა დაასახელა, შემდეგ უხერხულ მეტოქედ მონიკა სელეში მოიხსენია.

თუ მთლიანად აღიდგინა უწინდელი სპორტული ფორმა, გრაფი დაახლოებით 2000 წლამდე აპირებს თამაშს, შემდეგ კი ბორის ბეკერივით თავს დაანებებს დიდ ოფიციალურ ტურნირებს, მაგრამ კორტებთან სამუდამო გამოთხოვებას ვერ შეძლებს – ითამაშებს გართობის მიზნით, თუნდაც ვეტერანთა პაექრობებში, რომლებიც ყოველ დიდ ტურნირს თან ახლავს (ხომ თამაშობენ ჯიმი კონორსი და ჯონ მაკინროუ), არც მწვრთნელობას გამორიცხავს.

წლევანდელივით ხანგრძლივი პაუზა, ტრავმით გამოწვეული, შტეფი გრაფს არასოდეს ჰქონია. იყო არაერთი სხვა უსიამოვნებაც. თავი რომ დავანებოთ მამისა და მენეჯერის პეტერ გრაფის უკვე ხანგრძლივ პატიმრობას, შტეფის კონფლიქტი ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიასთან, რომლისათვისაც, შეთანხმების თანახმად, თავისი შემოსავლის გარკვეული პროცენტი უნდა გადაერიცხა. როგორც კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები აცხადებენ, გრაფი იხდიდა გაცილებით ნაკლებს, ვიდრე საჭირო იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, შტეფი იმედოვნებს აღიდგინოს წამყვანი პოზიცია ჩოგბურთის სამყაროში.

გივი თორელი.

ჭადრაკი

ამერიკელი ტალი

თავიდანვე უნდა ვთქვათ: ტალი მისი სახელია, შაკედი კი – გვარი. მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატში ნოკაუტსისტემით, სადაც რამდენიმე დიდოსტატი ითამაშებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შაკედს მონაწილეობის უფლება მიენიჭა, როგორც მსოფლიო ჩემპიონს 20 წლამდე ჭაბუკებს შორის.

უნდა ითქვას, რომ ამერიკელის გამარჯვება ახალგაზრდების ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში თავისთავად დიდი მოულოდნელობა იყო, რადგან იქ რამდენიმე დიდოსტატი თამაშობდა, მათ შორის ყოფილი თბილისელი სერგო მოვსესიანი (რომელიც ახლა ჩეხეთის სახელით გამოდის), ტალს კი მაშინ ეს წოდება არ ჰქონდა. ამერიკელმა 13 შესაძლებლიდან 9,5 ქულა მოაგროვა, ისევე, როგორც სომეხმა ვაჰან მირუმიანმა, მაგრამ უკეთესი დამატებითი მონაცემებით მსოფლიო ჩემპიონობა სწორედ შაკედს ერგო. სერგო მოვსესიანმა 9 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო.

ერთი სიტყვით, ყველასათვის უცნობი ამერიკელი არა მარტო დიდოსტატი გახდა, არამედ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურსაც დაეუფლა. მართალია, მისი „გენერალური რეპეტიცია“ გილბურგის დიდ საერთაშორისო ტურნირში დიდი მარცხით დასრულდა (ბოლო, მეთორმეტე ადგილი), მაგრამ ამას არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა: ტალი ხომ ახლა იწყებს თავის საჭადრაკო გზას.

ახლა კი მოვუსმინოთ გამოჩენილ მწვრთნელსა და თეორეტიკოს მარკ დვორეცკის, რომელიც კარგად იცნობს ახალგაზრდა ამერიკელს:

– შაკედი „პროვინციელია“ – ცხოვრობს ამერიკის სამხრეთ-დასავლეთში, არიზონას შტატში, რომელიც დაშორებულია საჭადრაკო ცენტრებიდან. პროფესიული კონტაქტების ნაკლებობამ, რა თქმა უნდა, ხელი შეუშალა მის ზრდას, მაგრამ მაინც დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ამერიკელ ჭაბუკებს შორის, უდავოდ, უძლიერესი და ყველაზე პერსპექტიულია. ასეთ ჭაბუკებს ორწლიან სტიპენდიას აძლევენ, რათა მწვრთნელებთან გაკვეთილები აიღონ და საინტერესო ტურნირებზეც გაემგზავრონ. ტალმა ეს სტიპენდია შარშან მიიღო და ძალზე კარგადაც იყენებს.

1996 წლის შემოდგომაზე შაკედმა მეცადინეობისათვის მიმიწვია თავის მშობლიურ ქალაქ ტუსონში. შემდეგ, 1997 წლის გაზაფხულზე, ჩვენ ერთხელ კიდევ შევხვდით ერთმანეთს, ამჯერად ნიუ-იორკში.

მალე ტალმა ზედიზედ სამჯერ შეასრულა დიდოსტატის ნორმა და, როგორც ვთქვით, მსოფლიო ჩემპიონიც გახდა, რამაც მას გრონინგენის საგზური მოუტანა.

დვორეცკის აზრით, ამერიკელ ტალს დიდი მიღწევები ექნება, თუ კი სტიპენდიის ვადის ამოწურვის შემდეგ ჭადრაკს თავს არ დაანებებს და... უნივერსიტეტში არ განაგრძობს სწავლას.

გივი თორელი.

ანატოლი კარპოვი კვლავ სწრაფია

1983 წელს ესპანეთში ევროპის უძლიერესი მოჭადრაკეები შეიკრიბნენ ტურნირზე სწრაფ ჭადრაკში (პარტიაზე 30 წუთი), ეს პირველი ასეთი ასპარეზობა გახლდათ და მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონის ანატოლი კარპოვის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ტურნირი არ ცნო. და აი, 14 წლის შემდეგ საფრანგეთის პატარა ქალაქ კაპდაგდში გაიმართა სწრაფ ჭადრაკში ევროპის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი. ფინალში ანატოლი კარპოვმა ჰოლანდიელ ლუკ ვან ველის სძლია და 100 ათასი ფრანგული ფრანკიც (დაახლოებით 20 ათასი დოლარი) ჩაიჯიბა.

შეჯიბრებაში 15 ქვეყნის 20 დიდოსტატი მონაწილეობდა, წინასწარ ეტაპზე ისინი ოთხ ხუთ-ხუთკაციან ჯგუფებად თამაშობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზატორებმა რამდენიმე წლის წინათ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის რობერტ ფიშერის მოფიქრებული ჭადრაკის საათები გამოიყენეს.

მათი თავისებურება კი ის არის, რომ ყოველი სვლის შემდეგ მოჭადრაკეს ემატება 30 წამი. ამ საინტერესო პაექრობაში ქართველმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა მე-13 ადგილი დაიკავა.

ტურნირის დამთავრებისთანავე გამარჯვებულმა ერთი პარტია ითამაშა მთელი მსოფლიოს 250-ზე მეტ მოყვარულთან კომპიუტერული ქსელის „ინტერნეტის“ მეშვეობით. ოთხნახევარი საათის შემდეგ მოყვარულები 33-ე სვლაზე დანებდნენ.

თამაზ ილმელი.

ექო

ორიოდ სიტყვა „თოვლბურთის“ შემდეგ

„საფრანგეთში წასასვლელი „ოთხი მატჩიდან რუსეთისა და იტალიის ნაკრებთა შეხვედრა ყველაზე „მაინტრიგებლად“ ითვლებოდა; თუნდაც ასეთი ფაქტი: მის გასაშუქებლად „დაზამთრებულ“ მოსკოვში 134 (!) იტალიელი ჟურნალისტი ჩაფრენილა, ხოლო „სკუადრა აძურას“ საქომაგოდ კიდევ – რამდენიმე ათასი ტიფოზი. რუსეთელ გულშემატკივრებს რაც შეეხება, ისინი, ცოტა არ იყოს, უამინდობასაც დაუფრთხია და ბილეთების სიძვირესაც: სალაროებში, ჩვენებურად, 40-დან 60 ლარამდე, შავ ბაზარზე – 120-მდეც.

ბევრმა ჩვენგანმა ნახა დათოვლილ მინდორზე და თოვაში, ანუ უმძიმეს პირობებში მიმდინარე და ფრედ – 1:1 დამთავრებული ეს მატჩი.

– ასეთ ამინდში თამაში მოთამაშეთა მასხრად აგდებაც არის და ფეხბურთისაც, – უთქვამს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვალენტინ ნიკოლაევს.

– არ ვიცი, რას ფიქრობდა რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია, როცა ოქტომბრის ბოლოს შეხვედრა მოსკოვში დანიშნა; ხომ გასაგებია, რომ რიგიანი თამაშის ჩვენება თოვლიან, დასველებულ მინდორზე ერთობ ძნელია.

– აღშფოთებული ვარ, რა მსაჯობაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ამბების მიხედვით, რაც მოედანზე ხდებოდა. მიკელსენმა ვერ შენიშნა საჯარიმოში ალენიჩევის სრულიად დაუფარავი მოცელვა, არავითარი რეაგირება არ მოახდინა ვიერის ქუჩურ უხეშობაზე; კი, ბურთი გაგვიტანა და იტალიის ეროვნულ გმირად იქცა, მაგრამ ეს გმირი იდაყვებსაც მარჯვედ ხმარობდა; ისე მარჯვედ, რომ სახეში გარტყმით გრძნობა დააკარგვინა ონოპკოს, ჩვენს კაპიტანს (რომელიც 42-ე წუთზე ცვეიბამ შეცვალა – თ. ე.). იდაყვითვე შეეცადა ცვეიბას მოშორებას – ეს ცხარე მონოლოგი ბორის იგნატიევს წარმოუთქვამს, რუსეთის პირველი გუნდის მთავარ მწვრთნელს.

მატჩს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი და მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ესწრებოდნენ. ამით გამოცოცხლებული მაყურებლები რალაცას ომახიანად მიპყეიროდნენ მთავრობის ლოჟას (ტელეეკრანთან მჯდომისათვის ძნელად გასარჩევს – თ. ე.).

კადნიერ უცხოელ ჟურნალისტებს ფერად ქსეროქსებზე უკეთებიათ და უკეთებიათ ყალბი საშვები და ყველა შემხვდური სტადიონზე შეუპარებიათ. ამ მიზეზით პრესის ლოჟაში ადგილები საკმაოდ მალე შევსებულა და გვარიანი კონფლიქტებიც გაჩაღებულა...

მთელი თამაშის განმავლობაში კანჩელსკისსა და იურანს მეტოქენი განუწყვეტლივ უჩაჩქუნებდნენ ფეხებში. ვიკინგების მთამომავალი დანიელი მსაჯი მიკელსენი კი, ვითომც არაფერიო, ისე იქცეოდა. კანჩელსკისი ექიმს მოეთათბირა და მეორე ტაიმში აღარ გამოვიდა (იგი ტრავმის გამო იტალიის ჩემპიონატში ორ თვეს დაისვენებს), ხოლო ფეხების დალურჯებით დაბოღმილმა იურანმა (ანგარიში, სხვათა შორის, მისი მცდელობით გაიქვითა) მატჩის მერე მოწინააღმდეგეებს თურმე პატარა მუშტი-კრივი გაუმართა. მორბენილ მსაჯებსა და ორივე გუნდის წარმომადგენლებს ძლივს გაუშველებიათ მოჩხუბარნი.

ჩეზარე მალდინი გაოცებული დარჩენილა რუსეთელთა ფიზიკური მზადყოფნით და კიდევ იმით, თუ რა მოწადინებული იყვნენ გამარჯვებით.

ბორის იგნატიევს კი თავმდაბლურად შეუნიშნავს: „ადრეა ჩვენი დასამარება, როგორც იქნა, გამიჩნდა ნამდვილი გუნდის შეგრძნება“...

თამაზ ებანოიძე.

ბლიც-ანკეტა

გიორგი ალექსიძე

— საქართველოს სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, ღირსების ორდენის კავალერი.

1. ზოდიაქოს ნიშანი — ლრიანკალი;

2. საყვარელი მწერალი — საყვარელი მწერალი ის არის, რომლის შემოქმედებასაც ყოველთვის უბრუნდები ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ბევრ დეტალს მათი ნაწარმოებებიდან სხვაგვარად აღიქვამ, სხვაგვარად აფასებ. ასეთი მწერლები არიან ვაჟა-ფშაველა, პუშკინი, ჩეხოვი;

3. საყვარელი ლიტერატურული ქმნილება — სერვანტესის „დონ კიხოტი".

საყვარელ მწერალთა შორის არ დავასახელე სერვანტესი, იმიტომ, რომ „დონ კიხოტი" ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოპეაა და მე მას ვაიგივებ მწერლის პიროვნებასთანაც და მის შემოქმედებასთანაც.

4. საყვარელი მხატვარი — საერთოდ, მიყვარს მხატვრობა, გამორჩეულად ბოტიჩელის და ელ გრეკოს შემოქმედება — ისინი ჩემი აზრით გარდამავალი ეპოქის მხატვრები არიან. ძალიან მიყვარს ვან გოგი მისთვის სახასიათო ექსპრესიით, შინაგანი და გარეგანი ფორმის საოცარი შერწყმულობით.

5. საყვარელი რეჟისორი — დოდო ალექსიძე და სერგო ფარაჯანოვი. საბედნიეროდ, მე მომიწია მუშაობა ორივე მათგანთან. მათთვის ცხოვრებაც თეატრი იყო, ისინი ცხოვრებაშიც რეჟისორები იყვნენ;

6. საყვარელი ფილმი — მე კინოს დიდი მოყვარული არ გახლავართ. გამოვარჩევდი ისეთ ფილმებს, რომლებიც ერთგვარად თეატრალურ მოქმედებას ემსგავსებიან. ასეთად აღვიქვამ უხმო ფილმებს ჩარლზ ჩაპლინის მონაწილეობით — სადაც იგრძნობა კინემატოგრაფის პირველადი ფენომენი და არა ტექნიკის პრიორიტეტი;

7. საყვარელი მსახიობი მამაკაცი — მე მხიბლავს ჟერარ ფილიპის რომანტიულობა, უჩვეულო სისუფთავე, სიფაქიზე, მისი უაღრესად დახვეწილი პლასტიკა. მისი ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ ჟერარ ფილიპის შინაგანი და გარეგნული თვისებები სრულ ჰარმონიაში ყოფილა ერთმანეთთან.

8. საყვარელი მსახიობი ქალი — ასევე განსაკუთრებულია ოდრი ჰეპბერნი.

9. საყვარელი კომპოზიტორი — ვერ დავაკონკრეტებ, რადგან მე მიყვარს ყველა დროის კომპოზიტორთა შემოქმედება. მე ბევრი ფირფიტა მაქვს, ზოგჯერ მიფიქრია — ავმა სულმა რომ მკითხოს, ყველა ფირფიტა უნდა დაგიმტვრიო, ამოირჩიე მხოლოდ ერთი კომპოზიტორის ფირფიტებიო, უეჭველად ვუპასუხებ, რომ ეს მოცარტია;

10. საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები — ის ნაწარმოებები, რომლებზეც მე ვმუშაობ. სადღეისოდ ასეთია ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტი, რომელიც ჩემი მომავალი დადგმის მუსიკალური საფუძველია. მაგრამ დადგმის შემდეგ ამ ქმნილებების მოსმენა ძალიან მიჭირს. ასეთთა რიგს უკვე მიემატა ვივალდის „წელიწადის დრონი".

11. საყვარელი ხალხური სიმღერა — კახური სიმღერები;

12. უდიდესი პოლიტიკოსი — თამარ მეფე;

13. ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება — ილია ჭავჭავაძე;

14. საყვარელი ქალაქი — ძველი სანკტ-პეტერბურგი, ძველი თბილისი და სოფელი წაღვერი — სადაც გავიზარდე;

15. სპორტის საყვარელი სახეობა — ზაფხულში — ფეხბურთი, ზამთარში — ჰოკეი.

16. გატაცება — არ გამაჩნია; თუმცა მუშაობის შემდეგ მიყვარს მუსიკის მოსმენა და ფილოსოფიური ნარკვევების კითხვა;

17. საკუთარი ღირსება — შრომისმოყვარეობა;

18. საკუთარი ნაკლი — ხასიათის სირბილე;

19. ყველაზე დიდი წარმატება — 1964 წელს სანკტ-პეტერბურგში; ფილარმონიის სცენაზე განხორციელებული საბალეტო პროგრამა, ეს იყო ჩემი, როგორც ბალეტმაისტერის დაბადება;

20. ცხოვრების ყველაზე დიდი კურიოზი — 1991 წელს ჟენევაში ვდგამდით სპექტაკლს გუბაიდულინას ორატორიის მიხედვით — რომელშიც მონაწილეობდნენ კიროვის სახელობის თეატრის საბალეტო დასი, ლატვიის კაპელა, ჟენევის საოპერო ორკესტრი, მხატვარი მურაზ მურვანიძე, წარმოდგენის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი იყო მსტისლავ როსტროპოვიჩი. წინასაახალწლო საღამოს მან გადაწყვიტა სანკტ-პეტერბურგში გადაფრენა და ახალი წლის იქ, მეგობრების წრეში შეხვედრა, მე კი მთხოვა დამეტოვებინა მისი ვიოლონჩელო (მოგეხსენებათ, მას უნიკალური და ძალზე ძვირადღირებული ინსტრუმენტი აქვს), უარი ვერ ვუთხარი. სასტუმროს ნომერში ინსტრუმენტის მიტოვებისა კი შემეშინდა. ამიტომ იძულებული გავხდი ახალ წელს ვიოლონჩელოსათვის მომეხვია ხელი და მისთვის მეთქვა სადღეგრძელოები... სამი დღის მანძილზე;

21. ყველაზე მიმზიდველი ქალი — დავასაწელებ მოდილიანის მხატვრობის სახასიათო ქალის მოდელს, ან ბოტიჩელის „გაზაფხულს".

22. ყველაზე სიმპათიური მამაკაცი — ჯორჯ ბალანჩინი, ჰერბერტ ფონ კარაიანი, ჟან გაბენი;

23. ოჯახის შემადგენლობა — სულ ქალების გარემოცვაში ვარ; ვნატრობ რომ შემომემატოს სიძე, რათა მისგან ვიგრძნო თანადგომა, და ამისრულდეს ნატვრა — გავხდე ბაბუა;

24. მეგობართა წრე — მრავალფეროვანი, მაგრამ ჩემი პროფესიის ხალხი ნაკლებად. უმთავრესად — მხატვრები, მუსიკოსები, სკოლის მეგობრები — განურჩევლად პროფესიისა;

25. რას აფასებთ ადამიანში? — წესიერებას, უბრალოებას, პატიოსნებას. სიკეთეს მივიჩნევ ადამიანის საუკეთესო თვისებად;

26. საყვარელი კულინარული ნაწარმი — უკვე ხუთი წელიწადია უარი ვთქვი ხორცზე და თევზზე. მიყვარს ტკბილეულობა და შემწვარი კარტოფილი;

27. საყვარელი სასმელი — თეთრი ღვინო და რბილი ჰოლანდიური ლუდი;

28. საყვარელი ცხოველი — ყველა ცხოველი ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით ძაღლი;

29. საუკეთესო მოგონება — ძირითადად, ბავშვობას და იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც ცხოვრება თამაშთან და ილუზიებთან გაიგივებული მეჩვენებოდა;

30. სანუკვარი ოცნება — მაღალი კლასის ნეოკლასიკური საბალეტო დასის შექმნა, სადაც პრობლემების გარეშე შევძლებ ჩემი შემოქმედებითი გეგმების განხორციელებას.

რუბრიკას უძღვება
ზურაბ ოიკაშვილი.

სააქციო საზოგადოება „საქსათბობმშენი"-ს (სამშენებლო სამონტაჟო ტრესტი) დამფუძნებელთა საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ სააქციო საზოგადოების კრება შედგება ა. წ. 30 ნოემბერს, დღის 11 სთ-ზე, ორგანიზაციის ადმინისტრაციულ შენობაში

განიხილება შემდეგი საკითხები:

1) ნულოვანი აუქციონის შედეგების შეჯამება
2) მიმდინარე მდგომარეობის განხილვა
3) სხვა საკითხები

მისამართი:
დ. აღმაშენებლის გამზირი №25

სს ადმინისტრაცია.

ტენდერი

მოწვევა წინადადების წარდგენაზე

1. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი აცხადებს საქართველო-თურქეთის რკინიგზების შემაერთებელი თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზის და მასთან დაკავშირებული ყველა ობიექტის პროექტის ტენდერს საქართველოს საზღვრების ფარგლებში.

პროექტი ითვალისწინებს:

ა) ახალი ორლიანდაგიანი ელექტროფიცირებული ხაზის მშენებლობას ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე;

ბ) თბილისი-ახალქალაქის არსებული ერთლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის რეკონსტრუქციას სახელმძღვანელო ქანობის შერბილებით და მის გადაკეთებას ორლიანდაგიანად;

გ) რკინიგზის გარშემო საჭირო ინფრასტრუქტურის, ექსპლოატაციასთან და რემონტთან დაკავშირებულ შენობა-ნაგებობების, მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების მშენებლობას, აგრეთვე, ექსპლოატაციისათვის საჭირო მოძრავი შემადგენლობის შეძენას კონტრაქტით გათვალისწინებული სპეციფიკაციის თანახმად.

2. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის საქართველო-თურქეთის რკინიგზების შემაერთებელი ხაზის დაპროექტებისა და მშენებლობის დირექციაში: თამარ მეფის გამზ., 15, ტელ/ფაქსი: (995 32) 953514, ინდექსი 380014.

3. ტენდერის დოკუმენტების მიღება შეიძლება ზემოთ მითითებულ მისამართზე 17 ნოემბრიდან. სატენდერო დოკუმენტის ფასია 3000 აშშ დოლარი ან ეროვნული ვალუტა შეტანის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კურსით პლუს 20 პროცენტი დღგ.

4. საბუთების წარდგენა უნდა მოხდეს 1997 წლის 19 დეკემბერს 14 საათამდე. განაცხადი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მიღებული იქნება სატენდერო მასალის შესყიდვის დამადასტურებელი ქვითრის და პროექტის განხორციელებაზე შემოთავაზებული თანხით 1 პროცენტის ოდენობით შენატანის დირექციის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ.

5. მოტანილი ან გამოგზავნილი წინადადებები, რომელსაც დამკვეთი მიიღებს მითითებული ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნდება მონაწილეს გაუხსნელი სახით.

6. დაბეჭდილი კონვერტები წინადადებებით გაიხსნება 19 დეკემბერს, პარასკევს, 14 საათზე ტენდერში მონაწილეთა წარმომადგენლებთან ერთად.

7. წარმოდგენილ წინადადებებს თან უნდა ერთვოდეს შესასრულებელ სამუშაოთა სია.

8. დამკვეთს შეუძლია აირჩიოს კონკურენტუნარიანი წინადადება, მისცეს ან არ მისცეს ნომინაცია ტენდერის ნებისმიერ მონაწილეს თავის შეხედულებისამებრ.

1. თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რკინიგზების გენერალური დირექტორატი აცხადებს თურქეთ-საქართველოს (ყარსი-თბილისი) რკინიგზების შემაერთებელი ხაზის ტენდერს შესაბამისი კომპანიებისათვის პროექტის 100 პროცენტიანი დაკრედიტებით. ეს პროექტი მოიცავს მერზა-აქთაშის 92,5 კმ. მთავარი და 120 კმ-იანი სადგურების ხაზების ჩათვლით სარკინიგზო მაგისტრალის დაპროექტებისა და მშენებლობის სამუშაოებს, ამასთანავე რკინიგზის გარშემო საჭირო ინფრასტრუქტურას, ელექტროფიკაცია, ხელოვნური ნაგებობები, ზედნაშენი, სიგნალიზაცია, ტელეკომუნიკაცია, სადგურები და რემონტთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები და საჭირო მიწის ნაკვეთის გამოყოფის ხარჯები. წინადადება წარდგენილი უნდა იყოს დაბეჭდილი კონვერტების სახით.

2. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თურქეთის სახელმწიფო რკინიგზების გენერალური დირექტორატის თურქეთ-საქართველოს (ყარსი-თბილისი) რკინიგზების მშენებლობის სპეციალურ კომისიაში, მისამართზე: ანკარა, ტელეფაქსი: 090.312.312. 32 15. ტელექსი: 44 309 TR, ტელ: 3243399.

3. ტენდერის დოკუმენტების მიღება შეიძლება ზემოთ მითითებულ მისამართზე 17 ნოემბრიდან. სატენდერო დოკუმენტის ფასია 3000 აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით ან თურქული ეროვნული ვალუტა შეტანის დღისათვის. თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული კურსით.

4. განაცხადი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მიღებული იქნება სატენდერო მასალის შესყიდვის დამადასტურებელი ქვითრის, კრედიტთან დაკავშირებული წინადადებების, სხვა საჭირო დოკუმენტებისა და პროექტის განხორციელების 12 მილიონი აშშ დოლარის საგარანტიო უზრუნველყოფის გადახდის შემდეგ 1997 წლის 19 დეკემბრის 14 საათამდე თურქეთის სახელმწიფო რკინიგზების გენერალური დირექტორატის თურქეთ-საქართველოს (ყარსი-თბილისი) რკინიგზების მშენებლობის სპეციალურ კომისიაში.

5. ზემოთ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შემოთავაზებული წინადადებები აღარ მიიღება.

6. დაბეჭდილი კონვერტები წინადადებებით გაიხსნება მითითებულ დროს ტენდერში მონაწილეთა წარმომადგენლებთან ერთად.

7. დაბეჭდილ კონვერტებზე უნდა იყოს მითითებული ტენდერის სახეობა.

8. თურქეთის რესპუბლიკის № 2886 კანონის შესაბამისად დამკვეთს შეუძლია მისცეს მთლიანად ან ნაწილობრივ, ან არ მისცეს ნომინაცია ტენდერის ნებისმიერ მონაწილეს.

ტურისტული სააგენტო »ალექს«
რუსეთის კომპანია "Kalinka Int"-სთან
ერთობლივად პირველად საქართველოში
გთავაზობთ ინდივიდუალურ ელიტარულ
ტურებს და კრუიზებს
აშშ-ში და ევროპაში

თბილისი, გორგასალის გამზ. 3
ტელ.: 92-36-78

სამუშაოდ ვიწვევთ 18-დან 23 წლამდე მომხიბვლელი გარეგნობის ქალიშვილს.
ტელ: 8-99-50-06-30

განცხადება

1997 წლის 7 დეკემბერს დღის 2 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება „მრეწველის" აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

მისამართი — ქალაქი თერჯოლა, სოფრომაძის ქუჩა №5

თერჯოლის სააქციო საზოგადოება „მრეწველის" დირექცია.

შვილები ლიდა, ალა ბუდნიკოვები, ვალენტინა ბაიდაური, შვილიშვილები ნელი ბაიდაური, რუსუდან, ნატო მანჯგალაძეები, სიძეები არჩილ მანჯგალაძე, ზურაბ კენჭუაშვილი, რძალი იულია დომორადსკაია, ძმისწული სვეტლანა, ძმის შვილიშვილი ოლეგ ჯაყელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პეტრონელი ედუარდის ასული დომორადსკაია-ბუდნიკოვა

პანაშვიდი 11, 12 XI, 5 სთ. გამოსვენება 13, XI, 2 სთ. ვაზისუბანი, IV მ/ნ II კვარტალი, I კორპ. III სად. III სართ.

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ პარლამენტის წევრს ქალბატონ ლირა თოფურიძეს გარდაეცვალა მამამთილი

დიმიტრი ივანეს ძე თოფურიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე თინა ლექავა, შვილები თამაზი, თენგიზი, რძალი ია ორჯონიკიძე, შვილიშვილები გიგა, გოგა, თიკო ექვთიმიშვილები, დები ნადია, თამარი, დეიდა ლია ოჯახებით, მძახლები რეზო, ცისანა ორჯონიკიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი სიკოს ძე ექვთიმიშვილი

პანაშვიდი 11, 12, XI, 5 სთ. გამოსვენება 13 XI, 2 სთ. აკ. წერეთლის პრ. 39.

შვილი მარინა გაბრიჩიძე, სიძე დიმიტრი წულუკიძე, შვილიშვილები თამუნა, ოთარ წულუკიძეები, ძმისწულები თინაკო, ნინო [illegible] ნანეიშვილები, რძალი ლამარა [illegible], [illegible] ანჟელინა გაბრიჩიძე, მძახალი ოთარ წულუკიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა (ციცინო) სევერიანის ასული
ნანეიშვილი – გაბრიჩიძე

პანაშვიდი 11, 12 XI, 4 სთ. გამოსვენება 13 X, 3 სთ. ელბაქიძის 21.

შვილები გიზო, შურიკო, აგული, რძლები ლირა ჭანტურია, ირინა ჟორდანია, ალექსანდრა ბასილაია, შვილიშვილები ეკა, მაკა, დიმა, გიორგი, სანდრიკა, შვილთაშვილები ბერდია, მეგი, სალომე, სიძეები კახა კუნელაური, მამუკა მაჩაიძე, ძმისწულები როლანდ, კარლო თოფურიძეები, ცოლისდა ეთერი ჩაჩავა, რეზო, ბაჩანა, ნონა, რეზო, ლარისა, ციალა, გულიკო თოფურიძეები, გურიელ ბერულავა, ციცო, დემურ გაბისონიები, გია ორმოცაძე, ბაჩუკი ჩაჩავა, მძახლები ეთერ ლატარია, ნაზიკო ჟორდანია, ლილი ბასილაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიმიტრი ივანეს ძე თოფურიძე

პანაშვიდი 11, 12 XI, 4 ს. გამოსვენება 13 XI, 3 ს. ცოტნე დადიანის (ყოფილი ოქტომბრის ქუჩა) №148, მე-4 სად.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მშენებარე ობიექტების დირექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დირექციის თანამშრომელი

ალექსანდრე (ალეკო) იასეშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 13 XI, 2 სთ. ი. ხეიჩიას ქ. № 31.

ბიძა ლევან მეგრელიშვილი, ბიცოლა ლეილა ჩხიკვაძე, ბიძაშვილი თემურ მეგრელიშვილი, რძალი მაია მგალობლიშვილი, ბიძაშვილები თიკო, ლევანიკო მეგრელიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალეკო იასეშვილი

გამოსვენება 13 XI 2 ს. ხეიჩიას 31.



საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა №5 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსი

ზურაბ კაპანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
გამოსვენება 11 XI, 2 ს. ვაჟა-ფშაველას გამზირი, 7 კვარტალი, 4 კორპუსი.

№5 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სამმართველოს უფროსი

ზურაბ კალისტრატეს ძე კაპანაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯამბულ წულაია ოჯახით თანაუგრძნობს ნათელა, ლამარა და ოთარ ცანავებს დედის

ვარვარა გიორგის ასულ ცანავას

გარდაცვალების გამო.

თბილისის მართვის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი

მამუკა ამირანის ძე ბალაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 11, 12 XI, 5 ს. დაკრძალვა 13 XI 2 ს. სოფელ დილომში.

ავიაკომპანია „ეარ ჯორჯიას" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა, ა/კ „საქართველოს ავიახაზების" გადაზიდვების სამსახურის უფროსი

ლევან ლილუაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

და ირინა, დისწულები [illegible] მარჯანიძე, სიძეები ოთარ წივთელაიშვილი, ლევან სახუაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ლილუაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

იოთამ (ბიბი) ქარცივაძე



სახელგანთქმულ ქართულ მათემატიკურ სკოლას კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გამოაკლდა. გარდაიცვალა მათემატიკოსთა მთელი თაობების აღმზრდელი და მასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგე, პროფესორი იოთამ **ნიკოლოზის-ძე ქარცივაძე** — ყველასათვის საყვარელი სახელით, ბიბით ცნობილი პიროვნება.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ბიბი ქარცივაძე ქართულ მეცნიერებას. დიდად განათლებული და დახვეწილი ინტელიგენტი, შესანიშნავი მეცნიერი და პედაგოგი-ლექტორი, ჩინებული მოქართულე და საქმისათვის თავდადებული — ასეთს იცნობდა მას ფართო საზოგადოებრიობა.

ბატონი იოთამის დიდებული ლექციები შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ლექცია და ლექტორი უმაღლეს სასწავლებელში. მისმა მათემატიკური ანალიზის სახელმძღვანელოებმა დიდი როლი შეასრულა და კვლავაც შეასრულებს მშობლიურ ენაზე უმაღლესი მათემატიკური განათლების საქმეში.

ბიბი ქარცივაძე დაიბადა 1918 წლის 11 სექტემბერს თბილისში ცნობილი პოლიტიკოსისა და დიპლომატის ნიკოლოზ ქარცივაძის ოჯახში, რომლიდანაც კიდევ ერთი სახელოვანი პიროვნება, თვალსაჩინო ინჟინერ-კონსტრუქტორი, პროფესორი გიორგი ქარცივაძე გამოვიდა, ბიბის უფროსი ძმა.

იოთამ ქარცივაძემ 1935 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საცდელი საშუალო სკოლა და შეეიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1940 წელს. ასპირანტურის კურსი მან ნიკო მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა.

მთელი მისი ცხოვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული, სადაც გაიარა გზა ასისტენტიდან პროფესორამდე. მათემატიკური ანალიზის კათედრის უცვლელი გამგის, დაუვიწყარი პროფესორის არჩილ ხარაძის რეკომენდაციით, 1975 წელს ბიბი ქარცივაძე აირჩიეს ამ კათედრის ხელმძღვანელად, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა. 1956 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული მათემატიკის განყოფილების გამგე იყო.

ბიბი ქარცივაძის მეცნიერული კვლევა დრეკადობის მათემატიკურ თეორიაში დაიწყო და ძირითადად, პოტენციალთა აბსტრაქტულ თეორიაში გაგრძელდა, სადაც მან მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო. ბატონი იოთამი საქართველოში თანამედროვე მათემატიკური კვლევის მეთოდების შემოტანისა და განვითარების ერთ-ერთი პირველი ინიციატორი გახლდათ.

ბიბი ქარცივაძის კოლეგები და მის მიერ აღზრდილი მათემატიკოსები და ფიზიკოსები არასოდეს დაივიწყებენ ამ ნათელი პიროვნების სახელს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი,
საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი.

გურამ ახმეტელი

ქართველ კარდიოლოგთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მეცნიერი და კლინიცისტი პროფესორი **გურამ სიმონის ძე ახმეტელი.**

დაიბადა 1922 წელს. 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლა, ხოლო 1944 წელს — სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

ოთხი წლის განმავლობაში (1944-1948 წ. წ.) თეთრიწყაროს და ზნაურის რაიონების პრაქტიკული ჯანდაცვის ქსელში მუშაობის შემდეგ, 1948 წლიდან მუშაობას იწყებს კარდიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ნაყოფიერ სამეცნიერო და სამკურნალო მოღვაწეობას ეწევა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. აქ მან განვლო სახელოვანი გზა რიგითი ორდინატორიდან ინსტიტუტის ერთ-ერთი კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელამდე.

1957 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1964 წელს სადოქტორო დისერტაციები, 1973 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

პროფესორი გ. ახმეტელი იყო საქართველოს თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობისა და თბილისის კარდიოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, 1994 წლიდან იგი ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრია.

გამოქვეყნებული ჰქონდა 100-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის, 1 მონოგრაფია, რომლებიც კარდიოლოგიის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება.

პროფესორი გ. ახმეტელი მონაწილეობდა კარდიოლოგთა სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში. მაღალკვალიფიციურ საკონსულტაციო დახმარებას უწევდა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებს კარდიოლოგიის დარგში.

ბატონი გურამი იყო შესანიშნავი მეოჯახე: ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, მოსიყვარულე ბაბუა.

მოულოდნელი და მტკივნეულია ბატონ გურამის წასვლა ამ ქვეყნიდან კარდიოლოგიის ინსტიტუტის ყველა თანამშრომლისათვის, მისი ოჯახისათვის, მეგობრებისა და ახლობლებისათვის.

პროფესორ გურამ ახმეტელის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომელთა და მადლიერ პაციენტთა მეხსიერებაში.

საქართველოს აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის
კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ლევან ლილუაშვილი



გარდაიცვალა ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების" სამგზავრო გადაზიდვების სამსახურის უფროსი **ლევან ლილუაშვილი.**

დაიბადა 1947 წელს ვანის რაიონში. სამოქალაქო ავიაციის სპეციალური საავიაციო სასწავლებლის და სამოქალაქო ავიაციის კიევის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამოქალაქო ავიაციის სისტემაში ინჟინრად, წარმოების უფროსად, პარტორგანიზაციის მდივნად, რესპუბლიკის ავიამუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ, საქარხნო რაიონის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, აეროპორტის კომერციულ დირექტორად.

თავისი ცხოვრების მოკლე მანძილზე მან ბევრის გაკეთება მოასწრო. სადაც კი იმუშავა, ყველგან უზომო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ვისთანაც კი ჰქონია ურთიერთობა ყველასთან იყო პირნათელი, დაუზარელი, კეთილი. ოჯახის მოტრფიალე და მოსიყვარულე მამა.

მოულოდნელად შეწყდა მისი ნათელი ცხოვრება, მრავალი ოცნება დარჩა განუხორციელებელი.

ჩვენგან წავიდა გამორჩეული მეგობარი და დაგვიტოვა სევდა და წუხილი. მისი ხსოვნა მარად დარჩება მეგობრების და კოლეგების გულში.

ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები",
თბილისის აეროპორტი,
საქართველოს ავიაციის მუშაკთა
პროფკავშირის კომიტეტი.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს უჩა და გოჩა წოწონავებს მამის

ბორის წოწონავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარამაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.